მღვდელი სიმონ კურტანიძე 1836 — 1910-იანი წლები

მღვდელი სიმონ პავლეს ძე კურტანიძე 1836 წელს იმერეთში, შორაპნის მაზრის სოფ. ღორეშაში მღვდლის ოჯახში დაიბადა.

მამამისი, მღვდელი პავლე, 1797 წელს საბატონო ყმის ოჯახში დაიბადა. ეკუთნოდა საერო წოდებას. ქართულ ენაზე საღმრთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, ტიბიკონი და გალობა მღვდელ თეოდორე რამინიშვილთან ისწავლა. 1816 წელს (მეორე ვერსიით — 1819 წელს) ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) მღვდლად დაასხა ხელი და ღორეშის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწა. მღვდელი პავლე 1867 წლის 7 აგვისტოს გარდაიცვალა. დარჩა შვილები: იობი (დაბ. 1831წ.), იოსები (დაბ. 1835წ.) და დეკანოზი სიმონი.

მამა სიმონს სასწავლებელში არ უსწავლია. მიღებული ჰქონდა შინაური განათლება. მის აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანა მღვდელმა სიმონ მიხეილის ძე ჭუმბურიძემ, რომელიც სოფ. სიმონეთში მსახურობდა. 1864 წლის 6 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა და ღორეშის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1865 წლის 25 დეკემბერს მეუფე გაბრიელმა მღვდლად დაასხა ხელი და ამავე ტაძრის მეორე მღვდლად დაადგინა. 1867 წლის 23 აგვისტოდან წინამძღვარია. 1877 წლის 17 ივლისს კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი კომიტეტის წევრად აირჩიეს. 1887 წლის 15 ივლისს საგვერდულით დაჯილდოვდა. მამა სიმონი იყო შორაპნის მაზრაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მან დიდი წვლილი შეიტანა მთელ ამ მხარეში ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელების საქმეში. ამასთან დაკავშირებით ქართული პრესა წერდა:

„სოფ. ღორეშა (იმერეთი). შვიდს თებერვალს სოფ. ღორეშას მამა სიმონ კურტანიძის მიერ აგებულ სასკოლო შენობაში დაიწყო სწავლა. ამ დღისათვის მოწოდებული იყვნენ ყმაწვილები და მათი მამები. სკოლის შენობა აკურთხა ბლაღ. მღვდ. ერმოლაოზ ვეფხვაძემ, რომელიც სულითა და გულით მოწადინებულია სამრევლო სკოლების გამრავლებასა და განკარგებას. როცა სასკოლო შენობა ასხურა აიაზმის წყლით, მამა ბლაღოჩინი მიიქცა ხალხისაკენ, მოულოცა სკოლის გამართვა და აუხსნა სწავლა-განათლების მნიშვნელობა... იქვე ოცამდე კაცმა განაცხადა ბავშვის შემოყვანის სურვილი. დღეს ამ სკოლაში ორმოცამდე ყმაწვილი სწავლობს. სწორედ მისწრება იყო ამ სკოლის გამართვა ღორეშელთათვის“.

იგივეს წერდა ჟურნ. „მწყემსში“ ღორეშის დაწყებითი სამრევლო სკოლის მასწავლებელი სიმონ ჭუმბურიძე: **„... აი, ამ გარემოებამ აიძულა ღორეშის მღვდელი ს. სიმონ კურტანიძე საკუთარი ხარჯით დაეარსებინა თავისი სამრევლოსათვის საეკლესიო სკოლა. სასკოლო შენობა აგერ ოთხი წელიწადია მზათ არის, მაგრამ მასწავლებელი კი აქამომდე ვერ ეშოვნა მ. კურტანიძეს. რადგან მე დიდი ხნიდან მქონდა ფიქრათ სამრევლო სკოლაში სამსახური, ამიტომ ამ ბოლო დროს, მ. კურტანიძის წინადადებით მე დავტოვე ამაშუკეთის საერო სკოლა და გადავედი ღორეშის სამრევლო სკოლაში, რომელიც ამა წლის 7 თებერვალს აკურთხა ბლაღოჩინმა მ. ერ. ვეფხვაძემ და წარადგინა დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არს“.**

1889 წელს მღვდელ სიმონს გაძარცვის მიზნით ავაზაკები დაესხნენ თავს. ზოგადად, იმ პერიოდში შორაპნის მაზრაში მოქმედებდა 13-14 კაცისგან შემდგარი კარგად შეიარაღებული ყაჩაღთა რაზმი, რომელსაც დაწიოკებული ჰყავდა მთელი მაზრა. ოქტომბრის თვეში 12 შეიარაღებული ავაზაკი ღამის 12 საათზე მიუვარდა მოძღვარს და დაყაჩაღება მოუნდომა. ამასთან დაკავშირებით მღვდელი სიმონი ქართული პრესის ფურცელზე წერდა: **„... ამავე თვეში მეც კინაღამ არ შევიქენი ავაზაკების მსხვერპლი. ყველას მოეხსენება, რომ მღვდლებზე საზოგადოდ ისეთი შეხედულება აქვთ, რომ არ ფიქრობენ, თუ იგინი სიმდიდრით მეგე კრეზს დაუვარდებიან. თუ მღვდელი უშვილოა, მაშინ ხომ ეს უსაფუძვლო ფიქრი ერთი ათად უფრო გაზვიადებულია. საიდამ, რითი და რა საშუალებით უნდა შეიძინოს მღვდელმა, განსაკუთრებით სოფლისამ, ასეთი სიმდიდრე, ამას არავინ არ კითხულობს. აი, ამ უსაფუძვლო აზრის გამო დამესხა თავზე ცამეტამდე შეიარაღებული კაცი. ავაზაკებმა გამოანგრიეს თურმე საჯალაბო სახლის ქვის საძირკველი, გააღეს კარები, შემოიტანეს დიდი ხის დვირო და დაუწყეს მითი მტვრევა და ცულებით ჩეხა იმ კარებს, რომელიც დიდი სახლიდამ ჩემს ოთახში შემოდიოდა. წამოვცვივდით ფეხზე, მაგრამ რას იზამ მოუმზადებელი კაცი? ჩემმა სიძემ, ამაშუკეთის სკოლის მასწავლებელმა ჭუმბურიძემ ჩამოავლო ხელი რევოლვერს, რომელშიაც სამი პატრონა იდო, და ესროლა კარებში, მაგრამ ავაზაკებმა თავისი მაინც არ დაიშალეს. როცა შევატყვეთ, რომ ძალით ვეღარას გავაწყობდით ავაზაკებთან, მასწავლებელმა ჭუმბურიძემ ამჯობი-**

ნა გარეთ გავარდნა და მეზობლებთან გაქცევა. ვერც მისმა ყვირილმა შეაშინა ავაზაკები. მე ვხედავდი, რომ ისინი რამდენიმე წამში კარებს შემოამტვრევდნენ და ამიტომ მეც გარეთ გამოვარდი, მაგრამ ერთი ავაზაკთაგანი, რომელიც თურმე გარეთ ყარაულობდა, დამედევნა, დამეწია სახლის მახლობლად ვენახში და ის იყო ხანჯალი უნდა ჩაეცა მუცელში, რომ ამ დროს ხელები მივაშველე, რის გამოც მძიმე ჭრილობა მივიღე მარცხენა ხელში. ბოროტების ჩამდენს ეგონა, რომ მღვდელი მოვკალიო და გაიქცა ამხანაგებთან. ამ დროს მოიჭრნენ მეზობლებიც და ავაზაკები გაიქცნენ. მათ წაეღოთ: ერთი ცული, ჩემი კაბის ჯიბიდან სამი მანეთი და ერთი აბაზი, ერთი ნომერი გაზ. „მწყემსი“ და ერთი „ივერია“, ქარვის კრიალოსანი და სხვადასხვა გამოუდეგარი ქაღალდები“.

1891 წლის 6 ივნისს მღვდ. სიმონს სკუფია უბოძეს. 1898 წლის 9 სექტემბერს ხარაგაულის ოლქის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად დაინიშნა. 1899 წლის 19 მარტიდან ღორეშის ტაძრის მეორე მღვდელია. 1901 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1903 წლის 19 ნოემბერს შტატიდან გავიდა. ამავე წლის 20 დეკემბერს მერევის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაადგინეს. 1904 წლის 19 ნოემბერს ტყემლოვანის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში დაინიშნა. 1906 წლის 29 მაისს პენსიაზე გავიდა. 1908 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1913 წლის 6 მაისს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1912 წელს მამა სიმონმა გამოსცა პატარა ბროშურა „რას საჭიროებენ გარდაცვალებულთა სულნი და რით შეიძლება მათი დახმარება“. იმავე წელს მან თავისი გამოცემული 1500 ეგზემპლიარი მოსახლეობაზე დასარიგებლად საჩუქრად გადასცა ჟურნალ „შინაური საქმეების“ რედაქციას, რისთვისაც მღვდელმა სიმონ მჭედლიძემ მას დიდი მადლობა გადაუხადა.

შთამომავლების გადმოცემით გარდაიცვალა XX ს-ის 10-იანი წლების ბოლოს. თავისი ანდერძის თანახმად, დაკრძალულია მოტყიერის წმ. გიორგის სახ. ტაძარში. მეუღლე მატრონა მარკოზის ასული (დაბ. 1836წ., 1906 წელს უკვე გარდაცვლილია). შვილები არ ჰყავდა.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №4105; საქმე №7127; საქმე №39668; საქმე №42342; საქმე №49342; გაზ. „ივერია“ 1889წ. №260, გვ. 3; 1890წ. №49, გვ. 2; ჟურნ. „მწყემსი“ 1889წ. №22, გვ. 9-10; 1890წ. №6-7, გვ. 6-7; 1908წ. №10, გვ. 2; ჟურნალი „შინაური საქმეები“ 1912წ. №25, გვ. 11; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1891г. №12; 1901г. №11; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1913г. №10.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“, ქ. ქუთაისი, 2008წ. გვ. 90; გვ. 122; გვ. 136.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ცივილიზაციის ისტორიაში, — განაცხადა კოპტური ეკლესიის პატრიარქმა თეოდორიუს II-მ, — ჩვენ მოწმენი ვართ უპრეცედენტო მოვლენისა: იხსნება ახალი ჰორიზონტი ჩვენი საყვარელი სამშობლოს წინაშე ეგვიპტელი ხალხის გულწრფელი და სავსე სიყვარულის წყალობით".

„ჩვენ ერთნი ვართ და მუდამ ერთნი ვიქნებით, — დასძინა პრეზიდენტმა, — ერთი წლის წინ, შობის დღესასაწაულზე, ქაიროში, წმინდა მარკოზის ტაძარში ვუთხარი პატრიარქ თეოდორიუსს, რომ მალე ერთად ვიდღესასწაულებდით ახალი ტაძრისა და ახალი მეჩეთის მშენებლობის დასრულებას. და აი, დანაპირები აღსრულდა". პრეზიდენტმა ასევე დასძინა, რომ მისი ხელისუფლება გეგმავს 14 ახალი ქალაქის აგებას, სადაც ასევე ერთდროულად აიგება ქრისტიანული ტაძრები და მეჩეთები.

ამასთან, საზეიმო ცერემონიაზე ქვეყნის მთავარმა იმამმა ბრძანა, რომ ქრისტიანული ტაძრისა და მეჩეთის ერთ დღეს გახსნა ძმური სიყვარულის გაცხადებაა. ისლამი მუდამ დაიცავს არა მარტო მეჩეთებს, არამედ ქრისტიანულ ტაძრებსა და ებრაულ სინაგოგებს ქვეყანაში.

თუმცა მოგვიანებით, შობიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, ეგვიპტეში მასობრივად დაიწყო ძველი ქრისტიანული ტაძრების დახურვა და გაგრძელდა ხელისუფლების მხრიდან ქრისტიანებზე ზეწოლა.

„პრეზიდენტმა გადადგა ნაბიჯი — გახსნა ტაძარი, ახლა მან რაღაც უნდა მოიმოქმედოს, რომ დაიცვას ქრისტიანთა უფლებები სხვა ტაძრებში ღვთისმსახურების ჩატარებისა და რწმენის აღმსარებლობისა", — განაცხადა კლერ ევანსმა Iნტერნატიონალ ჩჰრისტიან ჩონცერნ-ის რელიგიურმა მენეჯერმა ახლო აღმოსავლეთში.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი
1857 — 1914

დეკანოზი ერმალოზ ლუკას ძე კანდელაკი ქუთაისის გუბერნიაში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. საღვთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი ქუთაისის საკათედრო ტაძარში ისწავლა. 1882 წლის 13 სექტემბერს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში ყველა ზედა განყოფილების პარალელური კლასის ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა. მასვე დაევალა მაღალ და საშუალო განყოფილებებზე მოსამზადებელ კლასებში მართლწერის სწავლება. იმავე წლის 24 სექტემბერს კლასის დამრიგებლად დაინიშნა. 1884 წლის 1 სექტემბრიდან შეთავსებით დაევალა III კლასებში გეოგრაფიის სწავლება.

ერმალოზი სასწავლებელში აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. იმჟამად სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში რამდენიმე პრობლემა არსებობდა. ერთ-ერთი პრობლემა სასწავლებლის მარტვილიდან სენაკში გადმოტანა გახლდათ. საზოგადოების ნაწილი თვლიდა, რომ სენაკში წყალი და ჰაერი „უვარგისი" იყო, თანაც არ იყო შესაბამისი შენობა, ჰიგიენური პირობები და ასე შემდეგ, ხოლო მარტვილში საუკეთესო მდგომარეობა გახლდათ, ერმოლაოზი ბევრს წერდა ამასთან დაკავშირებით და ცდილობდა, თავისი სატკივარი უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებამდე ზუსტად მიეტანა. ახალი სენაკის სასწავლებლის დიდ ნაკლად პარალელური განყოფილებების არარსებობა იყო, ამიტომ ყოველ წელს უამრავი შეგირდი ირიცხებოდა სასწავლებლიდან. ერმალოზმა რამდენჯერმე საკმაოდ ვრცლად ისაუბრა ამ პრობლემებზე, რის გამოც 1885 წლის 16 იანვარს კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) მადლობა გამოუცხადა. 1885 წლის 17 მაისიდან იგი უმაღლეს მოსამზადებელ კლასებში საღვთო სჯულის და IV კლასში გეოგრაფიის პედაგოგად დაინიშნა.

1886 წლის 17 მაისს ერმოლაოზი თავს ანებებს სასწავლებელს და სასულიერო ასპარეზზე იწყებს მოღვაწეობას.

1886 წლის 30 აგვისტოს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) იგი დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 7 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და კულაშის მაცხოვრის ჯვარცმის სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესა. 1888 წლის დეკემბერში გამოჩინებულის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1889 წლის 12 მაისიდან კი კულაშის ოლქის მთავარხუცესია.

ბევრი სამუშაო გასწია მამა ერმალოზმა თავის ოლქში. პირველ რიგში, სასწავლებლის დაარსება განიზრახა და ეს საკითხი დასვა კულაშის საზოგადოებაში. 1894 წლის თებერვალში ვინმე კონსტანტინე მკურნალის თაოსნობითა და მღვდელ ერმალოზის ლოცვა-კურთხევით დაარსდა და გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებელი, დაინიშნა ადგილობრივი დირექტორი. მასწავლებლად ინსტიტუტში სწავლადამთავრებული გ. ხოშტარია მოიწვიეს. ამის შემდეგ მოძღვარმა ზრუნვა სამკითხველოს დაარსებაზე დაიწყო. აი, რას წერდა იგი ქართულ პრესაში: **„ერთი რამ თვალსაჩინო დაწესებულება აკლია კულაშის საზოგადოებას, — ეს გახლავთ სამკითხველო. მართალია, ერთმა პატივცემულმა კნეინამ იკისრა სამკითხველოს დაარსება, მაგრამ ვერ დაამთავრა. იმოდენად განვითარებული თავად-აზნაურობაა ჩვენს ტურფა სოფელში, იმედია, მათგან თანაგრძნობა არ მოგვაკლდება. სამკითხველო შეიძლება ადვილად მოთავსდეს რომელიმე სასწავლებლის ოთახში. მისი არსებობისათვის თითო აბაზი რომ გამოიღონ, საკმარისია და ჩინებულადაც გაჩაღდება ეს გონების განმავითარებელი საუნჯე“.**

დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი

1891 წლის 1 ივლისს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან გაიხსნა ძმობა წმ. დავით აღმაშენებლის სახელზე, რომელთაც დაევალათ ღარიბ სასულიერო პირთა შვილების მფარველობა და შეწევნა. ამისთვის ეპისკოპოსმა გაბრიელმა თავისი ეპარქიის სამღვდელოებას მოუწოდა გაეღოთ შეწირულება ამ ძმობის სასარგებლოდ. მღვდელმა ერმალოზმა სასწრაფოდ შეკრიბა თავისი ოლქის სამღვდელოება, იმსჯელეს და შემდეგი დაადგინეს: **„ჩვენ, სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთ კულაშის ოლქისა, მოვისმინეთ შინაარსი ქუთაისის სასწავლებლის სამმართველოს მოწერილობისა ამ სასწავლებელთან დაარსებული ძმობის შესახებ და ვაცხადებთ, რომ ჩვენ ყველანი ღარიბნი ვართ: თვითოეული ჩვენგანი იხდის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესანახავად ნახევარს იმა ჯამაგირისას, რაც გვეძლევა ხაზინისაგან; სამრევლოსაგან შემოსავალი თანდათან კლებულობს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში; მაგრამ მიუხედავად ამისა, გამსჭვალულნი ქრისტიანულის მზრუნველობით ღარიბ მშობელთა შვილების შესახებ, რომელთაც სწყურიანთ განათლება, მაგრამ არა აქვსთ შეძლება ამისათვის, ვსცანით მათთვის ფრიად სასარგებლოდ აღნიშნული ძმობის დაარსება და თანაგრძნობით მივეგებეთ ჩვენი მთავარხუცესის მამა ერმოლაოზის წინადადებას, განვაცხადეთ სურვილი ჩავეწეროთ ამ ძმობის წევრებად და ყოველწლობით შევიტანოთ ქვემოთ აღნიშნული ხვედრი ფული 85 მანეთი“.**

1894 წელს კულაშის მცხოვრებმა გლეხმა გოგია გულას ძე სტურუამ კულაშის ჯვარცმის ტაძარს შესწირა 370 მანეთად ღირებული ძვირფასად შემკული აღსავლის კარები და 11 თუმნად ღირებული შესამოსელი, რისთვისაც მამა ერმალოზმა ჟურნალ „მწყემსში“ მას დიდი მადლობა გადაუხადა და მოუწოდა სოფლის სხვა უფრო მდიდარ მაცხოვრებლებს მიებაძათ ამ ქველმოქმედი კაცისათვის. 1896 წელს მღვდელმა ერმალოზმა საკმაოდ ვრცელი და საინტერესო ქადაგება წარმოთქვა განსვენებული იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის დაკრძალვაზე.

1898 წელს მღვდელი ერმალოზი სამტრედიის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში გადაიყვანეს.

1901 წლის 1 ივნისს კულაშის საზოგადოებას ესტუმრა იმერეთის ეპარქიის ახალი ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილთან და საკათედრო ტაძრის კრებულთან. სამტრედიის სადგურზე მეუფეს დახვდნენ მთავარხუცესი, მღვდელი ერმალოზ კანდელაკი, სამტრედიის ბოქაული ბ-ნი მახარაძე, კულაშის საზოგადოების მამასახლისი და იქიდან წარუძღვნენ კულაშის ჯვარცმის ტაძარში. იმ დღეს კულაშის ტაძრის დიდი ეზო სავსე იყო ხალხით. იქ შეკრებილნი, თავადი თუ გლეხი, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ყმაწვილი ყველა გრძნობდა გამოცოცხლებასა და ძალას. ეკლესიაში გალობდა კულაშის სკოლის მოსწავლეები, სკოლის ზედამხედველ ბ-ნ მკურნალის ლოტბარობით, რომელიც მძიმე ავადმყოფობამ ვერ დააკავა და სხვებთან ერთად შეეგება მღვდელმთავარს. ეკლესიაში შესვლისთანავე მის მეუფებას ვრცელი სიტყვით მიმართა მღვდელმა ერმალოზმა. დასასრულს მან ეპისკოპოს ლეონიდეს მრევლის სახელით ძვირფასად შემკული წმ. ნინოს ხატი აჩუქა.

1905 წელს დეკანოზი ერმალოზი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში საღვთო სჯულის მასწავლებლად და კარის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს. 1910 წლის მაისში იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) იგი იმერეთის ეპარქიალური სასწავლო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა. 1910 წელს უცნობმა ავტორმა ქართულ პრესაში გამოაქვეყნა წერილი, სადაც სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების დაკნინებაზე საუბრობდა. იგი წერდა, რომ სანამ რეაქცია ფეხს მოიკიდებდა, სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების საქმე კარგად იყო დაყენებული, შემდეგ კი სასუ-

ლიერო მთავრობის განკარგულებით საქმე დაქვეითდაო. დეკანოზი ერმალოზი გამოეხმაურა ამ ცილისმწამებლურ წერილს და აღნიშნა, რომ ივნისის თვეში იგი თავად იყო ქუთაისის რამდენიმე სკოლაში რევიზიაზე და კარგი შთაბეჭდილებებით დატოვა იქაურობა. იგი წერდა: **„ბავშვებს მშვენივრად შეუსწავლიათ დედა-ენიდან ლექსები და იგავ-არაკები. მესამე განყოფილებაში „ბუნების კარი“ და „გუთანიც“ უკითხავთ და რაც გაუვლიათ, შეგნებით იციან. წერა ქართულად ყველგან საუცხოოდ არის დაყენებული“.**

1911 წელს დეკანოზი ერმალოზი არასასურველ ვითარებაში აღმოჩნდა, რასაც მისი დასჯა და ბაქოში გადაყვანა მოჰყვა. აი, რას წერდა გაზ. „სახალხო გაზეთი“ ამ ფაქტზე: **„ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელს იურკევსკის მძიმე ბრალდება აღმოუჩნდა. მას სწამებენ, რომ გამოცდების დროს უფროსკლასელებს ქრთამებს ართმევდა და სამაგიეროდ წინდაწინვე აუწყებდა მათ, რა თემა ექნებოდათ რუსულ ენაშიო. ამაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ ქუთაისში, მაგრამ მხილების ინიციატივას არავინ ტვირთულობდა. ასეთი როლი თავს იდვა საღვთო სჯულის მასწავლებელმა, დეკ. ერ. კანდელაკმა, რომელსაც ქალაქში გავრცელებულ ხმებზე ულაპარაკნია რამდენიმე მასწავლებელთა შორის. ერთს ამ უკანასკნელს უცნობებია დირექტორისთვის, ამ უკანასკნელს კი სამოსწავლო ოლქის მზრუნველისთვის, რის შემდეგაც ოლქის ინსპექტორი სლოვინსკი ქუთაისში გაჩნდა და იურკევსკი-კანდელაკის ინცინდეტის საქმის გამოძიება დაევალა. რით გათავდება ეს საქმე, წინადაწინ ძნელი სათქმელია, რადგან გამოძიება საიდუმლოებით არის მოცული. მომავალი, რასაკვირველია გვაჩვენებს, რამდენად საფუძვლიანია დეკანოზ კანდელაკის ბრალდება, მაგრამ თვით აღძვრა ასეთი საკითხისა იმისი მომასწავებელია, რომ საშუალო სასწავლებელში, საცა 700-ზე მეტი მოსწავლეა, საქმე წესიერად არ არის წარმართული“.**

ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)

სამწუხაროდ, ამ ინციდენტმა შეიწირა დეკანოზი ერმალოზი. მიუხედავად იმისა, რომ მისი დანაშაული თითქმის არ იკვეთებოდა ამ საქმეში, იგი მოხსნეს კლასიკური გიმნაზიიდან და ქ. ბაქოში გადაიყვანეს. არ უშველა მას არც ეპისკოპოს გიორგისა და არც გინაზიის დირექტორის რეკომენდაციამ და თხოვნამ, ძველ ადგილზე დაეტოვებინათ.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზია

იმავე, 1911 წელს, მეორე მძიმე დანაკლისი განიცადა მოძღვარმა. 1911 წლის 12 ივლისს კურორტ ბახმაროში გარდაიცვალა მისი სულიერი შვილი, ცნობილი ქართველი ფოლკლორისტი, ლოტბარი, ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართული მრავალხმიანი გალობის ნოტებზე გადამტანი, აწ წმინდათა დასში შერაცხული ფილიმონ ქორიძე. მის ხსოვნას მან საკმაოდ ვრცელი წერილი მიუძღვნა გაზეთ „კოლხიდაში“.

ბაქოში გადასახლებული მოძღვარი შეძლებისდაგვარად აგრძელებდა მსახურებას. 1913 წელს ქართული პრესაში კიდევ ერთხელ გვხდება იგი, როდესაც ბაქოში ქართველებმა წმ. ნინოს დღესასწაული გადაიხადეს: **„ნინოობა დღეს ბაქოელებმაც იდღესასწაულეს. ამ დღეს პირველად ეღირსნენ აქაური ქართველები წირვა-ლოცვას დედაენაზე. წირვა სამმა ქართველმა მღვდელმა გადაიხადა აქაურ ფლოტის ეკლესიაში. გალობდა ამ დღისათვის შემდგარი ქართული გუნდი. მთელი წირვა და საგალობლები ქართულად შეასრულეს. მღვდელმა ერმალოზ კანდელაკმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა. წირვას დაესწრნენ ქართული სკოლის მოსწავლენი და დიდძალი ქართველობა“.**

ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული სამსახურისთვის დეკანოზი ერმალოზი დაჯილდოებული იყო: 1889 წელს საგვერდულით; 1892 წლის მარტში — სკუფიით; 1895 წლის 6 მაისს — კამილავკით; 1899 წლის 6 მაისს — სამკერდე ოქროს ჯვრით; 1901 წლის 3 თებერვალს — წმ. ანას III ხარისხის ორდენით; 1903 წლის 15 მაისს — დეკანოზის წოდებით.

დეკანოზი ერმალოზი 1914 წლის 5 ოქტომბერს გარდაიცვალა. დარჩა მეუღლე — ივდით ალექსის ასული (დაბ. 1865წ.) და შვილი — ვასილი (დაბ. 1889წ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №42690; ჟურნალი „მწყემსი“ 1885წ. №17, გვ. 6; 1891წ. №24, გვ. 11-12; 1894წ. №15-16, გვ. 18; გაზ. „ივერია“ 1894წ. №149, გვ. 3; გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1897წ. №310, გვ. 4; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1892წ. №9; 1895წ. №11; 1901წ. №15-16; 1903წ. №11; 1899წ. №11; გაზ. „სახალხო გაზეთი“ 1910წ. №85, გვ. 4; 1911წ. №331, გვ. 3; გაზ. „კოლხიდა“ 1911წ. №95, გვ. 2-3; გაზ. „შინაური საქმეები“ 1913წ. №2, გვ. 11; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1914წ. №24; გაზ. „სახალხო ფურცელი“ 1915წ. №395, გვ. 1.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“, ქ. ქუთაისი, 2008წ. გვ. 82; გვ. 110.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

მზეთამზე
გეოვანი პური

"წითელი დოლი" - ცეხვილი რუხი პური

„მზეთამზეს“ ყველა სახეობის პური:

* არის გემრიელი
* არის სასარგებლო
* შედგება 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან
* შეიცავს მხოლოდ ფქვილს, წყალს, მარილსა და „პურის დედას“
* ცხვება მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით
* გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი საფუარი -„პურის დედა“
* „პურის დედა“ შეიცავს მხოლოდ ფქვილსა და წყალს
* ინახება ხანგრძლივად

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: # GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

არქიმანდრიტი ლეონტი (ბაქრაძე) 1829 — 1907

არქიმანდრიტი ლეონტი, ერისკაცობაში ლეონ ზაქარიას ძე ბაქრაძე, 1829 წელს თბილისის მაზრის სოფ. უჯარმაში, ღარიბი მღვდლის ოჯახში დაიბადა. იგი გახლდათ ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890წწ.) უმცროსი ძმა. ბაქრაძეების ეს შტო წარმოშობით ხაშურის რაიონის სოფ. ოსიაურიდან იყო. თავად არქიმანდრიტი თავისი წინაპრების სოფ. ხაშმში გადმოსახლების ამბავს ასე გვიამბობს: **„პაპაჩვენი ანდრია პატარაობისას ლეკებს მოუტაცნიათ ოსიაურიდან და ტყვედ წაუყვანიათ. საბრალო დედამისი, რომელსაც იმის მეტი შვილი არა ჰყოლია, გადასულა ლეკებში დედისერთა შვილის ტყვეობიდან გამოსახსნელად, რასაკვირველია, არა სასყიდლით, რადგანაც ღარიბი ყოფილა, არამედ ხვეწნითა და მუდარით. ლეკებს შეუბრალებიათ საწყალი დედაკაცი, ვინ იცის, საიდან მოსული და რამოდენა ჭირისა და ვაგლახის მნახველი იმსიშორე გზაზე, და როგორც იყო, შვილი დაუნებებიათ დედისათვის. ამბობენ, ვითომც მაშინდელს იმამს ჩაჰვარდნია შეწუხებული დედა ფეხქვეშ თხოვნითა და ვედრებით და იმას შეუწყალებია და შვილი უჩუქებია. როცა დედას შვილი წამოუყვანია, გამოუვლია კახეთი, გადმოსულა გომბორს და ჩამოსულა ხაშმში. აქ ხაშმში მაშინ იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ბერები ყოფილან და მონასტრის წინამძღვრად ჰყოლიათ არქიმანდრიტი ხარიტონი, რომელმაც იქ ეკლესია ააშენა ბოლოს. ამ მონასტერში სკოლა ჰქონიათ ბერებს. მათ დედისთვის ურჩევიათ თავისი შვილი აქ სკოლაში მიებარებინა. მასაც მიუბარებია და ანდრიას მონასტრის სკოლაში უსწავლია წიგნი და საღმრთო წერილი. როცა წამოზრდილა, ხაშმშივე შეურთავს გლეხის ქალი, ზესიძედ შესულა, ბოლოს უკურთხებიათ კიდეც მღვდლად. იგი ხაშმში დაბინავებულა და მიუღია ცოლის გვარი — თევდორაშვილი. თავად მამაჩემიც, მღვდელი ზაქარიაც ერთ-ორ წელიწადს მღვდლად კურთხევის შემდეგ თურმე ამ გვარს აწერდა და მხოლოდ მას მერმედ დაბრუნებია მამაპაპისეულს გვარს — ბაქრაძეს“.**

მღვდელი ზაქარია 1790 წელს დაიბადა. ქართულ ენაზე წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. მონასტერში ისწავლა. 1814 წლის 15 აგვისტოს რუსთველ-ნინოწმიდელმა მიტროპოლიტმა სტეფანემ (ჯორჯაძე) იგი დიაკვნად აკურთხა. 1815 წლის 8 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ხაშმის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში განამწესა. ჰქონდა ჯილდო — ბრინჯაოს ჯვარი. 1818 წელს აღმოსავლეთ საქართველოში შტატების გადანაწილების შემდეგ ხაშმის ტაძარში მედავითნის შტატში დაადგინეს. 1830 წელს ყარაბულახის, თავად თადია ჩოლოყაშვილის მამულში, წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1831 წელს დეკანოზი იოანე ნახუცრიშვილი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას წერდა, რომ ძალიან გაუჭირდა მეორე მღვდლის გარეშე, რადგან ის მთავარხუცესია, სხვა საქმეც ბევრი აქვს და მღვდელი ზაქარიას უკან, ხაშმის ტაძარში დაბრუნება ითხოვა, რაც შეუსრულეს.

მამა ზაქარიას ჰყავდა მეუღლე — ნინო რამაზის ასული ქოქრაშვილი (დაბ. 1801წ.) და შვიდი შვილი: დავითი, მღვდ. მიხეილი (დაბ. 1822წ.), დიმიტრი (დაბ. 1826წ.), დეკ. ლეონი (1830-1907წწ., შემდგომში — არქიმანდრიტი), სიმონი და ორიც ასული, რომელთა სახელები ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია.

1857 წელს **ლეონმა** თბილისის სასულიერო სემინარია წარჩინებით დაასრულა. 1857 წლის 14 აგვისტოს გორის ეპისკოპოსმა იოანემ (ავალიანი) დიაკვნად აკურთხა, მეორე დღეს ეგზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკი) მღვდლად დაასხა ხელი და ძველი გავაზის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარში დაინიშნა. 1861 წლის 24 მარტს საინგილოს ოლქის მთავარხუცესს, მღვდელ ეროდიონ ელიოსიძის თხოვნით, სოფ. ძაგემის სამრევლოში გადაიყვანეს. 1862 წლის 11 იანვარს მასვე ჩააბარეს სოფ. თასმალოს სამრევლოც. 1862 წლის 18 ოქტომბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1865 წლის 2 ივნისს უჯარმის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1868 წელს სკუფია უბოძეს. 1879 წლის 29 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1882 წლის 6 ივნისს თბილისის მაზრის III ოლქის მთავარხუცესად

დიმიტრი ბაქრაძე

დაინიშნა. 1883 წლის 29 მარტს სამაგალითო სამსახურისთვის წმ. სინოდისგან სამადლობელი სიგელი მიიღო. 1885 წლის 28 ოქტომბერს, ავადმყოფობის გამო, თავისი თხოვნის საფუძველზე, მთავარხუცესის პოსტიდან გადადგა. 1886 წლის 22 მარტს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1889 წლის 6 მარტს ხაშმის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაადგინეს. 1891 წლის აგვისტოში ხაშმის ყოვლადწმინდა სამების სახ. ძველ მონასტერთან, არქიმანდრიტ მაკარის (მატათაშვილი) მიერ ახლადგახსნილი სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1892 წლის 1 მაისს ისევ აირჩიეს მთავარხუცესად. 1896 წლის 28 ივლისს სიონის საკათედრო ტაძარში ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიავლენსკი) მღვდელ ლეონს დეკანოზის წოდება მიანიჭა. 1898 წლის 1 ოქტომბერს გადადგა მთავარხუცესის თანამდებობიდან. 1899 წლის 23 იანვარს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. მამათა მონასტერში გორის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დეკანოზი ლეონი ბერად აღკვეცა და სახელად ლეონტი უწოდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია“ წერდა: **„შაბათს საღამოს, 23 იანვარს, ტფილისის ფერისცვალების ანუ დარიის მონასტრის ეკლესიაში, მწუხრის შემდეგ, ცისკარზედ, „დიდება მაღალისას“ გათავებისას, მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, გორის ეპისკოპოსმა ლეონიდმა ბერად აღკვეცა დეკანოზი მამა ლევან ბაქრაძე, რომელიც უმაღლესის მთავრობის განკარგულებით და თვისის სურვილისამებრ დანიშნულია ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის წინამძღვრად. სახელად ეწოდა ლეონტი. კურთხევას აუარებელი ხალხი დაესწრო და, მათ შორის, სამღვდელოებაც. მწუხრ-ცისკარზედ ჰგალობდნენ ადგილობრივი მონასტრის მგალობელნი. ხოლო კურთხევის წინ საგალობელი „წიაღნი მამულნი განმიხვენ წყალობით“ თვით მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ ლეონიდმა იგალობა. მწუხრ-ცისკარი 5 საათზედ დაწყებილი საღამოს 8 საათზედ გათავდა. მეორე დღეს, კვირას, წირვაზედ, თვისს ეკლესიაში მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ აკურთხა მამა ლეონტი არხიმანდრიტად... წლების მანძილზე ეკლესიაში მსახურების განმავლობაში მამა ლეონტიმ დიდი პატივი და სიყვარული დაიმსახურა იმ მრევლისა, სადაც იგი ჰმსახურებდა“.**

მღვდელი ლუკა ბაქრაძე

1899 წლოს 24 იანვარს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა და ხირსის წმ. სტეფანეს სახ. მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. იმავე წლის 1 თებერვალს აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრების მთავარხუცესად დაადგინეს და ამ პოსტზე მან 1903 წლამდე დაჰყო. არქიმანდრიტი ლეონტი 1907 წელს გარდაიცვალა. ერისკაცობაში ჰყავდა მეუღლე — ანა ყირმელაშვილი, რომელიც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. მამა ლეონტის მისგან

არქიმანდრიტი ლეონტი (ბაქრაძე)

დარჩა ერთი ასული — მარიამი (1865-10.03.1951წწ., რომელიც იყო მღვდ. იოსებ ანტონის ძე კოშორიძის მეუღლე).

მღვდელი გახლდათ ასევე მამა ზაქარიას უფროსი ვაჟის, დავითის ძე — ლუკა, რომელიც სოფ. პატარძეულში ღვთისმშობლის ხარების სახ. ტაძრის წინამძღვრად მსახურობდა და ადრეულ ასაკში, 1879 წლის 14 მარტს გარდაიცვალა. მას ჰყავდა შვიდი შვილი: სამი ვაჟი და ოთხი ასული, რომელთაგან სამი ცოლად სასულიერო პირს გაჰყვა: მარიამი (დაბ. 1859წ., იყო მღვდ. ნიკიფორე მოსეს ძე კანდელაკის მეუღლე), ნატალია (დაბ. 1869წ., პროტოპრესვიტერ ანტონ მაქსიმეს ძე თოთიბაძის მეუღლე), ანასტასია (დაბ. 1877წ., დეკანოზ სვიმონ ზაქარიას ძე ექვთიმიშვილის მეუღლე).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №1641; საქმე №22439; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №3212; საქმე №43896; საქმე №44458; საქმე №46866; საქმე №62080; ფ. 500, აღწერა 5, საქმე №261; ჟურნალი „მწყემსი“ 1886წ. №; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1891წ. №16; 1892წ. №10, 1896წ. №11; №16; 1898წ. №20; 1899წ. №5; გაზეთი „ივერია“ 1899წ. №19, გვ. 2; მღვდელ ლუკა ბაქრაძის საოჯახო არქივი.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

მზეთამზე
გეემოვანი კუჭი

"ლომთაგორა" - ცეხვილი რუხი პური

„მზეთამზეს“ ყველა სახეობის პური:
- არის გემრიელი
- არის სასარგებლო
- შედგება 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან:
  შეიცავს მხოლოდ ფქვილს, წყალს, მარილსა და „პურის დედას“
- ცხვება მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით
- გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი საფუარი - „პურის დედა“:
  „პურის დედა“ შეიცავს მხოლოდ ფქვილსა და წყალს
- ინახება ხანგრძლივად

* იყიდება ქსელურ სუპერმარკეტებში: 2 ნაბიჯი, ევროპროდუქტი, გუდვილი, ეკონომიქსი, ზღაპარი, ნიკორა, ფრესკო, ჯლ მარკეტი, უნივერსამი.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.

9 772587 506008

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძეული, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი ბენიამენ კონტრიძე 1870-1939

„ვისურვებთ, რომ სხვა სოფლებშიაც გამოსულიყოს თითო-ოროლა იმის მსგავსი მღვდლები"

დეკანოზი ბენიამენ ბესარიონის ძე კონტრიძე 1870 წლის 1 ივნისს ქუთაისის გუბერნიაში, ოზურგეთის მაზრის სოფ. ლიხაურში მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1886 წელს დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1886-1892 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. 1892 წლის 2 თებერვალს, ეგზარქოსის კარის წმ. ჯვრის სახ. ეკლესიაში, წირვის დროს, ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) სტიქარი უკურთხა. 1892 წლის 12 აპრილიდან 1895 წლის 18 სექტემბრამდე თბილისის სამისიონერო ღვთისმშობლის სახ. ტაძრის მედავითნე და რიყის სამრევლო-საეკლესიო სკოლის პედაგოგი იყო. 1895 წლის 24 სექტემბერს დიაკვნად აკურთხეს, იმავე წლის 26 სექტემბერს მღვდლად დაასხეს ხელი და მოხისის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1896 წლის მარტში მოხისის სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის პედაგოგად დაადგინეს. 1896 წლის 2 ოქტომბერს მასვე დაევალა გორისა და დუშეთის მაზრებში არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურეობა. 1898 წლის 10 იანვარს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1898 წლის 7 ივნისს მოხისში აკურთხეს პირველდაწყებითი სამრევლო სკოლის ახალი შენობა. კურთხევას დაესწრნენ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი სერაფიმე, იმავე სემინარიის მეთვალყურე ნ. მამინეიშვილი, ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ნ. ტატიშვილი და მახლობელი სოფლის სამღვდელოება. ამასთან დაკავშირებით გაზ. „ივერია" წერდა: **„ახალის მღვდლის მ. ბენიამინ კონტრიძის დანიშვნის შემდეგ, რომელიც სულითა და გულით ერთგულია თვისის მოვალეობისა, მოხისის სკოლის საქმე ჩინებულად წავიდა. იმისდა მიუხედავად, რომ მოხისელები მოუხეშავი ხალხია და სკოლას ეჭვის თვალით უყურებენ, მ. კონტრიძემ მოახერხა მშვენიერის სკოლის გაკეთება მოხისში და როდესაც ხალხმა დაინახა, რომ მათი მოძღვარი უანგაროდ შრომობდა სკოლისათვის, სულ სხვანაირად იცვალა გული სკოლაზე, რაიცა ცხადად სჩანდა 7 ივნისს, სკოლის კურთხევის დღეს. დღეს მოხისის სკოლაში სწავლობს 37 ყმაწვილი, რომელთაც ასიამოვნეს თავისის ცოდნით, გალობა-სიმღერების თქმით და ზრდილობით დამსწრე საზოგადოება. მამა რექტორს, რომელმაც შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, და ეპარქიის მეთვალყურეს ტატიშვილს ძალიან მოეწონათ სკოლა და ისურვეს, რომ ამისთანა სკოლა ბევრ სხვა სოფლებსაც ჰღირსებოდეს".** იმავეს წერდა მეორე ქართული გაზეთი „ცნობის ფურცელი": **„რაც მამა ბენიამენ კონტრიძე დანიშნეს გორის მაზრის საეკლესიო სკოლის მეთვალყურედ, იმდღიდგან სკოლების საქმე მიდის წარმატებაში. 24 ოქტომბერს აკურთხეს სოფ. ფცაში საეკლესიო-სამრევლო წერა-კითხვის სკოლა. წირვა რომ გამოვიდა, სკოლა აკურთხეს, გალობდა მოხისის საეკლესიო სკოლის ხორო, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხ-კაცობაში".**

მოხისის წმ. გიორგის ეკლესია

1899 წლის 26 თებერვალს მოხისის სკოლაში ნაყოფიერი პედაგოგიური სამსახურისთვის საქართველოს ეპარქიალურმა სასწავლო საბჭომ მადლობა გამოუცხადა. 1899 წლის 5 ოქტომბერს თბილისის იერუსალიმის წმ. ჯვრის სახ. ტაძარში გადმოიყვანეს. 1899 წლის 27 ოქტომბერს თბილისი-ბორჩალოს მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ, საქართველოს ეპარქიალური სასწავლო საბჭოს უშტატო წევრად და ხარფუხის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ დაინიშნა. 1899 წლის 1 ნოემბერს თბილისის საბაღოსნო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. მღვდელ ბენიამენის გადაყვანამ დიდად დაამწუხრა მოხისის მრევლი. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით ქართული პრესა: **„ამ სამი-ოთხი წლის წინად სოფელი მოხისი თითქმის უკანასკნელ სოფლად ითვლებოდა სწავლა-განათლების მხრივ. მაგრამ, როგორც გარემოებამ აღმოაჩინა, ხალხი დაუდევარი კი არ ყოფილა, არამედ არ ჰყოლია მას წინამძღოლი, რომ გზა ჭეშმარიტებისა ეჩვე-**

ნებინა. 1895 წელს აქ გამოამწესეს ახალგაზრდა მღვდელი ბენ. კონტრიძე. მოსვლისთანავე ის შეუდგა სკოლის დაარსებისათვის ზრუნვას. თუმცაღა, სოფელში აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მღვდელს სკოლის დაარსების საქმეში: „მამაო, ნუ გვღუპავ, ნუ გაგვიმართავ სკოლას! მღვდლად ხარ განწესებული და მღვდლობა გასწიე; დანარჩენზე თავი დაგვანებეო", მაგრამ როდესაც გაიგეს სწავლის გემო, იმ წინააღმდეგების შვილებიც ბევრი სწავლობენ ეხლა მოხისის სამრევლო სკოლაში, და ადგილიც აღარ არის ახლად მოყვანილ ბავშვებისათვის. ეკლესიის გალავანში მოთავსებულია სკოლის შენობა, რომელშიაც სწავლობს 70-მდის მოსწავლე ორთავე სქესისა. კვირა-უქმე დღეობით ეკლესიაში ჰგალობს მოსწავლეებისაგან შემდგარი გუნდი. მამა ბენიამენისავე მეცადინეობით ეკლესიასა და სკოლას ქვითკირის გალავანი შემოავლო სოფელმა, გაამშვენიერა შიგნითა და გარეთ ეკლესია და სხვ. მამა ბენიამენს არ დაუტოვებია აგრეთვე უყურადღებოთ სხვა მეზობელი სოფლებიც. იქ ბევრგან დაარსა წერა-კითხვის სკოლები და აღმოუჩინა მათ შესანახი წყარო. ერთის სიტყვით, ის ამ სამი წლის განმავლობაში ასრულებდა ჭეშმარიტი მოძღვრის მოვალეობას და დიდი სიყვარულიც დაიმსახურა ხალხისა. კიდევ ბევრ კარგის გაკეთებას მოველოდით მისგან, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ის გადაყვანილ იქმნა ტფილისში. ვისურვებთ, რომ სხვა სოფლებშიაც გამოსულიყოს თითო-ოროლა იმის მსგავსი მღვდლები და ისეთი სახელი დაემსახურებინოთ, როგორიც დასტოვა პატივცემულმა მამა ბენიამენმა მოხისსა და მის მახლობელს ხეობებში".

კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე (ციცქიშვილი)

1900 წლის 2 მაისს ხარფუხის წმ. ნიკოლოზის სახ. ბერძნულ ტაძარში დაინიშნა. 1900 წლის 26 მაისს სამრევლო-საეკლესიო სკოლებზე განეული მზრუნველობისათვის მღვდელმთავრული მადლობა გამოეცხადა. 1901 წლის 6 მაისს სკუფია უბოძეს. 1901 წლის 14 სექტემბერს გადადგა სკოლების მეთვალყურის პოსტიდან და ეპარქიალური საბჭოს უშტატო წევრობიდან. 1902 წლის 20 სექტემბერს თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის მმართველი საბჭოს წევრად აირჩიეს. 1902 წლის 18 ნოემბერს თბილისის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში საღვთო სჯულის პედაგოგად დაადგინეს. 1903 წლის მაისში თბილისის სასულიერო სასწავლებლის მმართველო საბჭოში სამღვდელოების წარმომადგენლად აირჩიეს. 1904 წლის 6 მაისს რუსეთის წმ. სინოდმა მადლობის ფურცელი სიგელით გადასცა. 1906 წლის 15 მაისს კამილავკა ეწყალობა.

სამოძღვრო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, დეკანოზი ბენიამენი აქტიურად იყო ჩართული ავტოკეფალურ მოძრაობაში და გვერდში ედგა იმჟამინდელ მოწინავე ქართველ სამღვდელოებას. 1905 წლის 18 თებერვლის რუსეთის იმპერატორის რესკრიპტის მიხედვით შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. გ. ბულიგინმა რუსეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს უფლება მისცა, გულახდილად გამოეთქვათ თავიანთი აზრი, თუ რა ღონისძიებებს შეიძლებოდა შეეწყო ხელი იმპერატორის მიერ **„გამოცხადებული, ხალხის საკეთილდღეოდ გამიზნული გარდაქმნების წარმატებით განხორციელებისათვის"**. ამასთან დაკავშირებით, ქართველმა სამღვდელოებამ გადაწყვიტა აღეძრა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების აღდგენისა. გადაწყდა, შეედგინათ პეტიციის პროექტი და მოეწვიათ სამღვდელოების ყრილობა, რომელიც 28 მაისს დაიგეგმა. ეს ამბავი ეგზარქოს ალექსის ყურებამდეც მივიდა და მან გადაწყვიტა ეს შეკრება ჩაეშალა. ეგზარქოსის ბრძანებით, ჟანდარმებს ებრძანათ 27 მაისს თბილისში ჩამოსული მღვდლები დაეპატიმრებინათ. საჭირო გახდა ამ უსიამოვნების თავიდან აცილება. გადაწყდა, საქმეში ჩაერიათ თბილისში ახლახან (5 მაისს) ჩამოსული მეფისნაცვალი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, ოღონდ ისე, რომ ინიციატივა თავად მას მისწერებოდა. გარემოებანი ხელს უწყობდა ამ ამბავს: იმხანად თბილისში იმყოფებოდა მეფისნაცვლის მეგობარი და თანამშრომელი, გენერალი ი. ა. ნაკაშიძე, რომელსაც კარგად იცნობდა მღვდელი ბენიამენი. სწორედ მამა ბენიამენი მივიდა თავად ივანესთან სამღვდელოების სახელით. ნაკაშიძემ, კეთილმა, გონიერმა კაცმა, პეტერბურგელ ქართველთა (განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის) მფარველმა და „მეგზურმა" მოუსმინა მამა კონტრიძეს და აღუთქვა, საქმეს მოვაგვარებო, ოღონდ სთხოვა, სამახსოვრო მომეცითო. ნაკაშიძემ ორჯერ წაიკითხა სამახსოვრო და მამა ბენიამენს უთხრა, ორი დღის შემდეგ შემომიარეო. დათქმულ დღეს მან მამა ბენიამენს უთხრა: **„მღვდლებს არავინ შეუშლის ხელს ჩამოსვლაში, ყრილობა ლეგალური იქნება, თავი წესიერად გეჭიროთ და თქვენი მოთხოვნები გაბედულად დაიცავით ბოლომდეო"**. მართლაც, ეგზარქოსმა ვეღარ შეუშალა ხელი ამ ყრილობას და ის ჩატარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობის ბოლო დღეს, 31 მაისს, მოხდა ინციდენტი, რის შემდეგაც ეს შეკრება კაზაკებმა და პოლიციამ დაარბია, რაც გახდა მიზეზი ეგზარქოს ალექსისა და თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის, არქიმანდრიტ ნიკანდრის რუსეთში გაწვევისა. ეს გამარჯვება არ აპატიეს ქართველ ავტოკეფალისტებს. ეგზარქოსმა საიდუმლო

დეკანოზი ბენიამენ კონტრიძე

პოლიციაში გააგზავნა თორმეტამდე ავტოკეფალისტი სასულიერო პირის სია. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით უწმინდესი კალისტრატე (ცინცაძე) თავის მოგონებებში: **„აღნიშნულ ქაღალდში დასახელებულ მოძღვრებთაგან ერთს, ილარიონ ჯაშს, გაუსნორდა ეგზარქოსი ნიკონი — გადაიყვანა ბაქოში, ბენიამენ კონტრიძემ თავი შეაფარა ყაზანის უნივერსიტეტს, დანარჩენების ბედ-ილბალი ჩაუვარდა ხელში ინოკენტის, რომელმაც პირველი იერიში მოიტანა სნორედ ჩემზე მოიტანა“.**

1907-1911 წლებში მღვდელი ბენიამენი ყაზანის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ-ისტორიული ფაკულტეტის ისტორიული განყოფილებაზე სწავლობდა. 1911-1913 წლებში სარატოვის საკათედრო ტაძარში მსახურობდა და იქაურ ქალთა პირველ გიმნაზიაში საღვთო სჯულს ასწავლიდა. 1913 წლის 29 ნოემბერს ბაქოს წმ. ნიკოლოზის სახ. საკათედრო ტაძარში გადაიყვანეს და ბაქოს ქალთა მეორე გიმნაზიისა და რკინიგზის სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა, სადაც 1920 წლამდე დარჩა. ამ წელს საქართველოში დაბრუნდა და დეკანოზის პატივით შემოსეს. 1920 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახ. საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) ენქერით დააჯილდოვა. 1920-1921 წლებში თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში სამოქალაქო ისტორიას ასწავლიდა და იყო საკათალიკოსო საბჭოს წევრი. 1921 წლის ივნისის დასაწყისში დროებით განამწესეს ნაბახტევის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში. 1921 წლის 28 ივნისს ალის ოლქის სამღვდელოებამ ურბნისის საეპარქიო კრებაზე დამსწრე დეპუტატად აირჩია. 1921 წლის 1 ივლისიდან იყო პრიუტის (ეხლ. ორბეთის) ღვთისმშობლის საფარველის სახ. ტაძრის წინამძღვარი. დეკანოზი ბენიამენი მონაწილეობდა 1921 წელს გელათში გამართულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესამე საეკლესიო კრებაზე. 1924 წლის 1 თებერვალს თბილისის ვერის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ დაინიშნა. იმავე წლის 28 თებერვალს იგი ეპ. ქრისტეფორეს სწერდა: **„უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს მეუფებას, განმანთავისუფლოდ საეპარქიო-სამეურნეო საბჭოში თქვენი წარმომადგენლობისაგან და აგრეთვე საეპარქიო სასამართლოს წევრობისაგან, რადგან 1 მარტიდან აღარ ძალმიძს სამსახური“.** მეორე დღეს მისი თხოვნა დაკმაყოფილეს. 1924 წლის 24 მარტი იგი ახალი წერილით მიმართავს ეპ. ქრისტეფორეს: **„გთხოვთ გამათავისუფლოთ ვერის ეკლესიის მღვდლობიდან და ჩამრიცხოთ შტატგარეშე ა/წ პირველი აპრილიდან იმ პირობით, რომ ნება მქონდეს სადაც და როდესაც მოვისურვებ ადგილობრივი მღვდლის დასტურით შემეძლოს საეკლესიო ღვთისმსახურება შევასრულო“.** მეორე დღეს გაათავისუფლეს და დართეს ნება. აქედან მოყოლებული ყოფილი მოძღვარი თბილისის სხვადასხვა სასწავლებლებში პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობდა. ერთი პერიოდი რკინიგზის დირექციაში მოანგარიშედ მსახურობდა.

დეკანოზ ბენიამენს ახლო მეგობრობა აკავშირებდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ, უწმინდეს და უნეტარეს ქრისტეფორესთან (ციცქიშვილი). შემორჩენილია წერილიც, სადაც მათი თბილი და მეგობრული ურთიერთობაა ასახული. წერილი უთარიღოა, მაგრამ იქ მოყვანილი ფაქტებით შეგვიძლია დავათარიღოთ 1925 წლის აპრილით: **„მეუფეო და მამაო ქრისტეფორე! მარიას მოკითხვა და სალამი ანიასაგან. უთხარი, გული დაიმშვიდოს, სწავლას მოესწრება, გობრიას შენი წერილი არ მიულია და, მაშასადამე, მეც აღარ წამიკითხავს იგი. ძლიერ გაკვირვებული ვიყავი, რომ ამდენ ხანს არა მოიწერე რა. მე მეგონა: „ალბათ სოხუმი არ მოეწონა, ანუ სოხუმს არ მოეწონა და აპირებს წამოსვლას ახლო ხანებში“. კმაყოფილი ვარ, რომ კმაყოფილი ხარ. ღვთის განგებამ და წინამოადგილეს გამჭრიახობამ შენთვის კარგი ნიადაგი შექმნეს და ახლა ჯანმაც თუ ხელი შეგინყო, საქმე სასურველად აეწყობა... ეფრემის ძებნას შეუდექი და იმედი მაქვს წამოვა, როდესაც ვეტყვი. რაც შეეხება სიკოს, ის ცოტა ითხლიშება. არც ვამტყუნებ, ფართე თვალსაზრისი მისთვის არათუ მიუღებელია, საშიშიც კი არის. კათალიკოსი არ მინახავს ჯერ ამ საქმეზე, მაგრამ უსიკოოდ მის თანხმობას რა მნიშვნელობა ექნება. რატომ დავით სალარიძეზე ჩემი თქმული უგულებელსჰყავ? ალბათ გაქვს მისგან ან უარი, ან კიდევ უარის მოლოდინი. ქართულ-რუსული გალობის მცოდნე პრიჩეტნიკი ძველადაც არ იშოვებოდა, ახლა მით უფრო ძნელი იქნება. ისე მღვდელი, თუ გინდ ანაფორა გახდილი, მოვძებნოთ. აქაური ამბებისა რა გითხრა, ვართ ძველებურად. გვეშინია, ჩუმადა ვართ, სხვებს ჰგონია, რაღაცას ვაკეთებთ და ეშინიათ. კათოლიკოსი ხვალ გამოვა საავადმყოფოდან და სადმე წავა დასასვენებლად. სამღვდელოებას ვერ შოულობენ სამრევლოები. ამას წინათ ხიდაშელი იყო აქ და დიდი პატივისცემით მოგიკითხა. მოციქულებრივი შური სჭამს მას, მაგრამ რაა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რას იზამს თანამედროვე პირობებში. ხშირად, ძლიერ ხშირად მეკითხებიან სხვადასხვა პირები შენს ამბავს, მაგრამ დღემდე ვერაფერ პასუხს ვერ ვაძლევდი. ახლა ვეტყვი იმ მასალის მიხედვით, რაც შენგან მოვისმინე პირა-**

ზაქეს კვირიაკე

გვესმის ნეტარი ხმა მონანული მეზვერისა

„და შევიდა და განვიდოდა იერიქოჲთ. და აჰა ესერა კაცი ვინმე, და სახელი მისი ზაქე, და იყო იგი მთავარი მეზუერეთაჲ, და ესე იყო მდიდარ ფრიად. და უნდა ხილვაჲ იესუჲსი, ვინ-ძი არს, და ვერ უძლო ხილვად ერისა მისგან, რამეთუ ჰასაკითა იყო მცირე. და წარბიოდა წინა და აღჴდა ლეღუსულელსა, რაჲთა იხილოს იგი, რამეთუ მიერ წარსლვად იყო. და მოვიდა ადგილსა მას, მიხედა იესუ და ჰრქუა მას: ზაქე, ისწრაფე და გარდამოჴედ, რამეთუ დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ. და ისწრაფა და გარდამოჴდა და შეიყვანა იგი სიხარულით. და იხილეს ყოველთა და დრტჳნვიდეს და იტყოდეს, ვითარმედ: ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა დადგომად. აღდგა ზაქე და ჰრქუა უფალსა: აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა; და უკუეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი. ჰრქუა მას იესუ: დღეს იქმნა ცხორებაჲ სახლისაჲ ამის, რამეთუ ესეცა შვილი აბრაჰამისი არს. რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ მოძიებად და ცხორებად წარწყმედულისა“ (ლუკ.19,1-10).

დღევანდელი სახარება მეზვერეთა უფროსის ზაქეს მაგალითით გვასწავლის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიკეთეს, მოწყალების გაღებას ღარიბებისთვის, სიტყვით კი არა, საქმით გამოხატულ სინანულს, მოყვასისთვის გამოჩენილ თანადგომას, ნებსით თუ უნებლიეთ მიყენებული ტკივილის გამოსწორებას. ის წარმოუჩენს ყველას, მდიდრებსაც და ღარიბებსაც, საკუთარი ცოდვის გამცნობიერებელმა როგორ შეიძლება მოიპოვო უფლის უდიდესი მადლი და სულის მარადიული ცხონებაც კი.

ზაქე იყო მეზვერე, თანამემამულეებისაგან გადასახადის ამკრეფი. მეზვერეები ძალიან ხშირად გადასახადებს ძალის გამოყენებით კრეფდნენ, ზოგჯერ დიდ ცოდვას იდებდნენ თავს და ადამიანებს უკანასკნელ სარჩო-საბადებელსაც ართმევდნენ, რათა ორმაგი, სამმაგი აეღოთ, ანუ იმაზე მეტი, ვიდრე თავად უხდიდნენ რომაელ ჩინოვნიკებს, რომლებიც რომის მმართველების მიერ გადასახადების შემგროვებლად იყვნენ დანიშნულები. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა რაც შეიძლება მეტად გამდიდრებულიყვნენ და ეს ხალხის ხარჯზე ხდებოდა. ზაქეც ამიტომ იყო ძალიან მდიდარი, ამიტომ არ უყვარდა ხალხს და ამიტომაც უწოდებდნენ ცოდვილს. მაგრამ ამ ცოდვილს უფლის სტუმრობისას მის მხარესა და სახლში — თვალები აეხილა, შეიცნო, თუ რა სამარცხვინო და სიკვდილის შემამთხვეველია ვერცხლისმოყვარეობა, გაუმაძღრობა, უსამართლობა, გულის გასასტიკება... მან გულწრფელად მოინანია უფლის წინაშე თავისი უსამართლობა და თქვა: „აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთაი მივსცე გლახაკთა; და უკუეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი“.

ჰოი, ნეტარი ხმა მონანული მეზვერისა! მან იგრძნო მადლი მის სახლს წვეული უპირველესი მოწყალისა, რომელიც სიკეთის წყაროა გონიერ არსებათათვის. და როგორ გარდაიქმნა უცებ მეზვერე! კაცმა, რომელმაც უწინ მხოლოდ ის იცოდა, როგორ ამოეღო გადასახადი ადამიანებისაგან და გამდიდრებულიყო, ახლა უცებ შეიცნო სიკეთე გაცემისა!

დაე, მაგალითი გახდეს ეს ჩვენთვის! მრავალ ჩვენგანში ზის მეზვერე, სასტიკი, იოლად საშოვ ფულს რომ ეძებს და სხვის ხარჯზე მდიდრდება, თუმცა, უკიდურესად ხარბია, არაფრით ემსგავსება სახარებისეულ მეზვერეს. ზაქემ, რაც უსამართლოდ მოიპოვა, ყველაფერი გლახაკთ დაურიგა, რომლებიც, როგორც ჩანს, ცოტანი არ იყვნენ იმ დროში; და არა მხოლოდ გლახაკთ შეეწია, არამედ მათაც, ვინც ოდესღაც ძალიან გაამწარა თავისი დაუნდობლობით.

სამწუხაროდ, ჩვენი დროის მეზვერენი უფრო მეტად სასტიკნი არიან, ვიდრე ზაქე, მხოლოდ თავად მდიდრდებიან და არც ფიქრობენ, გაჭირვებულთ დაეხმარონ. და ამასთან, რა სითავხედე და ამპარავნება აქვთ! უფრო მეტიც, დასცინიან მათ, რომლებიც უქონელთ ეხმარებიან, მათი აზრით, პურის ნატეხსაც რომ არ იმსახურებენ. მათთვის ყველა ღატაკი მუქთამჭამელი და ლოთია, თითქოს ყველა ერთნაირია.

მდიდრისთვის ადვილია სხვა განსაჯოს. გაჭირვებულთა შორის მართლაც შეიძლება იყოს გამორჩენის მომლოდინე, მაგრამ უცოდველი არავინაა, ყოველი ადამიანი ცოდვილია და, მათ შორის, რა თქმა უნდა, ღატაკებიც იქნებიან. უფლის სიტყვები კი ასეთია სხვათა განმსჯელების მიმართ: „ნუ განიკითხავთ, რაითა არა განიკითხნეთ. ვინაიდან როგორი განსჯითაც განსჯით, იმნაირითვე განისჯებით, და რომელი სანყაულითაც მიუწყავთ, იმითვე მოგეწყვით თქვენ“ (მათ. 7, 1).

ნუთუ კეთილსინდისიერად მშრომელს, ბრძენს, გულით უხრწნელს, მოწყალეს, რომელმაც ქონება წესიერი შრომით დააგროვა, სინდი-

დად შენს შესახებ. ჩემი მდგომარეობა ისევ ძველია. გაგრაში დიაკვნად ამ საზაფხულოდ მე წამოვიდოდი, რომ ვიცოდე ჰაერი შემიგუებს. მაისის გასულს გაგვითავდება სწავლა და სურამშიაც კი ველარ გავისეირნებთ, не к кому. ძლიერ მაინტერესებდა შენი დღის წესრიგი და საქმიანობა, მაგრამ ამის შესახებ შენ სდუმ. ნადარეიშვილთან სცხოვრობ, როგორც გეტყობა. ძლიერ კარგს იზამ თუ შემდეგ წერილში მაცნობებ ჩემ საინტერესო კითხვებზე პასუხს.

მარად შენი ერთგული ბენიამენ კონტრიძე".

ყოფილი დეკანოზი 1939 წლის 22 ოქტომბერს გარდაიცვალა. დაკრძალეს 25 ოქტომბერს ქ. თბილისის ერთ-ერთ სასაფლაოზე. დარჩა მეუღლე, მარიამ იოსების ასული (დაბ. 1873წ.) და შვილები — ალექსანდრე და ნანა. ჰყავდა ძმა — დიმიტრი (დაბ. 1894წ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 48566; ფ. 2100, აღწერა 1, საქმე 126, გვ. 1; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 1310, გვ. 8; საქმე 1505, გვ. 123; გვ. 132; გაზეთი „ივერია" 1898წ. 122, გვ. 3; 1899წ. 239, გვ. 3;. გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1898წ. 665, გვ. 3; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1892წ. 4; 12; 1898წ. 3; 1899წ. 22; 1900წ. 3; 12-13; 1901წ. 9; 1904წ. 10; ჟურნალი „მწყემსი" 1906წ. 10, გვ. 2; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1914წ. 2; გაზეთი „საქართველო" 1920წ. 123, გვ. 3.

ლიტ: ცინცაძე კ. „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში" თბ. 1994წ. გვ. 188; კ. ცინცაძე „რაც გამახსენდა" ქ. თბილისი 2007წ., გვ. 109-112; გვ. 301; დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან" 2013წ. გვ. 181; გვ. 777.

რას წერს ქართული მედია

„ლაზეთი (ჭანეთი) საქართველოს ეს ძირძველი მხარე, ხუთი საუკუნის განმავლობაში თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული. XIX-XX საუკუნის მხოლოდ მცირე მონაკვეთებში ვფლობდით რამდენიმე ლაზურ სოფელს, ზოგჯერ ნახევარ ლაზეთსაც. თუმცა 1921 წლიდან საქართველო მხოლოდ სარფის ნახევარს ფლობს. გონიოში, კვარიათსა და ბათუმში მცხოვრები ლაზების უმრავლესობა სარფიდან ან ლაზეთის სხვადასხვა სოფლიდან არის გადმოსახლებული (1920-იან წლებამდე). აფხაზეთში ლაზების დიდი დასახლება არსებობდა.

თურქეთში მცხოვრებ ჭანებს თავიანთ წარმომავლობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ: ბევრს თავი შუა აზიიდან მოსული თურქი ჰგონია; ნაწილის აზრით, ცალკე ეროვნებაა, არც თურქი და არც ქართველი; და მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს ქართულ წარმომავლობას...

თურქეთის ლაზური სოფლების 90-95 პროცენტი მაინც თურქულ სახელწოდებას ატარებს, როცა მოსახლეობის უმეტესობამ ძველი ლაზური სახელები იცის...

თურქი ეთნომუსიკოლოგები (ოზგე დენიზჯი, აბდულაჰ აკატი) ლაზებს ქართველებად არ მიიჩნევენ. მეტიც, ეთნომუსიკოლოგები და სხვა დარგის მეცნიერებიც ტერმინ ლაზეთსა და ლაზისტანს თავიანთ ნაშრომებში მხოლოდ გაკვრით ახსენებენ და ძირითადად წერენ სიტყვა „ქარადენიზს", რაც ქართულად შავ ზღვას ნიშნავს. ტერმინ „აღმოსავლეთ შავიზღვისპირელის" გამოყენებით ჩქმალავენ ეროვნულ საკითხს. წერენ იმასაც, რომ თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონში (სინამდვილეში ლაზეთში) ცხოვრობენ ლაზები, პონტოს ბერძნები (გაბერძნებული ლაზები), ჰემშინები (გასომხებული მუსლიმანი ლაზები) და ა.შ. თუკი სხვა ეთნიკური ჯგუფები ლაზეთში მართლაც არიან, მათი წილი უმნიშვნელოა. სამაგიეროდ, არსად არ არის ნახსენები, რომ ჰემშინებისა და პონტოს ბერძნების დიდი ნაწილი გენეტიკურად და მუსიკალურადაც ლაზები არიან და თურქ მეცნიერთა არგუმენტი ლაზეთის თითქოსდა ეთნიკური სიჭრელის, აგრეთვე ტერმინ „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის" ხსენების მართებულობის შესახებ, უსაფუძვლოა...

ქართველ მეცნიერთაგან უსახსრობის გამო თითქმის არ არის ჩაწერილი მუჰაჯირი ლაზების მეტყველება, სრულიად დაუფიქსირებელია სიმღერა-დასაკრავები (არადა, შესაძლოა მუჰაჯირ ლაზებს ჯერ კიდევ ახსოვდეთ ორიოდე მრავალხმიანი სიმღერა, რაც ქართულ ფესვებთან მათ კიდევ უფრო დაახლოებს) და ცეკვები. რატომ არ იხდის სახელმწიფო ამაში განსაზღვრულ თანხას? რატომ არ აძლევს ხელისუფლება მოქალაქეობას თურქეთის პროქართულად განწყობილ ლაზებს?! ეგებ თურქეთის ლაზები ღიად იმიტომაც ვერ ქართველობენ, რომ თურქეთის სახელმწიფოში პრობლემებს ერიდებიან და არც საქართველოდან დახმარების იმედი აქვთ?..

ცნობილია, რომ 1921 წლამდე ლაზეთის არაერთი სოფლიდან ეკონომიკური სიდუხჭირის გამო წამოსული მოსახლეობა აფხაზეთში სახლდებოდა. ისიც ცნობილია, რომ ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონებში იყო სოფლები, სადაც ლაზები უმრავლესობას შეადგენდნენ, ზოგ სოფლებში კი მხოლოდ ისინი ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, გასახლებების შედეგად ლაზური დასახლება მოისპო. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ლაზების მხოლოდ მცირე ნაწილი დაბრუნდა. ეს საქართველოს საერთოდ არ ახსოვს...

სამწუხაროდ, კვლავ უყურადღებოდ არიან მიტოვებული არა მარტო ლაზები, არამედ სხვა ქართველებიც. ჯერ კიდევ 2016 წლის ივნისში ჟურნალ „ისტორიანში" (66) დაიბეჭდა ჩემი წერილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთანყაროში ინგილოური მუზეუმის დაარსების თაობაზე, თუმცა, დღესაც არაფერია გაკეთებული".

გიორგი კრავეიშვილი, ეთნომუსიკოლოგი

„ისტორიანი" #7

მოამზადა
სერგო კერესელიძემ

ხელწოდებას მხარი უნდა დაუჭიროს საბერძნეთის პარლამენტმაც. შეგახსენებთ, რომ 2017 წელს მაკედონიის ეკლესიამ" მიმართა ბულგარეთის ეკლესიას თხოვნით, ჩაეთვალათ იგი როგორც „დედაეკლესია". 2018 წელს, ამ საკითხის შესწავლის მიზნით, ბულგარეთის ეკლესიამ შექმნა კომისია.

ბულგარეთის პატრიარქ ნეოფიტეს განცხადებამდე ბულგარეთის ეკლესია ენინააღმდეგებოდა ამ საკითხის განხილვას და საგანგებო კრების მოწვევას გეგმავდა.

ისრაელში აღთქმის კიდობანის სავარაუდო კვარცხლბეკს მიაკვლიეს

ისრაელში, კირიაფ-იარიმში, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მასიური კვარცხლბეკი, სადაც, სავარაუდოდ, აღთქმის კიდობანი იდგა. თელ-ავივის უნივერსიტეტის არქეოლოგმა ი. ფინკელშტეინმა პირველმა განუცხადა საზოგადოებას ამ აღმოჩენის შესახებ. აღთქმის კიდობანი — ეს არის ებრაელი ერის ყველაზე დიდი სიწმინდე. ის წარმოადგენდა გადასატან სკივრს, რომელშიც დაცული იყო ათი მცნების ფილები და აარონის კვერთხი. ამასთან, კიდობანი, იყო ებრაელი ხალხისა და ღვთის კავშირის სიმბოლო. მიიჩნევა, რომ კიდობანი ძველ ქალაქ კირიაფ-იარიმში ინახებოდა, რის შემდეგაც იგი საზეიმოდ იერუსალიმში მეფე დავითმა გადაიტანა. განსხვავებით სხვა არქეოლოგებისგან, რომლებიც იმავე მონაკვეთზე მუშაობდნენ, სკეპტიციზმით ცნობილ ფინკელშტეინს დიდად არ სჯერა კიდობნის არსებობის, თუმცა მიიჩნევს, რომ ახალი აღმოჩენა შეიძლება ბიბლიური პერიოდის პოლიტიკური ცხოვრების ანალიზისთვის გამოდგეს. „აღმოჩენა ამტკიცებს ისრაელის სიძლიერეს (ჩრდილოეთის სამეფო) მეფე დავითის პერიოდში და მის სავარაუდო დომინანტობას იუდეაში", — ამბობს მეცნიერი. მისი თქმით, სხვა ახალი აღმოჩენებიც იძლევა საშუალებას, რომ ჩავულრმავდეთ ბიბლიურ ისტორიას. ახალ აღმოჩენას აქვს მართკუთხედის ფორმა. არქეოლოგთა თქმით, მისი თავდაპირველი ზომა იყო 150 მეტრი 110 მეტრზე. ის აგებული იყო ქვებით. სამი მეტრი სისქისა და ორი მეტრი სიმაღლის კედლები მკაცრად იყო მიმართული ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთით. ნაგებობის წლოვანების დასადგენად მეცნიერებმა გამოიყენეს თანამედროვე ტექნოლოგია. მისი მეშვეობით დადგინდა, რომ ნაგებობა ჩვ.წ.-მდე დაახლოებით 1150-იდან 770 წლამდე აიგო. აღმოჩენილი თიხის ნაკეთობების მიხედვით, დასახლებაში აქტიური ცხოვრება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8 საუკუნეში იყო გაჩაღებული. მეცნიერების მოსაზრებით, ნაგებობის მიზანი კიდობნის დაცვა იყო. „ჩრდილოეთის სახელმწიფოს ფარგლებში ასეთ ნაგებობებში იმართებოდა სხვადასხვა საქმიანი შეხვედრა", — დასძენენ მეცნიერები არქეოლოგიური სამსახურის ანგარიშში.

ფინკელშტეინი მიიჩნევს, რომ ვერ მოხერხდება ამ ადგილებში კიდობნის რეალური არსებობის დადასტურება. სხვა არქეოლოგები იმედს არ კარგავენ და ამბობენ, რომ ბიბლია არის საიმედო წყარო და არქეოლოგებს სამუშაოს წარმოებაში ეხმარება.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი კონსტანტინე სუხიაშვილი

1867 — 1945

დეკანოზი კონსტანტინე მაქსიმეს ძე სუხიაშვილი 1867 წელს თბილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ხაშურში სახელმწიფო მრჩევლის მაქსიმე სუხიაშვილის ოჯახში დაიბადა. დედა — სოფიო არღუთინსკი-დოლგორიუკი, დიასახლისი გახლდათ. მაქსიმესა და სოფიოს ჰყავდათ სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ორივე ვაჟი ადრეულ ასაკში გარდაიცვალათ. კონსტანტინეს და, ნინო, ცოლად ჰყავდა ქარსიძეს, რომლისგანაც მას სამი ვაჟი: ვასილი, არჩილი და გიორგი ჰყავდა.

სასულიერო პირი გახლდათ მისი ბიძა, დეკანოზი **მათე ისააკის ძე სუხიაშვილი,** რომელიც 1830 წელს მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1857 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია მეორე ხარისხის დიპლომით. 1857 წლის 22 დეკემბერს დიაკვნად აკურთხეს, იმავე წლის 25 დეკემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ (ილინსკი) მღვდლად დაასხა ხელი და ოსეთის სასულიერო კომისიაში, დაბა კადგარონის სამრევლოში განამწესა. 1861 წლის 1 ივლისს ოსიაურის წმ. გიორგის სახ. ტაძარში გადმოიყვანეს. 1866 წლის მაისში გორის მაზრის IV ოლქის მთავარხუცესის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა და იმავე წლის მინურულს ოფიციალურად დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე. 1868 წელს ზემო

დეკ. კონსტანტინეს მშობლები - მაძსიმე და სოფიო არგუტინსკი-დოლგორუკი

ჭალის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1872 წელს გათავისუფლდა მთავარხუცესის პოსტიდან. 1885 წელს კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მესამე განყოფილების წევრად აირჩიეს. 1899 წლის 14 ოქტომბერს ქართული პრესა წერდა: **„9 ოქტომბერს, ღამის მატარებლით აქ მობრძანდა ალავერდის ეპისკოპოზი კირიონი, რომელმაც მეორე დღეს, ათ ოქტომბერს, კეთილ ინება და რკინის გზის ეკლესიაში აკურთხა დეკანოზათ ზემო-ჭალის (დღეს ხაშურის ერთ-ერთი უბანი) ეკლესიის მღვდელი, მამა მათე სუხიევი. კურთხევაზე დაესწრნენ მრავალი ხალხი. ვუსურვებთ მამა მათეს ამა წარმატებას ხანგრძლივის სიცოცხლით“.** ზემო ჭალის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში დეკ. მათესთან ინახებოდა პარხლის I ოთხთავი, რომელიც 1898 წელს მიაკვლია ექვთიმე თაყაიშვილმა და აქვე შეისწავლა. 1901 წლის 18 სექტემბერს, მოხუცებულობის გამო, შტატიდან გადადგა. დეკ. მათე 1910 წლის 1 ივნისს გარდაიცვალა. დაასაფლავეს 4 ივნისს, ხაშურის სასაფლაოზე.

დაჯილდოებული იყო: 1869 წლის 9 ივლისს — საგვერდულით; 1877 წელს — სკუფიით; 1881 წლის 31 დეკემბერს — რუსეთის წმ. სინოდის მადლობის ფურცელით; 1882 წლის 6 მაისს — კამილავკით; 1883 წელს — წითელი ჯვრის საზოგადოების სამახსოვრო ჯვრით; 1890 წლის 1 აპრილს — სამკერდე ოქროს ჯვრით; 1899 წლის 15 მაისს — დეკანოზის წოდებით.

დეკანოზი კონსტანტინე ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რის შემდეგაც მამამ იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში მიაბარა, რომელიც 1890 წელს წარმატებიც დაასრულა. 1890 წლის 13 ნოემბრიდან სამრევლო-საეკლესიო სკოლის პედაგოგია. 1892 წლის 22 თებერვალს იგი დიაკვნად აკურთხეს და თბილისის კადეტთა კორპუსის სასწავლებლის კარის ეკლესიაში დაინიშნა. მასვე დაევალა იმავე სასწავლებელში უმცროსი კლასების მასწავლებლობა. 1899 წელს მღვდლად დაასხეს ხელი და ქ. ელიზავეტოპოლში (ახლ. ქ. განჯა) მდგარი შემახის 261-ე ფეხოსანი ბატალიონის სარეზერვო პოლკის სამხედრო ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. იყო 66-ე ფეხოსანი დივიზიის მთავარხუცესი. განჯაში მსახურობის პერიოდში იყო განჯის ექვსკლასიანი სამოქალაქო სკოლისა და განჯის წმ. ნინოს სასწავლებლის საღვთო სჯულის პედაგოგი. 1906 წელს კამილავკა ეწყალობა. 1910 წელს შემახის 250-ე ფეხოსანი პოლკის ტაძრის და 52-ე ფეხოსანი დივიზიის მთავარხუცესია. 1911 წელს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1913 წლიდან ახალი ბიაზეთის 207-ე ფეხოსანი პოლკის ტაძარშია. 1916 წელს ენქერი მიიღო. 1917 წელს წმ. ვლადიმერის III ხარისხის მახვილებიანი ორდენით დაჯილდოვდა. 1918 წელს კი საქართველოში დაბრუნდა. 1922 წელს მცხეთა-თბილისის ეპარქიაში, მცხეთის ოლქის მთავარხუცესის მოვალეობის შემსრულებლად ჩანს და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის კრებულშია.

1923 წლის 26 სექტემბერს დეკანოზი კონსტანტინე საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველს ურბნელ ეპ. ქრისტეფორეს (ციცქიშვილი) წერდა: **„სარწმუნო წყაროდან შევიტყე, რომ ამ ახლო ხანში უნდა განთავისუფლდეს სოფ. პრიუტის სამრევლო. როცა ეს შესრულდება, გთხოვთ, ეს სამრევლო მომცეთ მე. ზემო ხსენებული ცნობის ასრულებამდე, გთხოვთ, მიბოძოთ ქ. თბილისის რომელიმე თავისუფალი სამრევლო, შვიდი თვის უადგილობამ სიცოცხლე გამიმწარა“.** იმავე დღეს თბილისის მიქაელ მთავარანგელოზის სახ. ტაძრის წინამძღვრის თანამდებობის აღმასრულებლად დანიშნეს. 1923 წლის 10 ნოემბერს დეკ. კონსტანტინე ეპ. ქრისტეფორეს ახალ წერილს უგზავნის: **„უმორჩილესად გთხოვთ, გამათავისუფლოდ მთავარანგელოზთა ტაძრის წინამძღვრის თანამდებობიდან, ვინაიდან არსებულ პირობებში ეს შეუსრულებელია, სამსახური და არსებობა ხომ ყოვლად შეუძლებელია ჩემთვის“.** იმავე წლის 14 ნოემბერს გაათავისუფლეს და ტაძარი მიანერეს პეტრე-პავლეს ეკლესიას. 1924 წელს ალავერდის ეპარქიაში განამწესეს, სადაც 1925 წელსაც მსახურობდა. 1926 წლიდან ურბნისის ეპარქიაში გადაიყვანეს და ხაშურის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. იმავე წელს ურ-

დეკ. კონსტანტინე ოჯახით და ნათესავებით ბიძასთან დეკ. მათესთან ერთად

ბნისის ეპარქიის ალი-სურამის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1927 წლის 21-27 ივნისს დეკ. კონსტანტინე, როგორც ურბნისის ეპარქიის დელეგატი, მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეოთხე საეკლესიო კრებაზე. 1930 წელს ხელისუფლებისგან შევიწროებული დეკანოზი კონსტანტინე იძულებული გახდა ქ. ხაშური მიეტოვებინა და თავშესაფარი თბილისში ეძებნა. სიცოცხლის უკანასკნელი 15 წელიწადი მას აღარ უმსახურია. ყოფილი დეკანოზი 1945 წლის 3 იანვარს გარდაიცვალა. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე მეუღლესთან და შვილებთან ერთად.

მისი ერთ-ერთი შვილიშვილი ასე იგონებს პაპას უკანასკნელ წლებს: **„კოტე პაპა იყო ლამაზი მოხუცებული, მაღალი, გამხდარი, მხრებში გამართული. კვირაობით გამოეწყობოდა ხოლმე თეთრ კოსტუმში და ვარდების თაიგულით ხელში მიდიოდა სტუმრად კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესთან (ცინცაძე), რომელთანაც აკავშირებდა მეგობრობა სასულიერო სემინარიაში სწავლის დროიდან. პაპაჩემის გარდაცვალებიდან სამი ათეული წლის შემდეგ მოხდა ასეთი ამბავი: მათი შვილიშვილები — მარინე წილოსანი და ვატო ქართველიშვილი შეუღლდნენ (ვატოს ბებია, ეკატერინე, კალისტრატეს ქალიშვილი იყო). კოტე პაპა იყო თბილი და მოსიყვარულე, გვაჩვევდა შრომას, წიგნის სიყვარულს, პატიოსნებას. საბჭოთა წყობილება საშინლად სძულდა. 1944 წელს მამაჩემი, ნიკოლოზი, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრად უნდა დაემტკიცებინათ, რის გამოც სასწრაფოდ მიიღეს კომუნისტური პარტიის წევრად. ეს რომ პაპამ გაიგო, საშინლად განრისხდა. პირველად და უკანასკნელად ვნახე პაპაჩემი ასეთი განრისხებული, მახსოვს, როგორ ყვიროდა — „შენც ამ ჯიბგირებს უნდა შეუერთდეო“. პაპა მალევე გარდაიცვალა და მამაჩემს ეს ნაბიჯი ვერ აპატია“.**

1892 წლის იანვარში კონსტანტინემ ჯვარი დაიწერა თამარ კორინთელზე (1874-1946წწ.). ჰყავდათ ხუთი შვილი: **ელენე** (1893-1977წწ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის დოცენტი. მისი მეუღლე იყო მეფის არმიის პოლკოვნიკი დათიკო მაჭავარიანი. იგი მეთაურობდა იუნკერების ერთ-ერთ რაზმს ტაბახმელასთან მეთერთმეტე არმიასთან ბრძოლისას. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. გარდაიცვალა 1932 წელს. დაკრძალულია ქ. ვილნიუსის 1 სასაფლაოზე); **მარიამი** (1895-1981წწ., იყო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დამსახურებული არსტისტი. ასრულებდა მეცოსოპრანოს პარტიებს); **სოფიო** (1897-1993წწ., მოსკოვში უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იქვე დარჩა საცხოვრებლად. სპეციალობით იყო ეკო-

ნომისტი. მუშაობდა ეკონომიკის სამინისტროში. 1990 წელს დაბრუნდა სამშობლოში); **ნიკოლოზი** (1900-1981წწ., 1926 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო წყალთა მეურნეობის სამმართველოს სისტემაში. 1940 წლიდან მუშაობდა კომუნალური მეურნეობის სამინისტროში. 1950-1975 წლებში იყო ამ სამინისტროს მინისტრის პირველი მოადგილე. მეუღლე — ვასილიდა ფანცხავა (1903-1990წწ.); **ნინო** (1905-1988წწ., დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მისი მეუღლე იყო აგრონომი ნიკო ფიცხელაური). სამივე უფროსმა ქალიშვილმა უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო.



წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №43905; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1463, გვ. 3; საქმე №1505, გვ. 75; გვ. 83; საქმე №1840, გვ. 2; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1892წ. №5; 1899წ. №11; 1901წ. 19-20; გაზ. „ივერია" 1890წ. №82, გვ. 2; გაზ. „ცნობის ფურცელი" 1899წ., № 939, გვ. 2; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1910წ. №10; დეკანოზ კონსტანტინე სუხიაშვილის საოჯახო არქივი.

მზეთამზე
მეეზოვანი პური

"ლომთაგორა" - თეთრი პური

„მზეთამზეს" ყველა სახეობის პური:
* არის გემრიელი
* არის სასარგებლო
* შედგება 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან: შეიცავს მხოლოდ ფქვილს, წყალს, მარილსა და „პურის დედას"
* ცხვება მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით
* გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი საფუარი - „პურის დედა": „პურის დედა" შეიცავს მხოლოდ ფქვილსა და წყალს
* ინახება ხანგრძლივად

* იყიდება ქსელურ სუპერმარკეტებში: 2 ნაბიჯი, ევროპროდუქტი, გუდვილი, ეკონომიქსი, ზღაპარი, ნიკორა, ფრესკო, ჯლ მარკეტი, უნივერსამი.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ისტორიის ფურცელი

ქემერტელი კასრაძეების ოჯახი

ჩვენი გაზეთის საშუალებით რამდენჯერმე მოგითხრეთ იმ სასულიერო პირთა შესახებ, რომელთა წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა დედაეკლესიას. ამჯერად, კიდევ ერთი ასეთი ოჯახი გვინდა გაგაცნოთ, რომელთა გვარიდან რამდენიმე ღირსეული სასულიერო პირი აღიზარდა ეკლესიის წიაღში. კასრაძეების ეს გვარი ქართლიდან, გორის მაზრის სოფ. ქემერტიდან მომდინარეობს. მათ თავიანთი მსახურებითა და მოღვაწეობით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ქართულ საეკლესიო ისტორიაში.

მღვდელი სპირიდონ კასრაძე

მკვლევარი იოსებ მეგრელიძე თავის ნაშრომში „სიძველეები ლიახვის ხეობაში" (I ნაწილი) სოფ. ქემერტზე წერდა: „ქემერტი, ანუ ქემერთი, ცხინვალიდან 12 კმ, საინტერესო სოფელია თავისი სილამაზითაც, თავისი ძველი ეკლესიითა (სიგრძე 10 მ., განი — 6 მ.) და კოშკებითურთ. უკანასკნელს ქემერთას ეკლესიას უწოდებენ. აქვს გალავანი. სოფელში დგას დიდი, სამსართულიანი კასრაანთ კოშკის (გოდოლი) სახელწოდებით ცნობილი ნაგებობა".

ჩვენს ხელთ არსებული საბუთების მიხედვით ერთ-ერთი პირველი მოძღვარი ამ ოჯახიდან გახლდათ **მღვდელი ონოფრე კასრაძე.** იგი 1781 წელს იხსენიება ნიქოზის ეპარქიაში, სოფ. ქემერტის ეკლესიის მოძღვრად. მისი ვაჟი — **მღვდელი გაბრიელ ონოფრეს ძე კასრაძე** 1788 წელს (მეორე ვერსიით — 1780 წელს, მესამე ვერსიით — 1760 წელს) ქართლში, სოფ. ქემერტში, მღვდლის ოჯაში დაიბადა. "შემდგომად შესრულებისა ქართულ ენასა ზედა საღმრთო წერილებისა თავის მამასთან უსწავლიეს კითხვა საკმაოდ კარგად, გალობა მცირედ. წერა და კატეხიზმო არ იცოდა". 1816 წლის 23 აპრილს ნიქოზელმა ეპ. ათანასემ (მაჭავარიანი) დიაკვნად აკურთხა. 1817 წლის 6 აგვისტოს მღვდლად დაასხეს ხელი და ქემერტის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაინიშნა. შემდეგ მსახურობდა ძარწემის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1820 წლის 10 იანვარს ოსეთის სასულიერო კომისიაში, ზავდინის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესეს, სადაც 1823 წელსაც იხსენიება. 1825 წლის მაისში უშტატო მღვდელია და საბაწმინდის წმ. საბა განმწედილის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1849 წელს შტატიდან გავიდა. 1857 წელს მშობლიურ სოფელში ცხოვრობდა და უშტატო მღვდელმსახურთა რიგებში იხსენიება. ჰყავდა მეუღლე — მარიამ ბესარიონის ასული (დაბ. 1794წ.) და შვილები: მღვდ. ეფრემი, თეოდორე (დაბ. 1817წ.), მღვდ. ანდრია (1820-1873წწ.), თეკლა (დაბ. 1822წ.), სალომე (დაბ. 1825წ.).

მისი ვაჟი — მღვდელი ეფრემი — 1814 წელს დაიბადა და მამის საქმიანობა ღირსეულად გააგრძელა. მამა ეფრემს ხუთი შვილი ჰყავდა: მღვდელი სპირიდონი, მღვდელი ილარიონი, დეკანოზი დიმიტრი, მღვდელი სიმონი და მაკრინე (დაბ. 1857წ., მღვდელ გიორგი უჩანას ძე ჩაგუნავას მეუღლე).

მღვდელი სპირიდონი 1845 წელს დაიბადა. 1872 წელს თბილისის სასულიერო სემინარია მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა. 1872 წლის 7 მაისს დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 14 მაისს მღვდლად დაასხეს ხელი და ყურისუბნის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაადგინეს. 1876 წლის 10 აგვისტოს ტირძნისის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1876 წლის სექტემბრიდან ტირძნისის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1880 წლის 30 ოქტომბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1886 წლის 18 მარტს სკუფია უბოძეს. 1891 წლის 15 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1894 წლის 27 იანვარს სასწავლო დარგში ნაყოფიერი სამსახურისათვის ქართული ბიბლიით დაჯილდოვდა. 1894 წლის 14 იანვარს, საეპარქიო სასწავლო საბჭოს წარდგინებით, საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიავლენკსი) ტირძნისის სკოლაში ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მადლობა გამოუცხადა. 1894 წლის მაისიდან 1901 წლამდე იყო გორის მაზრის IV ოლქის მთავარხუცესის თანაშემწე. 1895 წლის მაისში IV ოლქის

სამღვდელოების სულიერ მოძღვრად დაადგინეს. 1896 წლის 15 მაისს მას რუსეთის წმ. სინოდმა მადლობა გამოუცხადა. 1896 წლის სექტემბრიდან ტირძნისის ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგეა, ხოლო 1902 წლიდან იმავე სოფლის ქალთა სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგი. 1901 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1905 წლის 15 აგვისტოს უარი თქვა პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. 1908 წლის 3 თებერვალს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ასევე ჰქონდა ჯილდო იმპერატორ ალექსანდრე III-ის სახ. სამახსოვრო ვერცხლის მედალი. 1914 წლის 1 სექტემბრიდან ისევ დაინიშნა ტირძნისის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის პედაგოგად. მისი გარდაცვალების წელი უცნობია. მამა სპირიდონს ჰყავდა მეუღლე, მღვდელ ევსტაფი ნასყიდაშვილის ასული მარიამი (დაბ. 1849წ.) და შვილები: იოანე (დაბ. 1875წ.), დარეჯანი, ვლადიმერი (დაბ. 1870წ.), მართა.

მღვდელი ილარიონი 1847 წლის 9 მაისს დაიბადა. 1871 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1873 წლის 24 იანვარს გორის ეპ. ალექსანდრემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა. იმავე წლის 4 თებერვალს ევსევიმ (ილინსკი) მღვდლად დაასხა ხელი და ჯრიის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. 1878 წლის 23 დეკემბერს ავნევის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში დაინიშნა. 1879 წლის 30 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1879 წლის 30 სექტემბრიდან რუისის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწეა. 1890 წლის 15 მაისს სკუფია უბოძეს. 1897 წლის 13 ივნისს გორის მაზრის, V ოლქის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად აირჩიეს. 1899 წლის 1 აპრილს ზემო ნიქოზის მაცხოვრის ამაღლების სახ. ტაძარში გადაიყვანეს. მღვდ. ილარიონი 1901 წლის 4 თებერვალს გარდაიცვალა. მისი შვილიშვილის გადმოცემით, მას ფეხზე წყლული გასჩენია, რომელიც სარკომაში გადაზრდილა. დაკრძალულია ნიქოზის ეკლესიის საკურთხევლის გარეთ (საფლავზე გარდაცვალების თარიღად 5 თებერვალი წერია). მამა ილარიონს ჰყავდა მეუღლე — ნინო ეგნატეს ასული დიასამიძე (დაბ. 1858წ.) და შვილები: გრიგოლი (დაბ. 1874წ., ცოლად ჰყავდა მღვდ. ქრისტეფორე ჩარკვიანის ასული ეკატერინე), მღვდ. ალექსანდრე (დაბ. 1876წ.), ანა (დაბ. 1878წ.), კორნელი (დაბ. 1880წ.), ოლღა (დაბ. 1884წ.), სოფიო (დაბ. 1884წ.), დავითი (27.12.1885-16.02.1965წწ.,), ეკატერინე (დაბ. 1887წ.), ელენე, თამარი, დუსიკო და ვასილი.

შთამომავლების გადმოცემით, მამა ილარიონი იმ დროისთვის განსწავლულ კაცად ითვლებოდა. სასულიერო ლიტერატურის გარდა, მას კარგად სცოდნია საერო ლიტერატურაც. მისი მეუღლე ნინო შესანიშნავი გარეგნობის, ზედმიწევნით ზრდილი ქალი იყო. იგი მუდამ ქართული კაბითა და ჩიხთიკოპით დაიარებოდა. იშვიათი ენამზიურობით იცოდა ძველი ამბების მოყოლა.

მღვდელი ილარიონის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი მისმა მეორე ვაჟმა — ალექსანდრემ დაიკავა, რომელმაც 1892 წელს დაამთავრა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1901 წელს თბილისის სასულიერო სემინარია. სამწუხაროდ, მამა ალექსანდრე თავისი ძმის, რევოლუციონერი კორნელი კასრაძის გამო დაისაჯა. აი, რას წერდა 1906 წელს ქართული პრესა: **„14 იანვარს ჩამოვიდა მაზრის უფროსი ლეონტიევი, რომელსაც ცხრა ბერდანის ფასი, ასი თუმანი ჩააბარეს, ჯარი კი დილით ზემო ნიქოზისაკენ გაემგზავრა, სადაც კორნელი კასრაძის ძმას — მღვდელ ალექსანდრე კასრაძესაც ორსართულიანი სახლი გაუნადგურეს. მღვდელი გორის ციხეშია დაპატიმრებული და იმისი წვრილი ცოლ-შვილი: ექვსი და, ხუთი მცირეწლოვანი ძმა, სამი შვილი, ცოლი და ქვრივი დედა სულ — 16 სული, ღვთის ანაბარად ცის ქვეშ არიან დარჩენილნი და ეს მოხდა იმ მიზეზით, რომ მისი ძმა რევოლუციონერია“.**

კორნელი კასრაძე სოციალისტ-ფედერალისტი იყო. საარქივო და საგაზეთო მასალებით ცნობილია, რომ 1907 წლის 15 მარტს გორის მაზრის უფროსის გუგუშვილის მკვლელობა სოციალისტ-ფედერალისტების წითელი რაზმის გორის ჯგუფის ხელმძღვანელმა კორნელი ილარიონის ძე კასრაძემ ჩაიდინა. კორნელი კასრაძე დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის შემდეგ საფრანგეთში გაიქცა (ხაზინიდან გაიტაცეს 315 000 მან.) 1909 წელს დაბრუნდა სამშობლოში (პარტიულ პრესაში წერდა წერილებს „ილიკოს“ ფსევდონიმით). სწორედ ტერორისტული აქტის მომზადების გამო დააპატიმრა იგი ოხრანკამ და 1911 წელს ციხიდან განთავისუფლებული მალევე გარდაიცვალა იქ მიღებული დაავადების გამო. ზოგიერთი ვერსიით, სწორედ მან მოკლა 1906 წლის 15 დეკემბერს თავისი საყვარლის, ნუცა მაჩაბელის (ელისაბედ ჩერქეზიშვილის ქალიშვილი პირველი ქმრიდან) მამინაცვალი ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანიშვილი, რომელიც ილია ჭავჭავაძის მეგობარი და საზოგადო მოღვაწე იყო. სწორედ მის დასაფლავებაზე, შეაყარეს ილიას ფურცლები, სადაც ეწერა, შენც მალე მოგკლავთო, რაც რამდენიმე თვეში აასრულეს კიდეც.

მღვდელ ილარიონის შვილი გახლდათ ცნობილი ქართველი მწერალი და მთარგმნელი **დავით კასრაძე**. 1901 წელს გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აქტიურად დაადგა თერგდალეულთა გზას, როგორც კრიტიკული რეალიზმის დამცველი. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს, ნოველებს, რომანებს: „კლდე“, „საქართველო“, „ჯეჯილი“, „თერგი“, „სინათლე“, „მნათობი“, „ქართული მწერლობა“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „ლიტერატურა და ცხოვრება“. მისი რომანი „როსკიპი“

სხედან მარცხნიდან - მღვდელი სიმონი, მღვდელი ეფრემი და დეკანოზი დიმიტრი კასრაძეები

ცარიზმის ცენზურამ აკრძალა, ხოლო ჟანდარმერიამ მას დევნა დაუწყო. დავით კასრაძე გაემგზავრა პარიზში, სადაც ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე სწავლობდა. პიურეს პანსიონში მასთან ერთად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მიხ. ჯავახიშვილი, თ. სახოკია, კონდ. თათარიშვილი და გერ. ქიქოძე. 1914 წელს იგი სამშობლოში ბრუნდება, თანამშრომლობს ქუთაისურ გაზეთში „ოქროს ვერძი". მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა გაზეთი „მწვერვალები" და „სამუსლიმანო საქართველო". წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თეატრის ისტორიაზე თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, რომლის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორიც თავად იყო.

დეკანოზი დიმიტრი 1851 წელს დაიბადა. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის ოთხი კლასი. 1875 წლის 13 ივნისს მარტყოფის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1878 წლის 8 მარტს დიაკვნად აკურთხეს და ალავერდის საკათედრო ტაძარში დაადგინეს. 1880 წლის 11 ივნისს მღვდლად დაასხეს ხელი და ოსეთში, ქეშელთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესეს. 1882 წლის 26 ნოემბერს ქემერტის წმ. გიორგის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1884 წლის 15 ოქტომბერს მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა. 1886 წლის 30 ოქტომბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1902 წლის 6 მაისს სკუფია უბოძეს. 1910 წლის 15 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1914 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1918 წლის 1 ოქტომბერს დეკანოზის წოდება მიენიჭა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები განიმოსა და აღარ მსახურობდა. დეკანოზი დიმიტრი 1929 წლის 12 თებერვალს გარდაიცვალა. მამა დიმიტრის ჰყავდა მეუღლე — გაიანე გიორგის ასული (დაბ. 1864წ.) და ასულები: მელანია, მინადორა (ყოფილი დეკანოზის, პროფესორ კორნელი კეკელიძის მეორე მეუღლე), ანასტასია, ნინო, მანია (მარიამი).

მღვდელი სიმონი 1854 წლის 2 იანვარს დაიბადა. სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში. 1875 წლის 17 იანვარს, მესამე კურსიდან მიატოვა სწავლა და თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. მონასტერში მორჩილად დაინიშნა. 1876 წლის 24 სექტემბერს გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. მონასტერში გადაიყვანეს. 1877/1878 წლებში ოსეთში, როკო-ჯომაგის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1881 წლის 15 მარტს დიაკვნად აკურთხეს, იმავე წლის 22 მარტს მღვდლად დაასხეს ხელი და როკო-ჯომაგის ტაძარში დაადგინეს. 1887 წლის 7 ივლისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1896 წელს

ჩოჩეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესეს. 1899 წლის აპრილში სკუფია უბოძეს. 1910 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. მღვდელი სიმონი 1923 წელს გარდაიცვალა. ჰყავდა მეუღლე — სონია ილარიონის ასული ქუჩუკაშვილი და შვილები: გაბრიელი (დაბ. 1880წ.), სერგი (დაბ. 1886წ.), ელენე (დაბ. 1888წ.), იონა (დაბ. 1891წ.), იერემია (დაბ. 1896წ.), შალვა (გარდ. 1910წ.).

მღვდელი ილარიონ კასრაძე ოჯახთან ერთად

წყარო: საქართველოს ეროვნული საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №588; საქმე №957; საქმე №1197; საქმე №18105; საქმე №18654; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №62156; საქმე №42113; საქმე №57635; საქმე №53080; საქმე №42046; საქმე №46866; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1892წ. №13; 1894წ. №11-12; 1895წ. №12; 1896წ. №7; 1897წ. №13; 1899წ. №9; 1902წ. №7-8; გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1906წ. №2992, გვ. 3; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1910წ. №6; 1914წ. №10; გაზეთი „კომუნისტი" 1929წ. №, გვ. 4.

ლიტ: იოსებ მეგრელიძე — „სიძველეები ლიახვის ხეობაში", ქ. თბილისი, 1984წ., გვ. 80-82; „მასალები შიდა ქართლის რელიგიური ცხოვრების ისტორიიდან" (XX ს-ის 20-იანი წლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, ქ. თბილისი, 2013წ.

მზეთამზე
მეეროვანი პური

"ლომთაგორა" - ცეხვილი რუხი პური

„მზეთამზეს" ყველა სახეობის პური:
- არის გემრიელი
- არის სასარგებლო
- შედგება 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან:
  შეიცავს მხოლოდ ფქვილს, წყალს, მარილსა და „პურის დედას"
- ცხვება მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით
- გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი საფუარი - „პურის დედა":
  „პურის დედა" შეიცავს მხოლოდ ფქვილსა და წყალს
- ინახება ხანგრძლივად

* იყიდება ქსელურ სუპერმარკეტებში: 2 ნაბიჯი, ევროპროდუქტი, გუდვილი, ეკონომიქსი, ზღაპარი, ნიკორა, ფრესკო, ჯლ მარკეტი, უნივერსამი.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: # GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.

9 772587 506008

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძეილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ისტორიის ფურცელი

მღვდელი სპირიდონ ჭიპაშვილი

„სარწმუნოების დაცვის გულისათვის, რომელიც შევსწირე ზეციურ მამას, ბარემ ხორციელად უნდა შევწირო"

მღვდელი სპირიდონ თეოდორეს ძე ჭიპაშვილი 1868 წელს ქუთაისის გუბერნიაში, შორაპნის მაზრაში, სოფ. ბაზალეთში მღვდლის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1884 წლის 1 სექტემბრიდან 1890 წლის 1 აპრილამდე იყო ზედა საქარის სამრევლო-საეკლესიო სკოლის პედაგოგი.

1886 წელს მის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე გაზეთი „ივერია" წერდა: **„საქარაში ირიცხება სულ 600 მეტი კომლი. ამათში უფრო ბევრნი გლეხები, აზნაურნი და თავადნი კი ცოტანი არიან. თითქმის თოთხმეტი წელიწადი არის, რაც ქვედა საქარაში გამართულია სამრევლო სკოლა, ხოლო ზედა საქარაში ეს ოთხი წელიწადი იქნება, რაც დაარსეს ამგვარივე სკოლა; ამ სკოლებში სწავლობენ როგორც გლეხკაცობის, ისე თავადაზნაურთა შვილები. ძვირად ჰნახავთ ამ სოფელში იმისთანა ყმაწვილს, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდეს თავის დედაენაზედ. ზემოხსენებულის სკოლის მასწავლებელნი ბ-ნი ფილიმონ ბარბაქაძე და სპირიდონ ჭიპაშვილი ღარიბ გლეხების შვილებს ასწავლიან უფასოდ, ხოლო მდიდრებისაგან იღებენ ორითგან ოთხ მანეთამდე სწავლის ფასს წელიწადში. ეს მასწავლებელნი ასწავლიან ყმაწვილებს თავიანთ სახლებში, თავიანთივე მოწყობილობა აქვთ სკოლისათვის და ამასთანავე ძლიერ გულმოდგინენიც არიან".**

1888 წლის 16 იანვარს მამა სპირიდონი ზედა საქარის ჯვართამაღლების სახ. ტაძრის მეორე მედავითნედ დაინიშნა. 1889 წლის 1 იანვარს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა იმავე ადგილზე დატოვებით, 1890 წლის 20 იანვარს ზედა საზანოს პირველ მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში გადაიყვანა, 1890 წლის 29 აპრილს კი მღვდლად დაასხა ხელი და დილიკაურ-ნიჟარეულის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. 1890 წლის 1 სექტემბერს მღვდელმა სპირიდონმა თავისი ხარჯებით სოფელში გახსნა სკოლა და 1893 წლის 1 ივლისამდე თავადვე ინახავდა მას. 1896 წლის 25 ივნისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1897 წლის 1 სექტემბერს მისივე თაოსნობით გაიხსნა მეორე სასწავლებელი. სკოლის გახსნას წინ უძღოდა ცილისმწამებლური წერილი ვინმე „ვლადო კორბოულელ-სანახშირელისა", რომელიც გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე მოძღვარს უმოქმედობაში ადანაშაულებდა, და წერდა, რომ დილიკაურის სამრევლოს მღვდლებს საღათას ძილით სძინავთ და სკოლის გახსნას არც კი ფიქრობენო. მღვდელმა სპირიდონმა გაზეთის შემდეგ ნომერში ასეთი პასუხი გასცა ცილისმწამებელს:

„ივერიის" მე-257 ნომერში დასტამბულია მოწერილი ამბავი სოფ. დილიკაურიდგან სასწავლებლის უქონლობის და მოძღვრის დაუდევრობის შესახებ. დიდად გვაკვირვებს ამ კორესპონდენტის ლაპარაკი. ჯერ უნდა კარგად გაეგო და მერე მოეწერა წერილი. სიმართლის აღსადგენად ბ-ნ ვლადოს მოვახსენებ, რომ სოფ. დილიკაურში 1 სექტემბერშივე დაარსდა სასწავლებელი, მასწავლებლად ბ-ნი გ. ჭუმბურიძე იქმნა მოწვეული და ამჟამად იქ 30 მოსწავლე სწავლობს. თუ ჩემს სიტყვებს არ დაიჯერებს, მიბრძანდეს იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოში და ჰნახოს 1 სექტემბრის ჟურნალი. ამასაც მოვახსენებ, ბ-ნ კორესპონდენტს, რომ სოფ. დილიკაურის სასწავლებელი იმოდენა შენობაშია მოთავსებული, რომ შიგ სანახშირელი ბავშვებიც კი მოთავსდებიან".

1907 წლის 16 ივლისს მთავარხუცესის თანაშემწის კანდიდატად აირჩიეს. 1910 წლის 1 იანვრიდან დილიკაურის ორკლასიანი სამინისტრო სკოლის საღვთოს სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1910 წლის 12 აპრილს სამრევლო-საეკლესიო სკოლებში 25 წლიანი მოღვაწეობისთვის იმპერატორ ალექსანდრე III სახ. სამახსოვრო ვერცხლის მედალი უბოძეს. XX ს-ის 10-იან წლებში იყო დილიკაურ-ბოსლევის შემნახველ-გამსესხებელი გამგეობის საბჭოს წევრი.

1917 წელს ქართულ პრესაში უცნობი ავტორი ფსევდონიმით „ჩხრიმელის პირველი" სოფ. დილიკაურზე სწერდა: **„ეს სოფელი მდებარეობს ქ. ყვირილიდგან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და არის ბუნებით შემკული. სახნავ-სათესით, ტყითა და მინდვრით. ამ სოფელში 500 კომლია, რომელნიც უმეტეს ნაწილად მეურნეობას ეწევიან. წელს აქ კარგი მოსავალი იყო, თუმცა კი ზოგიერთი ვენახი ნაცარმა წაახდინა. კულტურული დანესებულება აქ დღემდე არ ყოფილა და ეხლა კი ცდილობს ხალხი ახლო მომავალში მოაწყოს კოოპერატიული დუქანი, რომელიც ამ დროში პირველ სახსარს შეადგენს მცხოვრებთათვის. აგვისტოს თვეში მღვდ.**

სპირიდონ ჭიპაშვილის მეოხებით აქ გაიხსნა ბიბ-ლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც შემოსწირეს ამავე სოფლის სცენის მოყვარეებმა გრიშა ჭიპაშ-ვილის მეთაურობით წარმოდგენიდან შეკრებილი 120 მან. ფული, წიგნები და გაზეთები სხვადასხ-ვა პირებმა. სრული დარწმუნებული ვართ, რომ სხვებიც შემოსწირავენ თავიანთ წვლილს ამა ღა-რიბ სამკითხველო-ბიბლიოთეკას. სამკითხველო მოთავსებულია დილიკურის სამრევლო სკოლის შენობაში".

მღვდელი სპირიდონი 1927 წლის 10 ოქტომბერს მარგვეთის ეპარქიის, არგვეთის ოლქის, დილიკა-ურის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად იხსე-ნიება. 1928 წლის 30 სექტემბერს დილიკაურის წმ. გიორგის სახ. ტაძარში უკვე მღვდელი ილარიონ სალაძე ჩანს, ხოლო მღვდელი სპირიდონი დილი-კაურის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის წი-ნამძღვარია. 1931 წლის 1 მაისს მარგვეთის ეპარქია ქუთაის-გაენათის ეპარქიაზეა მიწერილი და მღვდე-ლი სპირიდონი დილიკაურის სამრეველოში იხსენიე-ბა. XX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში ათეისტურ-მა ხელისუფლებამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მასობრივად დაიწყო ეკლესიების დახურ-ვა. ისინი ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ სამღვ-დელოების დასაშინებლად და დასამორჩილებლად. ცდილობდნენ, დაეკეტათ იმდროისთვის გადარჩე-ნილი ეკლესიები, სადაც მორწმუნეები სულიერ საზ-რდოს იღებდნენ და ამით საბოლოოდ გაეწყვიტათ ის კავშირი, რომელიც მათ ეკლესიასთან აკავშირებ-დათ. იმ პერიოდში მრავალი შემთხვევა დაფიქსირ-და, სადაც მრევლმა და მოძღვარმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია კომუნისტებს. ერთ-ერთი ასეთი იყო მღვდელი სპირიდონის სამრევლოც. აი, რას წერდნენ ისინი 1934 წლის 25 თებერვალს სრუ-ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალის-ტრატეს (ცინცაძე): **„ჩვენ ვართ მართმადიდებელნი ქრისტიანენი. გვყავს სულიერი მოძღვარი. მიუხე-დავად ამისა, სოფლის აღმასკომის თავჯდომარემ და საბჭოს წევრებმა დაგვიხურეს დილიკაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახე-ლობის ეკლესია და მღვდელ სპირიდონ ჭიპაშ-ვილს აუკრძალეს ნირვა-ლოცვის ჩატარება და ამ მოკლე ხანში ჩამოგვართვეს დილიკაურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც და ხსნიან შიგნით კლუბს, ჩვენ კი შორიდან, ცრემლმორეულნი ვუ-ყურებთ მათ. ამისთვის, უმორჩილესად გთხოვთ, ინებოთ განკარგულება და გათავისუფლებულ იქ-ნას ერთი ეკლესია მაინც, რათა საშუალება მიე-ცეს მღვდელს ჩაატაროს ღვთისმსახურება. ხელს აწერს 200 კაცი".** იქვე მიმართავს თხოვნით მღვდე-ლი სპირიდონიც ქუთაის-გაენათის საეპარქიო საბ-ჭოს: **„თუმცა წამერთვა უკანონოდ, ჩემი სიყმაწ-ვილიდან ნაშოვნი სახლ-კარი, უძრავ-მოძრავი ქონების სახით, ადგილობრივი მთავრობისაგა-და დამტოვეს გასაწყლებული, მაგრამ სარწმუნო-ების დაცვის გულისათვის, რომელიც შევსწირ-ზეციურ მამას, ბარემ ხორციელად უნდა შეეწი-რო. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, გამომიგ-ზავნოთ ნებართვა, რათა უკლებლივ შევასრულ-ყველა მღვდელმოქმედება მორწმუნეთა შორის, რომელიც დამჭირდება".**

1935 წლის 3 მაისს მღვდელი სპირიდონი უკანას-ნელად იხსენიება დილიკაურის ტაძარში. 1936 წლი-1 მაისს ამოღებულია მოქმედი სამღვდელოების რი-გებიდან. ამ ეტაპზე უცნობია, თუ რით დამთავრდ-ამ შეუპოვარი მოძღვრის ცხოვრება.

მეუღლე — მატათია გიორგის ასული (დაბ. 1862წ.) და შვილები: ნიკოლოზი (დაბ. 1882წ.), გრი-გოლი (დაბ. 1883წ.), კონსტანტინე (1886), ვიქტორ-(1888), ვლადიმერი (1898).

სასულიერო პირები იყვნენ მღვდელ სპირიდო-ნის უფროსი ძმები — მღვდელი კირილე და დეკა-ნოზი ლუკა.

მღვდელი კირილე 1844 წელს დაიბადა. მიღ-ბული ჰქონდა შინაური განათლება. 1863 წლის 1 სექტემბერს ღარიხევის წმ. გიორგის სახ. ტაძრი-მედავითნედ დაინიშნა. 1872 წლის 14 თებერვალ-იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკ-ნად აკურთხა. 1878 წლის 22 ივლისს მღვდლად დაას-ხა ხელი და ღარიხევის ტაძარში მედავითნის შტატ-დაადგინა. 1882 წლის 10 ივნისს იმავე ეკლესიაში მ-ორე მღვდლად დაინიშნა. 1897 წლის 15 ოქტომბერ-საგვერდულით დაჯილდოვდა. 1898 წლის 29 მარ-ტიდან 1901 წლის 6 თებერვლამდე იყო ხარაგაულ-სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგე. 1904 წლის 1 მაისს სკუფია უბოძეს. 1905 წლის 13 მაისს ხევიჯ-რის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწ-სეს. 1906 წლის 30 ოქტომბრიდან იყო დილიკაურ-ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის წინამძღვ-რი. 1906 წლის 30 ოქტომბრიდან 1910 წლამდე - დილიკაურის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგ-ჰქონდა ჯილდო იმპერატორ ალექსანდრე III სახ. ს-მახსოვრო ვერცხლის ჯვარი. მეუღლე — ანასტასი-გიორგი ასული (დაბ. 1843წ.) და შვილი — მღვდ. სვ-მონი (დაბ. 1868წ.).

დეკანოზი ლუკა 1854 წელს დაიბადა. დაამთა-რა თბილისის სასულიერო სემინარია. 1882-188-წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელ-პედაგოგად მუშაობდა. 1883 წლის 3 ნოემბერს ს-ქართველოს ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) დ-აკვნად აკურთხა, იმავე წლის 8 ნოემბერს იმერეთ-ეპ. გაბრიელმა (ქიქოძე) მღვდლად დაასხა ხელი ი-საქარის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. ტაძარ-ში განამწესა. 1884 წლის 13 სექტემბერს სიმონეთ-

სპირიდონ ჭიპაშვილის მეოხებით აქ გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც შემოსწირეს ამავე სოფლის სცენის მოყვარეებმა გრიშა ჭიპაშვილის მეთაურობით წარმოდგენიდან შეკრებილი 120 მან. ფული, წიგნები და გაზეთები სხვადასხვა პირებმა. სრული დარწმუნებული ვართ, რომ სხვებიც შემოსწირავენ თავიანთ წვლილს ამა ღარიბ სამკითხველო-ბიბლიოთეკას. სამკითხველო მოთავსებულია დილიკოურის სამრევლო სკოლის შენობაში".

მღვდელი სპირიდონი 1927 წლის 10 ოქტომბერს მარგვეთის ეპარქიის, არგვეთის ოლქის, დილიკაურის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. 1928 წლის 30 სექტემბერს დილიკაურის წმ. გიორგის სახ. ტაძარში უკვე მღვდელი ილარიონ სალაძე ჩანს, ხოლო მღვდელი სპირიდონი დილიკაურის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის წინამძღვარია. 1931 წლის 1 მაისს მარგვეთის ეპარქია ქუთაის-გაენათის ეპარქიაზეა მიწერილი და მღვდელი სპირიდონი დილიკაურის სამრეველოში იხსენიება. XX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში ათეისტურმა ხელისუფლებამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მასობრივად დაიწყო ეკლესიების დახურვა. ისინი ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ სამღვდელოების დასაშინებლად და დასამორჩილებლად. ცდილობდნენ, დაეკეტათ იმდროისთვის გადარჩენილი ეკლესიები, სადაც მორწმუნეები სულიერ საზრდოს იღებდნენ და ამით საბოლოოდ გაეწყვიტათ ის კავშირი, რომელიც მათ ეკლესიასთან აკავშირებდათ. იმ პერიოდში მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა, სადაც მრევლმა და მოძღვარმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია კომუნისტებს. ერთ-ერთი ასეთი იყო მღვდელი სპირიდონის სამრევლოც. აი, რას წერდნენ ისინი 1934 წლის 25 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე): **„ჩვენ ვართ მართმადიდებელნი ქრისტიანენი. გვყავს სულიერი მოძღვარი. მიუხედავად ამისა, სოფლის აღმასკომის თავჯდომარემ და საბჭოს წევრებმა დაგვიხურეს დილიკაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია და მღვდელ სპირიდონ ჭიპაშვილს აუკრძალეს წირვა-ლოცვის ჩატარება და ამ მოკლე ხანში ჩამოგვართვეს დილიკაურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც და ხსნიან შიგნით კლუბს, ჩვენ კი შორიდან, ცრემლმორეულნი ვუყურებთ მათ. ამისთვის, უმორჩილესად გთხოვთ, ინებოთ განკარგულება და გათავისუფლებულ იქნას ერთი ეკლესია მაინც, რათა საშუალება მიეცეს მღვდელს ჩაატაროს ღვთისმსახურება. ხელს აწერს 200 კაცი".** იქვე მიმართავს თხოვნით მღვდელი სპირიდონიც ქუთაის-გაენათის საეპარქიო საბჭოს: **„თუმცა წამერთვა უკანონოდ, ჩემი სიყმაწვილიდან ნაშოვნი სახლ-კარი, უძრავ-მოძრავი ქონების სახით, ადგილობრივი მთავრობისაგან და დამტოვეს გასაწყლებული, მაგრამ სარწმუნოების დაცვის გულისათვის, რომელიც შევსწირე ზეციურ მამას, ბარემ ხორციელად უნდა შევეწირო. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, გამომიგზავნოთ ნებართვა, რათა უკლებლივ შევასრულო ყველა მღვდელმოქმედება მორწმუნეთა შორის, რომელიც დამჭირდება".**

1935 წლის 3 მაისს მღვდელი სპირიდონი უკანასკნელად იხსენიება დილიკაურის ტაძარში. 1936 წლის 1 მაისს ამოღებულია მოქმედი სამღვდელოების რიგებიდან. ამ ეტაპზე უცნობია, თუ რით დამთავრდა ამ შეუპოვარი მოძღვრის ცხოვრება.

მეუღლე — მატათია გიორგის ასული (დაბ. 1862წ.) და შვილები: ნიკოლოზი (დაბ. 1882წ.), გრიგოლი (დაბ. 1883წ.), კონსტანტინე (1886), ვიქტორი (1888), ვლადიმერი (1898).

სასულიერო პირები იყვნენ მღვდელ სპირიდონის უფროსი ძმები — მღვდელი კირილე და დეკანოზი ლუკა.

მღვდელი კირილე 1844 წელს დაიბადა. მიღებული ჰქონდა შინაური განათლება. 1863 წლის 15 სექტემბერს ღარიხევის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მედავითნედ დაინიშნა. 1872 წლის 14 თებერვალს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა. 1878 წლის 22 ივლისს მღვდლად დაასხა ხელი და ღარიხევის ტაძარში მედავითნის შტატში დაადგინა. 1882 წლის 10 ივნისს იმავე ეკლესიაში მეორე მღვდლად დაინიშნა. 1897 წლის 15 ოქტომბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1898 წლის 29 მარტიდან 1901 წლის 6 თებერვლამდე იყო ხარაგაულის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგე. 1904 წლის 10 მაისს სკუფია უბოძეს. 1905 წლის 13 მაისს ხევიჯვრის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესეს. 1906 წლის 30 ოქტომბრიდან იყო დილიკაურის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის წინამძღვარი. 1906 წლის 30 ოქტომბრიდან 1910 წლამდე — დილიკაურის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგე. ჰქონდა ჯილდო იმპერატორ ალექსანდრე III სახ. სამახსოვრო ვერცხლის ჯვარი. მეუღლე — ანასტასია გიორგი ასული (დაბ. 1843წ.) და შვილი — მღვდ. სვიმონი (დაბ. 1868წ.).

დეკანოზი ლუკა 1854 წელს დაიბადა. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1882-1883 წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად მუშაობდა. 1883 წლის 3 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 8 ნოემბერს იმერეთის ეპ. გაბრიელმა (ქიქოძე) მღვდლად დაასხა ხელი და საქარის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. ტაძარში განამწესა. 1884 წლის 13 სექტემბერს სიმონეთის

ოლქის მთავარხუცესის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. 1886 წელს საგვერდულით დაჯილდოვდა და დამტკიცდა მთავარხუცესად. 1890 წლის 1 აპრილს სკუფია უბოძეს. 1894 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1899 წლის 3 თებერვალს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1899 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1904 წლის 15 მაისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1904 წელს დეკანოზ ლუკას გარდაეცვალა ცხოვრების თანამგზავრი, ერთგული მეუღლე თეოდოსია ალექსის ასული (1864-1904წწ). დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. დასაფლავების დღეს ახლადშესვენებულს ნირვა ჩაუტარა და წესი აუგო იმერეთის ეპ. ლეონიდემ (ოქროპირიძე), რომელმაც ვრცელი სიტყვით მიმართა მის დამწუხრებულ მეუღლეს. ქადაგებას გთავაზობთ შემოკლებით:

„რომელმან პოოს ცოლი კეთილი, უპოვნიეს მადლი, მიუღებიეს სიწყნარე უფლისა მიერ“ (იგავ. სოლ. 18, 22).

„შენ, აწ მწუხარებით აღვსილო, პატიოსანო მამაო ლუკა, იმ თავითვე გაშორა მოსიყვარულე ზეციური მამის მადლიანმა მარჯვენემ ყოველი შეცდომა და ბორკილი ამ დიდ საქმეში, იმთავითვე წაგიმძღვანა ჭეშმარიტება, დაგინერგა, აღგიზარდა და განგიმტკიცა მაღალი რწმენა. მეუღლეობა, ცოლ-ქმრობა შენ გქონია მიჩნეული საღმრთო მცნებად, ღვთისაგან ნაკურთხ საქმედ, ამისთვის მეუღლის ძებნის დროს არ გიხელმძღვანია ისეთი საანგარო მოსაზრებით, როგორც დამოყვრება მძლავრ და სახელგანთქმულ ოჯახთან, შეძენა სიმდიდრისა ცოლის შერთვით, თავის გამოჩენა საცოლის თანამედროვე გემოვნების სწავლა-განათლებით, მისი გარეგანი მოხდენილობა-სიმშვენიერით და სხვა... განსვენებულ თეოდოსიაში შენ ჰპოე „ცოლი კეთილი“ და მით „მოიპოე მადლი, მიიღე სიწყნარე უფლის მიერ“. თანხმობიანი, გაწყობილი, უწყინარი, მყუდრო, ტკბილი, თქვენთვის და სხვებისთვის სასიამოვნო, სასარგებლო და აზრიანი — ასეთი იყო თქვენი ცხოვრება დღიდან დაგვირგვინებისა აქამომდე, როდესაც ასე მოულოდნელად და უცბად გაწყდა თქვენ შორის ქვეყნიური მეგობრობის საამოდ მჟღერალი სიმი... შედარებას რომ მივმართოთ, მღვდლის ცოლი უნდა დავადაროთ დედა-ფუტკარს, ხოლო მღვდელი — მუშა ფუტკარს, მაგრამ ამასთან ერთად, უნდა აუცილებლად გვახსოვდეს ის არსებითი განსხვავება, რომ იმ დროს, როდესაც მუშა ფუტკარი გარედან ეზიდება შინ თაფლს, ცვილს, დედისა და ოჯახისათვის საზრდოს, მღვდელს თავისი მეუღლის განსაკუთრებითი დახმარებისა და შემწეობის ძალით უნდა საკუთარი ოჯახიდან გამოჰქონდეს სამწყსოში მოსაფენად სიტკბოება, გონების საზრდო, ზნეობის საზრდო და ხალხის კეთილდღეობისათვის საჭირო სიმდიდრე. დილიდან საღამომდე მღვდელი შრომობს და საქმიანობს მრევლში, ამასთა,ნ ილოცოს, სხვებთან იმგლოვოს და სხვ. ამგვარად დამაშვრალი, ღონემიხდილი ბრუნდება საღამო ხანს ოჯახში და ნეტარება მას, თუ სიამოვნებით მოელის მის დაბრუნებას მეუღლე, თუ მონაწილეობით, ხალისით და მტკივნეულად ეკითხება მას, რა გაარიგა, რა ნახა, რამ გაახარა და რამ ააღელვა მრევლში, თუ დიასახლისი თანაუგრძნობს მღვდლის მოღვაწეობას, თუ მის გულს ათფობს საღმრთო ცეცხლი ხალხისადმი სიყვარულისა. საკმარისია რამდენიმე საათი ამგვარი ზნეობრივი თანაგრძნობისა, რომ მღვდელს გაუაროს ფიზიკურმა დაღლილობამ, რომ მღვდელს მთლად მიავიწყდეს განვლილი სიმწარენი, საკმარისია ასეთი მეგობრის უბრალო სურვილი, რომ მღვდელი დილის მზის სხივებთან ერთად ხალისით გაფრინდეს მრევლში მუყაითი მუშა ფუტკარივით სამოქმედოთ... ახლად გარდაცვალებული მხევალი ღვთისა თეოდოსია აშკარად ჩანს, მიჩნეული იყო და პატივისაცემელი დედის მსგავს ადამიანად და ამის გამოა, რომ ასე გლოვობენ და თავს ევლებიან რო-

მღვდელი სპირიდონ ჭიპაშვილი

გორც ქმარი, ისე მეზობლები, როგორც ნათესავნი, ისე ნაცნობნი, როგორც მამაკაცნი, ისე მანდილოსანნი, როგორც სამღვდელონი, ისე საერონი. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო სულო! ამინ".

დეკანოზი ლუკა იყო ავტოკეფალიის აქტიური მხარდამჭერი და გულშემატკივარი. 1906 წელს თავისი ოლქის სამღვდელოების სახელით მან უშიშარი განცხადება გააკეთა იმჟამინდელ ქართულ პრესაში: **„1906 წელსა მაისის 10 დღესა, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი სიმონეთის საბლაღოჩინო მაზრის ეკლესიების სამღვდელოებამ მოვისმინეთ ამა წლის „Церковный ведомость"-ის 13 და 14 ნომერში დაბეჭდილის წერილის შინაარსი, რომლის ავტორიც ქართველი მღვდელი ირწმუნება, რომ ვითომც საქართველოს სამღვდელოებას არ სურდეს თავისი ეკლესიის ავტოკეფალობა, ეს საკითხი გამოგონილი იყოს რამოდენიმე კერძო პირთაგან. ამისათვის დავადგინეთ: იქნეს ცნობილი აღნიშნული წერილი ცილისწამებათ; საქართველოს სამღვდელოების ჭეშმარიტი სურვილი არის და იქნება აწიც მოიპოვოს საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალობა, თანახმად ამა საგანზედ შედგენილი და წარდგენილი უმაღლეს მთავრობასთან პეტიციისა და მას შინა ხელს ვაწერთ ჩემი ოლქის ოცდათვრამეტი მღვდელი და მედავითნე".**

დეკანოზი ლუკა 1907 წელს გარდაიცვალა. ჟურნალი „მწყემსი" თავის ფურცლებზე სწერდა: **„ბლაღოჩინი დეკ. ლუკა ჭიპაშვილი 25 მარტს გარდაიცვალა თფილისის მიხაილოვის სამკურნალოში ცოტა ხნის ავადმყოფობის შემდეგ. განსვენების დღე არის დანიშნილი 31 მარტი. კვირას მწირველი იქმნება მისი სულის მოსახსენებლად ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, რომელიც მოწვეულია საქარის მაცხოვრის ეკლესიაზედ. განსვენებულს არავინ არ დარჩენია, ერთი ნაშვილები ქალიშვილის მარიამის მეტი".**

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №39668; საქმე №40397; საქმე №57614; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1630; გაზეთი „ივერია" 1890წ. №82, გვ. 2; 1897წ. №257, გვ. 2; №262, გვ. 4; 1905წ. №134, გვ. 1; ჟურნალი „მწყემსი" 1904წ. №18, გვ. 14-15; 1906წ. №11-12, გვ. 24; 1907წ. №6, გვ. 7; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1894წ. №13; 1899წ. №6; №11; 1904წ. №10; გაზეთი „ისარი" 1907წ. №67, გვ. 1; გაზეთი „სახალხო გაზეთი" 1916წ. №528, გვ. 4; გაზეთი „ჩვენი ქვეყანა" 1917წ. №122, გვ. 4.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები", ქ. ქუთაისი, 2008წ. გვ. 62; გვ. 112; გვ. 135; გვ. 153.

მზეთამზე
გეგოვანი პური

"ქვავი" - 100%იანი ქვავის პური

„მზეთამზეს" ყველა სახეობის პური:
* არის გემრიელი
* არის სასარგებლო
* შედგება 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან: შეიცავს მხოლოდ ფქვილს, წყალს, მარილსა და „პურის დედას"
* ცხვება მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით
* გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი საფუარი - „პურის დედა": „პურის დედა" შეიცავს მხოლოდ ფქვილსა და წყალს
* ინახება ხანგრძლივად

* იყიდება ქსელურ სუპერმარკეტებში: 2 ნაბიჯი, ევროპროდუქტი, გუდვილი, ეკონომიქსი, ზღაპარი, ნიკორა, ფრესკო, ჯლ მარკეტი, უნივერსამი.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

მღვდელი იოანე ხატიაშვილი

1854 — 1927

მღვდელი იოანე ვასილის ძე ხატიაშვილი 1854 წლის 2 იანვარს, ქ. თელავში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. ყმაწვილმა იოანემ პირველდაწყებითი განათლება თელავის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, რომელიც 1878 წელს დაამთავრა. იმავე წლის 1 სექტემბერს თელავის სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად დაინიშნა. 1882 წლის 26 ივლისს იქედან გათავისუფლდა. 1882 წლის 15 სექტემბრიდან 1883 წლის 15 მაისამდე თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა. 1883 წლის 1 აგვისტოდან 1885 წლის 13 ოქტომბრამდე წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში ასწავლიდა. 1886 წლის 23 თებერვალს დიაკვნად აკურთხეს. 1886 წლის 2 მარტს მღვდლად დაასხეს ხელი და კონდოლის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში განამწესეს. 1886 წლის 13 აგვისტოს კისისხევის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. ტაძარში გადაიყვანეს. იმავე წლის სექტემბრიდან კისისხევის სამინისტრო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1892 წლის 17 აპრილს თელავის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. ტაძარში დაადგინეს. 1897 წელს საგვერდულით დაჯილდოვდა. აქ მსახურების პერიოდში იგი იმავე ეკლესიასთან არსებული სკოლის გამგე და საღვთო სჯულის პედაგოგი იყო.

მღვდელი იოანე თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული და ნაკითხი ადამიანი გახლდათ. ყოველი წირვის შემდეგ მრევლს უქადაგებდა, განუმარტავდა სახარებას და წმიდა წერილის რთულ ადგილებს, არ იშურებდა სხვადასხვა სულიერი დარიგებას. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში გაბატონებულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას ქართველი სასულიერო პირები უპირისპირდებოდნენ, მათ შორის იყო მღვდელი იოანეც. იგი აქტიურად თანამშრომლობდა იმჟამინდელ ქართულ პრესასთან, სადაც ხშირად აქვეყნებდა სხვადასხვა სახის მასალას. ერთ-ერთი ასეთი წერილი მან მივიწყებულ ქართულ დღესასწაულებს მიუძღვნა. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ქართველები უგულისყუროდ ეკიდებიან თავიან წმინდანებს და დღესასწაულებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი ეს ქადაგება, თითქმის მთლიანად ეხმიანება დღევანდელ ვითარებას და შეიძლება ითქვას, რომ 115 წლის შემდეგაც დგას ეს პრობლემა ჩვენს ქვეყანაში. სტატიის სათაურია „წმ. ნინო და მისის დღესასწაულის აღდგენა“: **„ვაი იმ ერს, რომელსაც დაჰკარგვია ჯეროვანი პატივისცემა თავის შუქმფინარ მოღვაწეთა! ვაი, იმ სახელმწიფოს და სამეფოს, რომელსაც თავი არ მოსწონს მით, რომ მასაც ჰყოლია დიდებულნი გვამნი. ვაი, იმ საზოგადოებას, რომელიც მომავალს თაობას არ ასწავებს ღირსეულ პატივისცემას სამშობლოსათვის თავდადებულთა! ამგვარნი სადიდებელნი და სათაყვანო გმირნი ჰყავთ ფრანგებს — ჟანა-დარკი, რუსებს — ალექსანდრე ნეველი, სლავებს — კირილე და მეთოდე, სომხებს — გრიგოლ განმანათლებელი, ქართველებს — წმ. ნინო და სხვ. ამ მნათობთა სახელობაზედ აგებენ ტაძრებს, აწესებენ დღესასწაულებს, აარსებენ ათასგვარ კეთილსა და საქველმოქმედო საზოგადოებასა, თავშესაფარსა და ძმობასა. დღეს მთელი რუსეთი და სლავიანთა ტომი დღესასწაულობს დიდი მოწიწებით კირილესა და მეთოდეს ხსენებას. ყოველი სომეხი მოვალეა, იდღესასწაულოს წმ. გრ. განმანათლებლის ხსენების დღე. მოსწავლე-ახალგაზრდობაც თავისუფალია იმ დღეს და სასწავლებლად არ მიდის. სომხობას რომ თავი დავანებოთ და ავიღოთ თუნდაც ახატნელი თათრები თელავის მახლობლად, იმათაცა აქვთ სკოლა, მაგრამ განა როცა ბაირამობაა, ან ყურბანას და ალიას დღე მოდის, მთავრობა უარს ეუბნება, არა, ყმაწვილები უთუოდ მოვიდნენ სკოლაშიო? — სულაც არა. ისინი ამ დღეებში თავისუფალნი არიან. ჩვენ კი არა. ჩვენ ამ საქმეშიაც დაქვეითებული ვართ. წმ. ნინოს დიდებულ დღესასწაულზე ყველა უწყებაში საქმიანობაა, ყველა სასწავლებელში სწავლაა, ყველა სახელოსნოში მუშაობაა! სადღაა ძველებური მისი თაყვანისცემა და მისი დღესასწაული?! ჩვენდა სასირცხვილოდ, ოც სოფელში ორგან არ სრულდება ამ დღეს წირვა და ორგან არ მოიპოვება მისი ხატი. თუ გვსურს, რომ ჩვენც ხალხი გვეთქმოდეს, თუ გვურს ჩვენმა ეროვნებამ თავისი ელფერი არ დაჰკარგოს, დროა თვალები მოვიფშვნიტოთ, ყურები გამოვიბერტყოთ, გამოვერკვეთ საღათას ძილიდან და ამჟამად ეს მოვიმოქმედოთ, რომ ხსენება წმ. ნინოსი ყოველ წლობით ჯეროვნად სრულდებოდეს ჩვენში. საჭიროა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო კრებაზე იქმნეს დადგენილი, რომ ეთხოვოს მთავრობას, სადაც მოსახლეობს ქართველი ტომი, წმ. ნინოს დღესასწაული აღიარებულ იქმნეს უქმად, როგორც არის კირილესა და მეთოდეს ხსენების დღე. ამას გარდა, ურიგო არ იქნება გადიდებულ იქმნეს რამდენიმე ასი ცალი ხატი წმ. ნინოს ძველის ხატიდან და დაურიგდეს სამრევლო ეკლესიებს. აგრეთვე მიეწეროს ყველა ეკლესიის კრებულს, რომ ამ დღეს წირვა სრულდებოდეს ლი-**

ტანიით, წმიდის ცხოვრების მოძღვრებით".

1901 წელს თელავის მაზრაში ზედიზედ რამდენიმე ეკლესია გაიძარცვა, საიდანაც წაიღეს ძვირფასი ოქრო-ვერცხლით დამზადებული ნაკეთობანი, ძველი შესამოსელნი და საეკლესიო სამკაული. 1902 წლის იანვარში ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს კურდღელაურის კავთის ეკლესია, რომელიც მთლად დააცალიერეს ძვირფასეულობისგან. სხვათა შორის, წაიღეს ძველისძველი კაკლის ხის ბარძიმი, ძვირფასად მოჭედილი. ამ ამბებით შეწუხებული მოძღვარი გაზეთი „ივერიის" ფურცლებზე წერდა: **„საქმე სწორედ ასე გახლავთ და ადრე აღარ არის, ვიზრუნოთ რამე და ეს რამე, ჩემის მოსაზრებით ის არის, ყოველს ეკლესიის კრებულს ბინა ჰქონდეს თვით ეკლესიის ეზოში. მხოლოდ მაშინ შიში აღარაფრისა მოელის ჩვენს ტაძრებს, როდესაც მის მახლობლად იცხოვრებს სამი-ოთხი კომლი და მღვდელსაც შეძლება ექნება თვალყური ადევნოს ღამის ყარაულს, თორემ ეხლა ოცს მღვდელში ორი არ სცხოვრობს ეკლესიის სიახლოვეს და რა ჰქმნან, როგორ უპატრონონ ტაძარს, რომელშიაც ხშირად ძვირფასი საისტორიო და საარქეოლოგიო განძია დაკრძალული!".**

1902 წლის 9 დეკემბერს მამა იოანე ბარისახოს ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში გადაიყვანეს და ფშავ-ხევსურეთის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1902-1906 წლებში იყო ბარისახოს სკოლის გამგე და საღვთო სჯულის მასწავლებელი. 1904 წლის 3 თებერვალს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1904 წლის 6 ივნისს სკუფია უბოძეს.

ურთულეს პირობებში უწევდა მღვდელ იოანეს მთაში მსახურება. მოგეხსენებათ, საქართველოს მთიანეთი დღეს რა მძიმე პირობებშია, და XX ს-ის დასაწყისში ხომ მთლად გაუსაძლისი ვითარება იყო, არც გზები, არც სკოლები, არც საავადმყოფოები. ექიმი სანთლით საძებარი იყო. ხალხის ამ მძიმე პირობების შემხედვარე მოძღვარი ცდილობდა ქართველი საზოგადოებისათვის და ხელისუფლებისთვის ხმა მიეწვდინა, რათა მეტი ყურადღება და დახმარება აღმოეჩინათ მივარდნილი კუთხისთვის. თვით სასულიერო პირებიც კი, რომლებიც მთაში ბარიდან იყვნენ გამოგზავნილი, ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ და ძლივს ახერხებდნენ თავიანთი მოვალეობის აღსრულებას. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით, მღვდელი იოანე ქართული პრესის ფურცლებზე: **„საქმე სწორედ სამწუხაროდ არის დაყენებული და რა ეშველების, ან ვინ უშველის, ეს არის საკითხი? მაგალითებისათვის შორს არ გვინდა წასვლა: შარშან ზამთარს გახდა ავად ფილტვების ანთებით სოფ. როშკის მღვდელი და მთელის სამოცის ვერსის მანძილზე რაინდულად თავგადადებით მანდილ-მოსხმულმა მისმა თანამეცხედრემ ხუნჩებით გადმოვლო მთის მწვერვალები და საკაცით ჩამოიყვანა ცოცხლად ბარად საშველ ალაგას. ასეთივე დღე დაადგა სოფ. ხახმატის მღვდელს და დღესაც ვერ გათავისუფლებულა, და რა ესენი, დღე ისე არ გაივლის, ვინმე ხევსური არ იდგეს ჩემ კარზედ და არ მემუდარებოდეს: ბალღი, ცოლი, მამა, დედა და სხვა მყავს ავად და თუ რაიმე წამალი მოგეპოვების, გვიწილადეო. რა ვქნათ, ჩვენ, დამეხილებმა, რომ ვერ ვაკმაყოფილებთ მათს თხოვნას. ძველად ყოფილა აქ რაღაც აფთიაქი და შემდეგ დაკეტილა. ჩვენი სათხოვარი ეს არის: მოგვხედეთ, გვიპატრონეთ, დაუნიშნეთ ფშავ-ხევსურეთს ერთი გამოცდილი ფერშალი თავის აფთიაქით, რომ უბრალო წამლობის ღირსნი მაინც შევიქნეთ. მანამდე კი ყველას ვთხოვ: ქართველს, რუსს, სომეხს, ყველა მეაფთიაქეს და წამლების გამყიდველს, კეთილ მონას, ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს — გვიწყალობონ ცოტა რამ წამლეულობა და გამოგზავნონ ამ მისამართზე: თიანეთის გავლით, სოფ. ბარისახო, სკოლის აფთიაქი".**

1904 წელს მღვდელ იოანეს მეცადინეობით ბარისახოში დაარსდა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო, საიდანაც ორივე ხეობის მცხოვრებთ შეეძლოთ ესარგებლათ წიგნებით. ამ საქმეში მას დიდი დახმარება და თანადგომა აღმოუჩინეს „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ბატონებმა: ბურჭულაძემ, კალანდაძემ და ანდრონიკაშვილმა, რომლებმაც ჟურნალ „მოამბის" ნომრები შეწირეს სამკითხველოს. ეპისკოპოსმა კირიონმა 1904 წლის ჟურნალი „ჯეჯილი" გამოუწერა. მღვდელმა იოანემ მადლობა გადაუხადა ყველა კეთილისმოსურნეს და შემდეგი თხოვნით მიმართა მათ: **„ჩვენი საზოგადოების წევრებს, ნამეტნავად მგოსნებს, ვთხოვ, შეაგროვონ ძველი და ახალი წიგნები, ყდიანი და უყდო, ორიგინალური და ნათარგმნი, აქ ყველა გამოსადეგია და მოგვაწოდონ. იტყვით, ნუ სწუწუნებთო; რა ვქნათ, რომ გვესაჭიროება? ათი ათასი სული მაინც ვართ ამ ორ ხეობაში და ერთადერთი წიგნთსაცავი გავიჩინეთ და რითაც და როგორც შეიძლება, როგორ არ შევავსოთ? დღე ერთია და მთხოვნელი ასი, — „ქაღალდი გექმნება რამე საკითხიო", „ომისა რა იცი, წაგვიკითხე", „მოგვეცი რამეო!" რას იზამ ამ შემთხვევაში: უარს ეტყვი, სინდისი გქენჯნის, მისცემ და მეორე აღარა გაქვს, რომ სხვა მთხოვნელიც დააკმაყოფილო".**

1904 წელს მღვდელი იოანე ხევსურეთიდან გამოეხმაურა რუსეთში მყოფი ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) წინადადებას და წერდა: „ივერიის" 35-ში არის ფელეტონად დაბეჭდილი საგულისხმო წერილი ეპ. კირიონისა — **„უცხო სიტყვების ხმარება ქართულ ენაში"**, — რომლითაც იგი მიგვიწევს მკითხველთ სამუშაოდ, რათა ცნობაში იქმნეს მოყვანილი ჩვენ მამა-პაპათაგან ძველადვე ნაანდერძევი ძვირფასი და მდიდარი ჩვენი სალექსიკონო საუნჯე. ამასთანავე, აცხადებს, რომ საქმე წლეულობით დაიწყოს აღმოსავლეთ საქართველოდან და დიდი ყურადღება მიექცეს ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთს, სა-

თელავი, XIX საუკუნის ფოტო

დაც უფრო შეუცვლელად დაცული უნდა იყოს სიწმინდე ჩვენის ძველის ქართულის ენისაო. ამ საქმეში მონაწილეთ პატივცემული ავტორი აღუთქვამს შრომის საფასს და ჰპირდება გაუგზავნოს მომზადებული დავთარი რიგზედ სიტყვების ჩასაწერად. მე, როგორც დროთა ვითარებისა გამო, გამგე სასულიერო უწყებისა, ორის ხეობისა — ფშავის და ხევსურეთისა — ჩემდა მონდობილის საქმისა გამო — მაქვს დაახლოებითი ცხოვრება ხსენებულ თემებთან, ვუცხადებ დიდს სურვილს ბ-ნ ეპ. კირიონს და მის მიერ დანიშნულს სარედაქციო კომისიას, მივიღო წილადი შრომა ხსენებულს სიმპატიურს დაწყობილებაში უსასყიდლოდ, მხოლოდ გამომეგზავნოს ჩასაწერი დავთარი".

1906 წლის 2 სექტემბერს ბოდბისხევის წმ. კვირიკესა და ივლიტას სახ. ტაძარში დაადგინეს. 1908 წლის 16 თებერვალს ველისციხის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრისა და სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1908 წლის 1 ოქტომბრიდან ასწავლიდა საღვთო სჯულს ველისციხის ორკლასიან სამინისტრო სკოლაშიც. 1911 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა.

მღვდელი იოანე იყო მხურვალე ავტოკეფალისტი და ქართულ პრესაში რამდენიმე წერილიც გამოაქვეყნა ამ თემასთან დაკავშირებით. აი, რას წერდა იგი 1907 წელს ჟურნალ „მწყემსში" გამოქვეყნებულ თავის სტატიაში „საქართველოს სამღვდელოების მიმართ": **„პატივცემული მწერალი ნ. თ. „მწყემსის" მე-7 ნომერში, სათაურით - „ჩვენი საეკლესიო საკითხის გამო", არჩევს დეკ.-პროფ. ტიტოვის წერილს, რომელიც ბოლოვდება ამგვარად: „ყოველ შემთხვევაში, საკითხი საქართველოს ავტოკეფალობისა საბოლოოდ უნდა გადაწყდეს მომავალ სრულიად რუსეთის ადგილობრივ კრებაზე", — იძლევა კითხვას — გაიგზავნონ ჩვენი წარმომადგენელნი ამ კრებაზე თუ არა? — და თვითონვე იძლევა პასუხს: „ჩვენ საქმე არა გვაქვს რუსეთის ეკლესიასთანო", — მაშასადამე, არც უნდა ვინმე გაიგზავნოს. დასკვნა ცხადია.**

გაუკადნიერდები პატივცემულს მწერალს, რომ ეს დიდი შეცდომაა და დიდ ზარალსაც გვიქადის. კმარა ჩვენთვის მთელი საუკუნის ძილი, დრო არის გამოვიფშვნიტოთ თვალები, გამოვიხედოთ ჩვენი ბუნაგიდან, შევხედოთ დღის სინათლეს. არავის არ მისცემს ამ დროს კეთილს კარჩაკეტილი განცალკევებული ცხოვრება და მოქმედება. აღარც დროს არის, მივდიოთ სირაქლემას პოლიტიკას. ჩვენ ამჟამად უნდა შეუდგეთ მოქმედებას და გამარჯვება შემდეგ გველირსება. ჩვენ რომ არ დავესწროთ რუსეთის ადგილობრივ საეკლესიო კრებას, ამით რას მოვიგებთ? — სრულიად არაფერს. — წაგებით კი ბევრს წავაგებთ. აი, როგორ? თუ მაშინ, როდესაც ჩვენი წარმომადგენელნი იყვნენ წინასწარ კრებაზედ (იგულისხმება 1905-1906წწ. გამართული კრება, სადაც მონაწილეობდნენ ეპისკოპოსები: კირიონი და ლეონიდე, ალ. ცაგარელი და ალ. ხახანაშვილი — გ.მ), არ დაირცხვინეს და ყოველი სიმყრალე წამოანთხიეს სტეფანე ბულგაკოვმა და იოანე ვოსტორგოვმა, მაშინ, როცა ჩვენგანს არავის დაინახავენ, ხომ სულ უწმინდურობით აგვივსებენ უბე-კალთას და თავზედაც ლაფს დაგვასხამენ. მაგალითი წინ გვიდევს: უკანასკნელ კრებაზედ, როგორც თქვენ ამბობთ, რომ აღარავინ ნახეს მოპირდაპირედ, აღვირი აიხსნეს და გაცეცხლებული გული კარგად იჯერეს ჩვენზედ, კრებაც ერწმუნა მათ და მიიღო ვოსტორგოვის ფურნეში გამომცხვარი პროექტით რეცეპტი საქართველოს ეკლესიის ჩახრჩობისა. მაშასადამე, რას უნდა მოველოდეთ მომავალს კრებაზედ იმავე პირთაგან, როცა ჩვენგანს ის აღარავის დაინახავს? ამით ხომ მივეცემით ხელში კანონისტებს — დააკანონონ ჩვენი ეკლესიის გაუქმება. „შიში არ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა" — უთქვამს ჩვენს დიდს მოძღვარს შოთას. ჩვენ უკან კი არ უნდა შევდრკეთ, არა, მას უნდა მახვილითა და წათებით მივეტევნეთ და თუნდ კიდეც მუცელში ჩაედოს, განუპოო იგი და ცოცხალი გადმოვაგდებინოთ... დღეს უკანასკნელად აღბორგებულია ჯოჯოხეთი მის საუკუნოდ ჩასანთქმელად. ისწრაფეთ, კეთილნო მსახურნო, მის აღსადგენად".

მღვდელი იოანე ხატიაშვილი

1918 წელს მღვდელი იოანე ისევ ველისციხის სამრევლოში მსახურობდა. 1919 წლის 4 ნოემბერს იგი უადგილოდ იყო და გომეწრის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დანიშნვა ითხოვა. 1920-1922 წლებში იყო ალავერდის საეპარქიო საბჭოს მდივანი, კანცელარიის გამგე და კურდღელაურის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის წინამძღვარი, სადაც ჩანს 1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროსაც. 1921 წლის 11 ივნისს შეიქმნა ალავერდის ეპარქიის ქვრივ-ობოლთა სამზრუნველო, დეკანოზ იოანე შიუკაშვილის თავმჯდომარეობით, მისი წევრები იყვნენ: დეკანოზი ირონიონ შავლიაშვილი, მღვდელი იოანე ხატიაშვილი და სარდიონ ალადაშვილი. მღვდელი ხატიაშვილი ასრულებდა მდივნის მოვალეობასაც. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისა და რეპრესიებს შემდეგ, როგორც საეკლესიო საბუთებიდან ჩანს, მას აღარსად უმსახურია. 1926 წლის 16 თებერვალს შედგენილ ალავერდის ეპარქიის მოქმედი სამღვდელოების რიგებში იგი აღარ ფიგურირებს

მღვდელი იოანე 1927 წლის 9 სექტემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია თელავის საერო სასაფლაოზე. ჰყავდა მეუღლე - სოფიო იოსების ასული (დაბ. 17.10.1866წ.) და შვილები: შალვა, ელიზბარი, ქეთევანი, ნინო, იოსები, ეკატერინე.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №57668; ფ. 1698, აღწერა 1, საქმე №19; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის ფ. 31, საქმე №870, ფურც. 51; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №50; გაზეთი „ივერია“ 1902წ. №23, გვ. 1; №31, გვ. 3; 1904წ. №56, გვ. 4; გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1903წ. №2094, გვ. 2; 1904წ. №2423, გვ. 4; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1897წ. №11; 1903წ. №1; 1904წ. №15; №16; ჟურნალი „მწყემსი“ 1907წ. №18, გვ. 1-3; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1911წ. №10; გაზეთი „კომუნისტი“ 1927წ. №202, გვ. 4.

მზეთამზე
მეეთოვანი პური

"ლომთაგორა" - თეთრი პური

„მზეთამზეს“ ყველა სახეობის პური:
* არის გემრიელი
* არის სასარგებლო
* შედგება 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან: შეიცავს მხოლოდ ფქვილს, წყალს, მარილსა და „პურის დედას“
* ცხვება მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით
* გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი საფუარი - „პურის დედა“: „პურის დედა“ შეიცავს მხოლოდ ფქვილსა და წყალს
* ინახება ხანგრძლივად

* იყიდება ქსელურ სუპერმარკეტებში: 2 ნაბიჯი, ევროპროდუქტი, გუდვილი, ეკონომიქსი, ზღაპარი, ნიკორა, ფრესკო, ჯლ მარკეტი, უნივერსამი.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: # GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.

9 772587 506008

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

მღვდლები — გრიგოლ და ვლადიმერ გძელიშვილები

მღვდელი გრიგოლ გძელიშვილი და სამთავროს დედათა სასწავლებლის მოწაფენი

მღვდლები გრიგოლ და ვლადიმერ გძელიშვილები მღვდლის ოჯახში დაიბადნენ. სასულიერო პირები იყვნენ მათი წინაპრებიც. ბაბუა, **მღვდელი სიმონი,** XIX ს-ის I ნახევარში ოსეთის სასულიერო კომისიაში მსახურობდა და ღოღეთის წმ. თომა მოციქულის სახ. ტაძარში მოძღვრობდა. მისი ვაჟი — **მღვდელი ილარიონი** — 1839 წელს დაიბადა. სასწავლებელში არ უსწავლია. ქართულ ენაზე წერა-კითხვა, საღვთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი მონასტერში ისწავლა. 1856 წლის 16 თებერვალს ლამისყანის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მედავითნედ დაინიშნა. 1871 წლის 2 იანვარს დიაკვნად აკურთხეს. 1872 წლის 18 დეკემბერს სამთავისის მაცხოვრის ამაღლების სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1876 წლის 1 აპრილს მღვდლად დაასხეს ხელი და ლარგვისის წმ. თეოდორე ტირონის სახ. ტაძარში განამწესეს. 1891 წელს მერეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1895 წლის იანვარში ხაჩირაანთკარის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაინიშნა. გარდაიცვალა XX ს-ის დასაწყისში. ჰყავდა მეუღლე — ნინო იოსების ასული (დაბ. 1843წ.) და შვილები: მღვდ. გრიგოლი (1863-1919წწ.), სიმონი (დაბ. 1864წ.), მღვდ. ვლადიმერი (1869-1911წწ.), ეკატერინე (დაბ. 1875წ.).

მღვდელი გრიგოლი 1863 წელს დაიბადა. 1887 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1888 წლის 13 მარტს საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 20 მარტს მღვდლად დაასხა ხელი და ერევნის გუბერნიაში, ეჩმიაძინის მხარეში, შაგრიარის სახ. ტაძარში განამწესა. იმავე წლის 1 მაისს მხურვალეთის წმ. მარინეს სახ. ტაძარში დანიშნა. 1899 წლის კი 1 იანვარს სამთავროს წმ. ნინოს სახ. დედათა მონასტრის მწირველ მოძღვრად გადაიყვანეს. მასვე დაევალა მონასტერთან არსებულ ოთხწლიან დედათა სასწავლებელში საღვთო სჯულის სწავლება. მღვდელი გრიგოლი კვირაში 16 გაკვეთილს ატარებდა. 1903 წლის 27 მარტს იმავე სასწავლებლის გამგედ და აღმზრდელობით დარგში უფროსად დაინიშნა.

1904 წელს მღვდელ გრიგოლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით გაზ. „ივერიაში" სამთავროს წმ. ნინოს სახ. დედათა მონასტრის წინამძღვარი და წითელი ჯვრის საზოგადოების საპატიო წევრი, ღირსი დედა ილუმენია ნინო (ამილახვარი) [ხს.29.12] წერდა: **„კვირას, 14 მარტს, მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ეკლესიაში, წირვის შემდეგ, გრძნობით სავსე სიტყვით მიჰმართა მონაზონებს, მასწავლებელთა და მოსწავლეთ მცხეთის დედათა მონასტრის სკოლის გამგემ, მღვდელმა გრიგოლ გძელიშვილმა და იწვევდა ყველას, ეკლესიაში მყოფთ, ნამეტნავად მასწავლებლებსა და მოსწავლეთ, მცირედი წვლილი შეეწირათ რუსეთის მხედრობისათვის, ომში დაჭრილთათვის და, საზოგადოდ, ომის მოთხოვნილებათათვის. ღირსშესანიშნავია შემდეგი სიტყვები გძელიშვილისა: „ჩვენ, შვილნო, რითი შეგვიძლიან დავეხმაროთ ჩვენს მოძმეთ, თუ არა თანაგრძნობითა, მცირედის შეწირულობითა და ვედრებითა ღვთისადმი, რომ ადრე და მალე გაგვეგონოს სასიხარულო ამბავი — გამარჯვება რუსეთისა იაპონიაზედ". წირვის შემდეგ წაკითხულ იქმნა მანიფესტი მისის უდიდებულესობის იმპერატრიცა მარიამისა; შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი, ხოლო ბოლოს მონაფეებმა მუხლ-მოდრეკით შეასრულეს გალობა: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი" რუსულ ენაზედ, მასწავლებლის ქ. ე. ცოფუროვის ლოტბარობით. მონაზონთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის გროვდება შეწირულება, რომელიც გარდაეცემა დანიშნულებისამებრ. ინებოს ღმერთმა, რომ მრავალს მღვდელსა და სკოლების გამგეთ მიებაძოთ მღ. გძელიშვილისათვის და ჩაენერგოთ**

გულში მოზარდ თაობისათვის სიყვარული ხელმწიფისა, ეკლესიისა და მამულისადმი".

1903 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს საეპარქიო სასწავლო საბჭოს დუშეთის მაზრის განყოფილების წევრად აირჩიეს. 1906 წლის 16 აგვისტოდან იმავე სასწავლებლის საქმის მწარმოებელია. 1908/1909 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიის წმ. ანდრია მოციქულის სახ. კარის ეკლესიაში განამწესეს. 1919 წლის 22 თებერვალს მღვდელმა გრიგოლმა საკათალიკოსო საბჭოს შაქრის ბარათების გაცემა სთხოვა.

ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მღვდელი გრიგოლი დაჯილდოებული იყო: 1893 წელს საგვერდულით; 1903 წლის 6 მაისს — კამილავკით; 1907 წლის 15 მაისს — სამკერდე ოქროს ჯვრით; 1914 წელს წმ. ანას III ხარისხის ორდენით.

მღვდელი გრიგოლი თბილისში, სლეპცოვის ქ. 3-ში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1919 წლის 24 თებერვალს. დაკრძალულია სამთავროს წმ. ნინოს სახ. დედათა მონასტრის ეზოში (გაზეთში გამოქვეყნებულ ნეკროლოგში წერია, რომ დაასაფლავეს 27 თებერვალს ვერის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის ეზოში). ჰყავდა მეუღლე — სოფიო გიორგის ასული (დაბ. 1870წ.) და შვილები: ელენე (დაბ. 1888წ.), ნინო (დაბ. 1891წ.), ანა (დაბ. 1893წ.).

მღვდელი ვლადიმერი 1869 წელს დაიბადა. 1890 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1891 წლის 22 მაისს გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა. იმავე წლის 26 მაისს მღვდლად დაასხა ხელი და ჩარგლის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1892 წლის იანვარში ახალსოფლის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1898 წელს თიანეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესეს და თიანეთის მაზრის I ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა.

1899 წლის ოქტომბრის დასაწყისში თიანეთის საეკლესიო ამხანაგობისა და წიგნთსაცავის თავმჯდომარე ივანე ჩიბალაშვილი, რომელიც 1895 წლიდან ხელმძღვანელობდა ამ საქმეს, გადადგა. მან დიდად იღვაწა თიანეთის საზოგადოების წინაშე: წიგნთსაცავს დაუთმო ოთახი, სათანადოდ ანათებდა და უვლიდა, ამიტომ თიანეთის საზოგადოებამ გადაწყვიტა ღირსეულად გაეცილებინა ეს თავდადებული კაცი. 10 ოქტომბერს შეიკეიბა საზოგადოების, სადაც გადაწყდა მისთვის რაიმე საჩუქარი მიერთმიათ. ამავე დღეს კრებაზე აირჩიეს წიგნთსაცავისთვის ახალი მზრუნველი. ხმის უმეტესობით აირჩიეს მთავარხუცესი, მღვდელი ვლადიმერ გძელიშვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის წიგნთსაცავში სულ 970 წიგნი იყო დაცული, და ასევე, იმ პერიოდში გამომავალი ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთები და საზღვარგარეთის მწერალთა თხზულებანი 60 ტომად.

საქართველოს ეგზარქოსის ფლაბიანეს (გოროდეცკი) ლოცვა-კურთხევით, 1899 წლის 2 სექტემბერს თიანეთის მაზრის I სამთავარხუცესო ოლქმა დაიწყო შესანირავის შეგროვება. 1899 წლის 11 დეკემბერს შეიქმნა ნადოკრის მონასტრის აღმდგენელი სპეციალური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ თიანეთის მაზრის I ოლქის მთავარხუცესი, მღვდელი ვლადიმერ გძელიშვილი დაინიშნა.

1901 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში" მღვდელი ვლადიმერი აქვეყნებს შემდეგ სტატიას: **„20 მარტს, ამა 1901 წლისას, შესრულდა 1182 წელიწადი, რაც წმიდა არჩილი, მეფე სრულიად საქართველოსი, ქრისტეს სარწმუნოებისათვის ეწამა ჭიჭუმის მიერ და დაკრძალულ იქნა ხსენებულს ეკლესიაში. ეკლესია ესე, სავანე წმიდა გვირგვინოსანის მეფისა, ამოდენა ხნის განმავლობაში, ჟამთა ვითარებისა გამო ყველასაგან უყურადღებოდ დატოვებული, მოვიდა სიძველეში და აუცილებლად საჭიროებს შეკეთებას. ადგილობრივ მკვიდრთ, სიღარიბისა გამო, არ შეუძლიანთ შესაფერად გაამშვენიერონ ეს ეკლესია, სავანე უძლეველის ქრისტეს მხედრისა ისე, რომ მასში შეიძლებოდეს აღსრულება ღვთის მსახურებისა. თიანეთის მაზრის პირველ საბლაღოჩინოს ოლქის სამღვდელოებამ საჭიროდა სცნო წმიდა მეფის არჩილის საფლავზედ ახალი ეკლესიის აშენება და, იქონია რა მხედველობაში ადგილობრივ მცხოვრებთა სიღარიბე-შეუძლებლობა, თვისის ბლაღოჩინის მ. ვლადიმერ გძელიშვილის შუამდგომლობით ნებართვა აიღო მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარქოსის ფლაბიანესაგან, მოიკრიბოს მთელს საეგზარქოსოში შეწირულებანი ამ წმიდანის საფლავზე შესაფერის ახალის ტაძრის აღსაშენებლად, რისთვისაც მისმა უსამღვდელოესობამ, ეგზარქოსმა ფლაბიანემ, დაამტკიცა კომიტეტი ბლაღოჩინის მღვდლის მამა გძელიშვილის თავჯდომარეობით.**

მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, ხსენებული კომიტეტი მოგმართავთ ამ მოწოდებით და უმორჩილესად გთხოვთ ყველას, შეძლებისამებრ აღმოგვიჩინოთ შემწეობა შემოწირულებით, რათა კომიტეტმა შეძლოს განაახლოს თვით მოწამისაგან აღშენებული ეკლესია, ანუ აღაშენოს მთლად ახალი, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, წმიდანის ნაწილების შესაფერად დასაცველად და მით დაუვიწყარ-ჰყოს შთამომავლობისათვის ადგილი წმიდა მეფის არჩილ II-ს განსვენებისა, რომელმაც მინდობითა ღვთისათა აღირჩია თავისა თვისსა დადება სახსრად ქრისტიანეთა და უმაგალითო ვნება აჩვენა მეფეთა შორის წამებითა — ეწამა-რა ქრისტეს სარწმუნოების გულისთვის ჭიჭუმ-აზიმის მიერ. ყოველივე შემოწირულებანი, ფულით იქნება და ნივთებით, ცოტა თუ ბევრი, დაფარული თუ ცხადი, კომიტეტისაგან მიღებულ იქმნება დიდის მადლობით. ვეცადნეთ ყველანი, განურჩევ-

ლად წოდებისა და სარწმუნოებისა, ქრისტეს მოყვარენო კეთილისმყოფელნო და ღვთისმოსავნო ქველის მოქმედნო, მკვიდრნო ივერიისანნო, შეერთებულის ძალით აღვაშენოთ ტაძარი წმიდანის საფლავზე და მით დაუმტკიცოთ შთამომავლობას, რომ ჩვენთვის დაუვიწყარ არს ხსენება წმიდა გვირგვინოსანის მეფის არჩილ II-ის, რომელიც დავიწყებისა საფლავმან დაჰფარა და რომელმანც განულო კარი წამებისა მეფეთა მოწამეთა და იქმნა გვირგვინად ეკლესიისა, დასდვა რა თავი თვისი ქრისტეს სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის. ნუ დაიშურებთ ნურავინ მოწყალებას ამა კეთილი საქმისთვის, რამეთუ: „მოწყალება სიკვდილისაგან იხსნის, ხოლო ესე და ცოდვათა განსწმენდს, და ჰყოფს პოვნასა მოწყალებისა და საუკუნეთა ცხოვრებისა, ამინ“ (ტობ. 12, 9).

ილია ჭავჭავაძის გადმოსვენება საგურამოდან, სამღვდელოების შუაში დგას მღვდელი გრიგოლი

შემოწირულებანი გამოიგზავნება თიანეთში კომიტეტის თავჯდომარის ბლაღოჩინის მღ. ვლადიმერ გძელიშვილის სახელობაზე და კომიტეტის მიერ ყოველივე შემოწირულების რაოდენობა გამოცხადებულ იქმნება ადგილობრივის გაზეთების საშუალებით თავისს დროზე. კომიტეტის თავმჯდომარე: ბლაღოჩინი მღვდელი ვლადიმერ გძელიშვილი. საქმის მწარმოებელი: მღვდელი ნიკოლოზ კახიშვილი“.

1899 წელს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1904 წელს სკუფია უბოძეს. 1904 წლის 23 ივნისს ნორიოს ღვთისმშობლის ხარების სახ. ტაძარში დაადგინეს. 1905 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: **„როგორც სოფ. ნორიოდან (თბილისის მაზრა) გვატყობინებენ, ადგილობრივი მღვდლის ვ. გ-სთვის გლეხებს სახლის შუშები ჩაუმტვრევიათ. მღვდელი გამოქცევას აპირებს“.** შემდგომ წლებში მღვდელი ვლადიმერი თბილისში გადმოიყვანეს და სანთლის ქარხანაში ზედამხედველად განამწესეს. 1909 წლის დეკემბერში მას ცუდი ამბავი გადახდა თავს, რამაც საბოლოოდ შეიწირა კიდეც მისი სიცოცხლე. 1909 წლის დეკემბერში მას ჯიბეში ედო სანთლის ქარხნის საკუთრება, 6000 მანეთის ოდენობით, რომელიც დაკარგა. როგორც მან განაცხადა, ეს ფული ამოაცალეს. მღვდელ ვლადიმერს სინოდალურმა კანტორამ უჩივლა. საქმე დროში გაიწელა. თავდაპირველად საოლქო სასამართლომ მღვდელი ვლადიმერი გაამართლა, რის შემდეგაც მან კანტორას ახალ ადგილზე დანიშვნა სთხოვა. 1910 წლის ივლისის თვეში სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება და მღვდელ ვლადიმერ დაუბრუნდა მღვდელმსახურების უფლება და სანთლის ქარხნის ჯამაგირი იმ დროიდან, რა დროიდანაც იგი სამსახურიდან იქნა დათხოვნილი. მართლაც, 1910 წლის 11 ოქტომბერს იგი აღადგინეს თავის უფლებებში და კურინი კოსის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში განამწესეს. მაგრამ პროკურორმა საქმე თბილისის სასამართლო პალატაში გადაიტანა, სადაც უკვე მღვდელ ვლადიმერს გამამტყუნებელი საჩივარი გამოუტანეს. აი, რას წერდა ქართული პრესა ამასთან დაკავშირებით: **„5 ნოემბერს ტფილისის სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე სანთლის ქარხნის ყოფილის ზედამხედველის, მღვდლის ვლადიმერ გრძელიშვილისა, რომელსაც სანთლის ქარხნის ფულის (6820 მან.) მითვისება ბრალდებოდა. ოლქის სასამართლომ, როგორც მკითხველმა იციან, მღვდელი გძელიშვილი სრულიად გაამართლა და ქართლ-კახეთის სინოდალური კანტორის სამოქალაქო საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა. პალატაში ეს საქმე გადატანილ იქმნა პროკურორის თხოვნით. პალატამ მღვდელი გძელიშვილი დამნაშავედ იცნო ფულის მითვისებაში და გადაუწყვიტა ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა და სასულიერო ხარისხისა და ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა. ამას გარდა,**

გძელიშვილმა უნდა დააკმაყოფილოს ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორის სამოქალაქო საჩივარი".

სამწუხაროდ, მამა ვლადიმერი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, რადგან მან ვერ წარადგინა ის სათავდებო ფული, რომელსაც სასამართლო სთხოვდა.

მღვდელი ვლადიმერი 1911 წლის 1 აპრილს პატიმრობაში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახ. ტაძრის სასაფლაოზე. 1912 წლის 10 დეკემბერს მის მეუღლეს წელინადში 300 მანეთი პენსია დაენიშნა. ჰყავდა მეუღლე - ქეთევან თომას ასული სონლულაშვილი (დაბ. 1874წ.) და შვილი: ნინო (დაბ. 1892წ.).

მღვდელი გრიგოლ გძელიშვილი ოჯახით

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე 8374; საქმე №22700; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №41295; საქმე №42100; საქმე №43911; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №940, გვ. 36; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1893წ. 10; 1896წ. №4; 1899წ. №6; №10; 1903წ. №11; 1904წ. №16; გაზ. „ცნობის ფურცელი" 1901წ. №1601, გვ. 4; გაზ. „ივერია" 1899წ. №242, გვ. 3; 1904წ. №75, გვ. 4; 1905წ. №41, გვ. 3; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1910წ. №17; 1911წ. №9; 1913წ. №2; 1914წ. №10; ჟურნალი „მწყემსი" 1907წ. №9-10, გვ. 1; ჟურნალი „შინაური საქმეები" 1909წ. №24, გვ. 16; გაზეთი „სახალხო გაზეთი" 1910წ. №45, გვ. 3; №73, გვ. 3; №152, გვ. 4; 1911წ. №206, გვ. 2; №297, გვ. 1; გაზეთი „სახალხო საქმე" 1919წ. №466, გვ. 1; 1920წ. №758, გვ. 1.

რუბრიკას უძღვება
დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი

მზეთამზე
გეოფოვანი პური

"ლომთაგორა" - ცეხვილი რუხი პური

„მზეთამზეს" ყველა სახეობის პური:
- არის გემრიელი
- არის სასარგებლო
- შედგება 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან:
  შეიცავს მხოლოდ ფქვილს, წყალს, მარილსა და „პურის დედას"
- ცხვება მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით
- გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი საფუარი - „პურის დედა":
  „პურის დედა" შეიცავს მხოლოდ ფქვილსა და წყალს
- ინახება ხანგრძლივად

* იყიდება ქსელურ სუპერმარკეტებში: 2 ნაბიჯი, ევროპროდუქტი, გუდვილი, ეკონომიქსი, ზღაპარი, ნიკორა, ფრესკო, ჯლ მარკეტი, უნივერსამი.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: # GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.

9 772587 506008

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

გარეკახელი ბედიაშვილების ოჯახი

ქალბატონი თინათინ ბედიაშვილი თავის ნაშრომში „საგარეჯოს რაიონში მოღვაწე სასულიერო პირები" ბედიაშვილების გვარის შესახებ წერდა: **„ზეპირი გადმოცემის მიხედვით ბედიაშვილების წინაპრები წამოსული არიან ბედიის მონასტრიდან. მონასტრის მსახურებსა და იქ მაცხოვრებლებს ბედიას-შვილებს ეძახდნენ. ისტორიული მასალების თანახმად, ოსმალების შემოსევების შედეგად, რომლებიც აფხაზეთისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე ტყვეებად ყიდდნენ ქართველებს, იძულებული იყო ქართველი მოსახლეობა გამოქცეულიყო იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში. ნაწილი ბედიას-შვილებისა დასახლდა ხარაგაულის რაიონსა და სამხრეთ საქართველოში, ნაწილი კი გარეჯაში და სოფ. ნინოწმიდაში. წერილობითი წყაროებიდან 1672 წელს, პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ვინმე ბედია, რომელიც ადრე ლუარსაბ ბატონიშვილს ეკუთვნოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ბედია თავის მსახურად აუყვანია ქართლ-კახეთის მეფე ნაზარალი-ხანს, შემდეგ კი მას დავით გარეჯის წინამძღვრისათვის უჩუქებია და დაუსახლებიათ გაღმა თვალში ვინმე დარისპანაშვილის მეზობლად. ამ ბედიას ჰყოლია შვილები: გიორგი, პეტრე და ნასყიდა. ამ ბედიამ დაიფუძნა ბედიაშვილის გვარი. ისინი იყვნენ სამონასტრო გლეხები და დავით გარეჯის მონასტერს ემსახურებოდნენ, 1721 წლის აღწერის დავთრებში საგარეჯოში უკვე მოიხსენიებიან ბედიაშვილები".**

მღვდელ იოანე ბედიაშვილის დაკრძალვა

1780 წლის ერთ სიგელში მოხსენიებულია ნინოწმიდის სახლთუხუცესი ბედიაშვილი ივანე, რომელიც ასევე იხსენიება, როგორც საგარეჯოს ნაცვალი 1792 წლის განჩინებაში გოდერძი ქურხულისა და პაპუა დრეიძის მამულის საქმეზე. არსებობს მეფე ერეკლე II-ის სიგელი მისივე ხელით დაწერილი ხბოს ტყავზე, სადაც მეფე ბედიაშვილს საუკეთესო ბრძოლისთვის დავით-გარეჯის ტერიტორიაზე მიწების გადაცემით აჯილდოებს.

XI ს-ში გადაწერილ იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანებზე", რომელიც გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში ინახებოდა, არის XVIII ს-ის მინაწერები, რომელთაგან ერთ-ერთი გახლავთ შემდეგი: „ქ. მე, ბედიაშვილი ანტონ დიაკონი, ეკო...". ეს ანტონი შემდეგში გახდა მღვდელი და საგარეჯოს ერთ-ერთ ტაძარში მსახურობდა. მისი შთამომავლები გახლდნენ აქ წარმოდგენილი ბედიაშვილები.

მღვდელი ექვთიმე ანტონის ძე ბედიაშვილი 1788 წელს სოფ. საგარეჯოში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. ქართულ ენაზე წერა-კითხვა და საეკლესიო ტიბიკონი გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. მონასტერში ისწავლა. 1812 წლის 20 აპრილს რუსთველ-ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა სტეფანემ (ჯორჯაძე) დიაკვნად აკურთხა. 1814 წლის 8 სექტემბერს თელავისა და ალავერდის მთავარეპისკოპოსმა დოსითეოსმა (ფიცხელაური) მღვდლად დაასხა ხელი და საგარეჯოს წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. 1818 წელს აღმოსავლეთ საქართველოში შტატების დალაგების შემდეგ საგარეჯოს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში მედავითნის შტატში დაინიშნა. 1827 წელს ყარაბულახის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის წინამძღვრობა შესთავაზეს, რაზედაც უარი განაცხადა. მთავარხუცესმა მისი უარი ასე ახსნა: **„არ ინდომა ყარაბულახში წასვლა, რომელ იგი არის რა მომვლელი თავის სახლისა და არავინა ჰყავს სხვა სახლში მამათაგანი, რომელსაც შეეძლოს ყურისგდება მცირე წლოვანთა ობლებთა და დაიჭიროს თვალყური მის მამულზე, რომელიცა არის ვენახი და სახნავი მიწები".** მეუღლე სოფიო დავითის ასული (დაბ. 1793წ.) და შვილები: ლუკა (დაბ. 1815წ.), მღვდელი ეფრემი/ევგრაფი (დაბ. 1817წ.), დავითი (დაბ. 1819წ.), გლახა (დაბ. 1828წ.), მღვდელი იოანე (1831-1907წწ.).

მისი ვაჟებიდან სასულიერო პირი გახდა ეფრემი, იგივე ევგრაფი და იოანე.

მღვდელი ევგრაფი 1853 წელს საგარეჯოს წმ. სვიმეონ მესვეტის სახ. ტაძრის წინამძღვრად იხსენიება.

მღვდელი იოანე 1830 წელს დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება მან თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. 1856 წლის 14 ივლისს წარჩინებით დაამთავრა სარატოვის სასულიერო სემინარია. 1856 წლის 12 ნოემბერს ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად და მეორე კლასების მასწავლებლად დაინიშნა. 1857 წლის 9 ივლისის იმავე სასწავლებლის ეკონომოსად დაადგინეს. 1857 წლის 16

სექტემბრიდან მესამე კლასების მასწავლებლის მოვალეობა შეეთავსა. 1857 წლის 31 ოქტომბერს კიევის სასულიერო აკადემიის საბჭომ დაამტკიცა ამ პოსტზე. 1861 წლის 22 ივლისს დიაკვნად აკურთხეს, იმავე წლის 27 ივლისს მღვდლად დაასხეს ხელი და კადგორონის ოსურ სამრევლოში დაინიშნა. ამავე წელს, სასწავლებლის რეორგანიზაცის შემდეგ, მეოთხე კლასების საღვთო სჯულის მასწავლებლად და ეკონომად დაადგინეს. 1863 წელს გათავისუფლდა სასწავლებლიდან. 1865 წლის 19 ოქტომბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1867 წლის 18 აპრილს სკუფია უბოძეს. 1870 წლის 16 თებერვალს საქართველოში დაბრუნდა და თიანეთის წმ. გიორგის სახ. ორშტატიანი ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს. 1872 წლის 23 თებერვალს საგარეჯოს წმ. სვიმონ მესვეტის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1873 წლის 3 ივლისიდან 1885 წლის 3 დეკემბრამდე იყო თბილისის მაზრის საგარეჯოს ოლქის მთავარხუცესი. 1885 წლის 3 დეკემბერს საგარეჯოს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში განამწესეს. 1889 წლის 28 მარტს კამილავკა ეწყალობა. 1898 წლის 2 ოქტომბერს საგარეჯოს სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ დაინიშნა. 1901 წლის 2 მარტს დროებით აირჩიეს მთავრხუცესად და ამ პოსტზე იყო 1902 წლის 12 დეკემბრამდე. 1904 წლის 14 აპრილს შტატიდან გავიდა და 1905 წლის 12 იანვარს პენსია დაენიშნა. მღვდელი იოანე 1907 წლის 28 აგვისტოს გარდაიცვალა. მეუღლე მაგდანა ზაქარიას ასული (დაბ. 1841წ.) და შვილები: ოლღა (დაბ. 1867წ.), სოფიო (დაბ. 1869წ.), ელენე (დაბ. 1871წ.), ანასტასია (დაბ. 1873წ., იყო გათხოვილი, მისი ქმარი უგზოუკვლოდ დაიკარგა 1905 წელს), ნინო (დაბ. 1874წ.), მღვდ. სპირიდონი (1875-1930წწ.), მღვდ. ვლადიმერი (დაბ. 1876წ.), ნიკოლოზი (1882-1967წწ.), აკაკი (დაბ. 1884წ.), ქეთევანი (დაბ. 1887წ.).

სპირიდონ ბედიაშვილი
სტუდენტი

მღვდელი სპირიდონი 1875 წელს დაიბადა. 1897 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია მეორე ხარისხის დიპლომით. 1898 წლის 6 მარტს ახმეტის ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1898 წლის 1 დეკემბერს თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს. 1899 წლის 16 აგვისტოდან თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველია. 1899 წლის 20 აგვისტოდან 20 დეკემბრამდე I კლასის მონაფეებს მართლწერას ასწავლიდა. 1901 წლის 20 აგვისტოდან 1902 წლის 1 მაისამდე II კლასის მართლწერის პედაგოგია, ხოლო 1900 წლის 15 სექტემბრიდან 14 დეკემბერის ჩათვლით ასწავლიდა ქართულ ენას II, III და IV კლასებში. 1902 წლის 12 თებერვლიდან 1902 წლის 1 მაისამდე უმაღლეს კლასებში საღვთო სჯულს ასწავლიდა. 1903 წლის 16 დეკემბერს სასწავლებლის წიგნების საწყობის გამგედ დაინიშნა. 1904 წლის 30 მაისს დიაკვნად აკურთხეს, ამავე წლის 6 ივნისს მღვდლად დაასხეს ხელი და საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში განამწესეს. 1906 წლის 15 მარტს ბორჩალოს მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველად დაინიშნა. 1907 წლის 1 იანვრიდან თბილისის მაზრის სკოლების ზედამხედველია. 1909 წლის 29 მარტს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1909 წლის 29 მაისს სკოლებში თორმეტწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის სამახსოვრო მედალი უბოძეს. 1911 წლის 2 აგვისტოს თბილისის მაზრის III ოლქის სამღვდლოებამ ეპარქიალურ შეკრებებზე დამსწრე სასულიერო დეპუტატად აირჩია. 1913 წლის 14 აპრილს სკუფია უბოძეს. 1913 წლის 21 თებერვალს რომანოვების დინასტიის 300 წლისთავთან დაკავშირებით სამახსოვრო მედალი გადაეცა. 1914 წლის იანვარში თბილისის სანთლის ქარხნის ზედამხედველის კანდიდატად აირჩიეს 5 წლის ვადით. იგი ასევე ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში მის დახურვამდე. 1916 წლის 20 მაისს კამილავკა ეწყალობა. შთამომავლების გადმოცემით, სემინარიის გაუქმების შემდეგ მღვდელი სპირიდონი საგარეჯოს ერთ-ერთ ეკლესიაში მსახურობდა. XX ს-ის 20-იან წლების დასაწყისში ანაფორა გაიხადა და საერო ცხოვრება დაიწყო. მუშაობდა რუსული ენის პედაგოგად საშუალო სკოლაში. ყოფილი მოძღვარი 1930 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა. დაკრძალეს 1931 წლის 2 იანვარს საგარეჯოს სასაფლაოზე. მეუღლე მარიამ გიორგის ასული (3.11.1886) და შვილები: ალექსანდრე (დაბ. 14.03.1905წ., რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსი. 1948-1951 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, 1952-1953 წლებში კი მინისტრი), იოანე (დაბ. 2.09.1907წ., რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, წლების მანძილზე იყო სკოლის დირექტორი), ვახტანგი (5.08.1911-1926წწ., გარდაიცვალა ადრეულ ასაკში), თეიმურაზი (დაბ. 18.07.1913წ., რესპუბლიკის დამსახურებული ვეტექიმი, წლების მანძილზე მუშაობდა საგარეჯოს რაიონის მთავარ ვეტექიმად), მაყვალა (მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).

მღვდელი ვლადიმერი 1876 წელს დაიბადა. 1890 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა, სადაც მხოლოდ ორი წელი ისწავლა. 1892 წელს თავისი პირადი ხარჯებით სოფელ საგარეჯოში დააარსა ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომელიც გააწყო სასკოლო მერხებითა და ავეჯით, საეკლესიო წიგნებითა და ინვენტარით. ვლადიმერი საგარეჯოელ მოზარდებს უსასყიდლოდ ასწავლიდა საღვთო სჯულს. 1901 წლის 23 სექტემბერს საქართველოს ეგ-

ზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 30 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ხევსურეთში, ბაცალიგოს წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. ამასთანავე მღვდელი ვლადიმერი კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების წევრიც გახდა. 1909 წლის 4 ივლისიდან 1911 წლის 19 მარტამდე იგი უადგილოდ იყო. 1911 წლის 19 მარტს საქართველოს ეგზარქოსმა ინოკენტიმ (ბელიანოვი) ორკვირიანი მივლინებით ბაქოს გუბერნიაში მდგარი ამიერკავკასიის მეორე დივიზიის 52-ე საარტილერიო პოლკის სამხედრო ეკლესიაში ვნებისა და ბრწყინვალე შვიდეულის მსახურებათა ჩასატარებლად გააგზავნა. იქიდან მობრუნებული, 1911 წლის 17 მაისს მცხეთის ოლღას წმ. ეკატერინეს სახ. რუსული დედათა მონასტრის მწირველ მღვდლად დაინიშნა. 1911 წლის 1 ნოემბრიდან 1912 წლის 30 ივლისამდე მცხეთის სამთავროს წმინდა ნინოს სახ. მონასტერთან არსებულ ქალთა სასწავლებელში საღვთო სჯულს ასწავლიდა. 1912 წლის 24 ივლისს მამკოდის წმ. გიორგის სახ. რუსულ დედათა მონასტერში გადაიყვანეს. 1912 წლის 14 სექტემბერს მამკოდის სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1913 წელს საგვერდულით დაჯილდოვდა, ხოლო 1916 წლის 22 ივნისს სკუფია უბოძეს. მამა ვლადიმერმაც, თავისი ძმის მსგავსად ,ანაფორა გაიხადა და საერო ცხოვრება აირჩია. მისი გარდაცვალების წელი უცნობია. მეუღლე ნინო (დაბ. 8.12.1885წ.) და შვილები: თამარი (დაბ. 12.01.1903წ.), მარიამი (დაბ. 1.09.1905წ.), ნადეჟა (დაბ. 1907წ.), ანა (დაბ. 1911წ.), ევგენია (დაბ. 1913წ.).

მღვდელი ვლადიმერ ბედიაშვილი

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №1641; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №3212; საქმე №41685; საქმე №49982; საქმე №57638; საქმე №57648; საქმე №62080; საქმე №63613; ჟურნალი „მწყემსი" 1889წ. №, გვ.; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1901წ. №6-7; 1903წ. №1; 1904წ. №9; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1916წ. №10-11; გაზეთი „კომუნისტი" 1931წ. №2, გვ. 4.

ლიტ: „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა" A კოლექცია, ტ. I, ქ. თბილისი, 1973წ., გვ. 314; „ქართული სამართლის ძეგლები" ტ. V, ქ. თბილისი, 1974წ., გვ. 560; თ. ბედიაშვილი „საგარეჯოს რაიონში მოღვაწე სასულიერი პირები" (XIX ს-ის ბოლო XX ს-ის დასაწყისი) ქ. თბილისი, გვ. 8-10.

მზეთამზე
მევოვანი პური

"ჭვავი" - 100%იანი ჭვავის პური

„მზეთამზეს" ყველა სახეობის პური:
* არის გემრიელი
* არის სასარგებლო
* შედგება 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან: შეიცავს მხოლოდ ფქვილს, წყალს, მარილსა და „პურის დედას"
* ცხვება მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით
* გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი საფუარი - „პურის დედა": „პურის დედა" შეიცავს მხოლოდ ფქვილსა და წყალს
* ინახება ხანგრძლივად

* იყიდება ქსელურ სუპერმარკეტებში: 2 ნაბიჯი, ევროპროდუქტი, გუდვილი, ეკონომიქსი, ზღაპარი, ნიკორა, ფრესკო, ჯლ მარკეტი, უნივერსამი.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ეარდიშვილი, მამუკა კეკჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი გაბრიელ ბარნაბიშვილი

დეკანოზი გაბრიელ მიხეილის ძე ბარნაბიშვილი 1875 წელს მღვდლის ოჯახში დაიბადა.

სასულიერო პირი იყო მამამისი — **მღვდელი მიხეილ დავითის ძე ბარნაბიშვილი.** მიხეილს მიღებული ჰქონდა შინაური განათლება. იცოდა რუსული ენაც. 1853 წლის 4 ივლისს ნუკრიანის წმ. გიორგის სახ. ტაძრის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. 1858 წელს თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1859 წელს თბილისის ივერიის წმ. ნიკოლოზის სახ. სასაფლაოს ტაძარში განამწესეს. 1862 წლის 14 ივნისს ანჩისხატის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარში დაადგინეს. 1863 წლის 18 აპრილს სასულიერო უწყებაში მიიღეს. იმავე წლის 21 ივლისს დუშეთის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის შტატის მედავითნედ დაინიშნა. 1864 წლის 9 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) დიაკვნად აკურთხა და ისევ მედავითნის შტატში დატოვა. 1866 წლის 11 დეკემბერს ვლადიკავკაზის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. ტაძარში მედავითნის შტატში დაინიშნა. 1868 წლის 13 ოქტომბერს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) მღვდლად დაასხა ხელი და კარდენახის წმ. საბა განმწედელის სახ. ტაძარში განამწესა. 1873 წლის 17 მარტს კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში საღვთო სჯულისა და ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა. 1881 წლის 22 მაისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1882 წლის 16 დეკემბერს ჯიმითის წმ. თომა მოციქულის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1884 წელს მაღაროს წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაადგინეს. 1889 წელს საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. მღვდელი მიხეილი 1898 წლის 7 ოქტომბერს გარდაიცვალა. ჰყავდა მეუღლე მარიამ იოსების ასული (დაბ. 1850წ.).

გაბრიელმა ნარჩინებით დაამთავრა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარია. იგი თავიდანვე აქტიურად ჩაერთო საზოგადო თუ საეკლესიო ცხოვრების ფერხულში. 1897 წელს გაზ. „ივერია" მის შესახებ წერდა: **„ბ-ნი გაბრიელ ბარნაბიშვილისაგან ჩვენ შემდეგი წერილი მოგვივიდა: „რადგანაც დიდს საჭიროებას შეადგენს ყოველს განათლებულს ქართველის ოჯახში რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონი, მით უმეტეს, რომ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი აღარსად მოიპოვება, მე განვიზრახე დ. ჩუბინაშვილის ჯერ ხანად რუსულ-ქართულ ლექსიკონის საუცხოვო ყდით და ბ-ნ ჩუბინაშვილის სურათით გამოცემა. ლექსიკონში განდევნილ იქმნება ყველა დაძველებული სიტყვები და მათ ადგილას იხმარება სიტყვები ახლად ხმარებულნი. შრომას უკვე შევუდეგ და ამიტომ ვთხოვ ყველა იმათ, რომელთაც განიზრახეს ამავე ლექსიკონის გამოცემა, ნუღარ შესწუხდებიან ანდა მე დამითმონ".**

1898 წელს ქ. თბილისში გაიმართა ქართლ-კახეთის ეპარქიის საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიური კურსები, რომელსაც გაბრიელიც ესწრებოდა და თავისი აზრიც გამოთქვა ამასთან დაკავშირებით. გთავაზობთ ამ ვრცელ სტატიას შემოკლებით: **„ჯერ ისევ ქრისტეს წინად და მის შემდეგ წარმოითქვა ის მეტად საკეთილდღეო და სასარგებლო აზრი, რომ არა თუ მხოლოდ მონაფეებს, არამედ თვით მასწავლებლებსაც უნდა მიეცეს სპეციალური მომზადება და სწავლება, რადგანაც პირველთ ბედ-ილბალი და გონივრული აღზრდა ამათზე არის დამოკიდებული... სოფლის მასწავლებლის ცხოვრება უკვე საკმაოდ არის ცნობილი. ამ ბოლო ხანებში მომეტებულ ყურადღებას აქცევენ მას ბეჭდვით სიტყვასა და საზოგადოებაში. ჯამაგირის ნაკლებულება, საზოგადოების უვარგისობა, თვით განვითარების საშუალების უქონლობა და ძნელი შრომა შეადგენენ იმ არა სასურველს პირობებს, რომელნიც ხელს უშლიან მასწავლებელს თავისუფლად მიეცეს ბავშვთა აღზრდის საქმეს. აქა-იქ მიყრუებულს ადგილებში გაფანტულ მასწავლებლებს მთელი წლობით მარტოდ უხდებათ შრომა, მასთან მოკლებულნი არიან წიგნების კითხვას, რომლითაც შეეძლოთ თვის ცოდნის განვითარება... ამიტომ არც გასაკვირველია, თუ მასწავლებელში ხშირად ვერა უპოვია-რა ჯეროვანი დაკმაყოფილება და ხელისშეწყობა, რად ყრუვდება საუკეთესო მისწრაფებანი და აჩდება რა მას ცუდი ჩვეულება და მიდრეკილება, რად ეკარგება თვის გონებრივ ცდისადმი ინტერესი... სწორედ წინააღმდეგ ამ განსაცდელთა არის მიმართული კურსები. უწინარეს ყოვლისა კურსები აძლევენ შემთხვევას მასწავლებელთ ურთიერთშორის აზრთა შეცვლა-გაცვლისთვის, საუბარისთვის, ერთად მოფიქრებისთვის. აქ იძენენ ისინი ისეთ ახალს აზრებს და შთაბეჭდილებას, რომელიც მათ მთელ წლის განმავლობაში საგზლად მიჰყვებათ.**

კურსები მასწავლებლებს უვითარებს საქმის შემცირებას, სიყვარულს და თვის მოწოდებისადმი პატივისცემას. იდეალი, აი რა ამოძრავებს, ბატონებო, მასწავლებლებს. ის აიძულებს მას არასოდეს არ დაკარგოს რწმუნება სინათლის გამეფებაში, თუნდა როგორც შავი და ხშირი ღრუბლითაც იყოს იგი გარემორტყმული...

დავამთავრებ ბ. სინოვსკის სიტყვებით: „რაც შეიძლება, სინათლე, ბატონებო სინათლე, ჩვენს ბნელს ერსა".

1898 წლის ოქტომბერში, მამის გარდაცვალების შემდეგ, გაბრიელი დიაკვნად აკურთხეს, იმავე თვეში მღვდლად დაასხეს ხელი და მაღაროს წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1899 წლის 2 სექტემბერს ახალგორის წმ. გიორგის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1900 წლის 17 თებერვალს დუშეთის მაზრის I ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. ახალგორში ჩასულმა მოძღვარმა მალევე დაიმსახურა იქაური მრევლისა და საზოგადოების სიყვარული. გარდა საეკლესიო მსახურებისა იგი აქტიურად მონაწილეობდა საერო ცხოვრების ფერხულში. კერძოდ, 1900 წლის 23 იანვარს, როდესაც მთელმა ახალგორმა პატივისცემით გააცილა თავისი მკურნალი ექიმი, ბ-ნი გიორგი ივანეს ძე ბროძელი, რომელიც ექვსი წელი ერთგულად და თავდადებით ემსახურა ახალგორს, ამ გაცილების ერთ-ერთი მოთავე, თავად გ. ერისთავთან ერთად, მღვდელი გაბრიელი გახლდათ. ინტელიგენციამ და ხალხმა სოფ. ოძისამდე ჩააცილა მკურნალი, სადაც მეგობრული და ძმური სადილი გაიმართა. სუფრაზე სიტყვები წარმოთქვეს თავადმა გ. ერისთავმა, მამა გაბრიელმა და სომეხმა მოძღვარმა ტერ-ანდრიას არშაკუნმა.

1903 წლის 19 მარტს იგი ქოდალოს ღვთისმშობლის ტაძრადმიყვანების სახ. ტაძარში დაინიშნა. 1905 წელს მოძღვარი ციმბირში, ქ. ნინგუტში მდგარი აღმოსავლეთ ციმბირის 18-ე მსროლელი პოლკის სამხედრო ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. 1914 წელს დაიწყო I მსოფლიო ომი და მღვდელი გაბრიელი სარაყამიშის გარნიზონის ეკლესიის კაპელანად დაინიშნა. 1918 წელს დეკანოზი გაბრიელი საქართველოში დაბრუნდა. იგი ალავერდის ეპარქიაში მსახურობდა. ალავერდის ეპარქიის კანცელარიის საბუთებში დაცული ერთი წერილის თანახმად, მას 1922 წლის ივლისში მას ბერად აღკვეცის თხოვნით მიუმართავს საკათალიკოსო საბჭოსათვის, თუმცა მისი ეს სურვილი საქმეში არ გატარებულა. 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების დროს, ხელისუფლებამ მრავალი სასულიერი პირი დახვრიტა, ზოგიც ამ ამბის შემხედვარე შეშინდა და უარი თქვა მსახურებაზე. მათ რიცხვში უნდა იყოს დეკანოზი გაბრიელიც, რადგან 1925 წლის 27 ნოემბერს შედგენილ საქართველოს ეკლესიის სამღვდელოების სიაში იგი აღარ იხსენიება მოქმედი სამღვდელოების რიგებში. 1926 წლის 9 ივნისს თიანეთის ოლქის მთავარხუცესი, დეკანოზი გრიგოლ ჯინჭველაძე ალავერდელ ეპისკოპოს მელქისედეკს (ფხალაძე) წერდა თიანეთის ოლქში საერო ტანისამოსში მყოფ მღვდელთა სიას, სადაც ვკითხულობთ: **„დროებით ყოფილი ზემო თიანეთში, დეკანოზი გაბრიელ ბარნაბიშვილი მასწავლებლობს დუშეთის მაზრაში".** ამ წერილის შემდეგ ყოფილ მოძღვარს კვლავ ვხედავთ საეკლესიო ასპარეზზე. 1927 წლის 10 მაისს ბოდბელი ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი) საეპარქიო კანცელარიას წერდა: **„დეკანოზ გაბრიელ ბარნაბიშვილს ვამწესებ ქუთუკლო-ყორაღანში, რასაც იმედია, შეასრულებს ღვთის შეწევნითა და საკუთარის შეგნებით, ღირსეულად და სასიქადულოდ ჩვენი ეკლესიისა. ვაცნობებ ალიბეგლოს სამრევლოს დეკ. ივანიცკის, რომ ნებას ვრთავ მსახურებაზე დროებით საქმის გამორკვევისა. ასევე ვთხოვ დეკ. ფურცელაძეს მოგვაწოდოს ცნობები მღვდელ-მონაზონ მალაქიაზე, მის მოღვწეობაზე, რასაც აფასებენ ვეჯინელები, სად იმყოფება იგი? ვეჯინში არ ჩადგება ღვთაებაში? გვაცნობოს პასუხი".** 1927 წლის 15 ივნისს ბოდბის საეპარქიო კანცელარია მცხეთა-თბილისის ეპარქიის კანცელარიას სწერდა: **„ჩვენი კანცელარია პატივისცემით სთხოვს ყოვლადსამღვდელო წილკნელ ეპისკოპოს პავლეს, მმართველს მცხეთა-თბილისის ეპარქიისას, რათა აცნობოს ბოდბის კანცელარიას, რომ მათ მეუფებას ხომ არ აქვს რა საწინააღმდეგო მღვდლის დეკანოზ გაბრიელ ბარნაბიშვილის გამწესების შესახებ სოფელ ქუთუკლოში და ყორაღანში (ზაქათალის მაზრა), რომელსაც უმსახურნია, მას დეკანოზ გაბრიელ ბარნაბიშვილის ბოლო ხანებში სკოლის მასწავლებლად თიანეთის მაზრაში".** ეპ. პავლემ თანხმობა განაცხადა. 1927 წლის 30 დეკემბერს ეპისკოპოსი სტეფანე საქართველოს საპატრიარქოში ბოდბის ეპარქიაზე წლიურ ანგარიშს აგზავნის. წერილის ბოლოში იგი წერდა: **„ბოდბის ეპარქიის V ოლქში — ცუდად იქცევა მღ. იოანე ოდიშვილი, რომელიც ატარებს სამსახურში და ცხოვრებაში ხარისხისადმი არაშესაფერ ხაზსა. ასევე იქცევა დეკ. გაბრიელ ბარნაბიშვილი".** 1928 წლიდან დეკანოზი გაბრიელი ისევ ანებებს სასულიერო მსახურებას თავს და საერო სფეროში გადადის. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

დეკანოზი გაბრიელი დაჯილდოებული იყო: საგვერდულით; წმ. ანას III და II ხარისხის ორდენით; 1916 წლის 16 აპრილს მიღებული აქვს სკუფია;

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 42097; საქართველოს ეროვნული საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1698, აღწერა 1, საქმე 26; გვ. 30; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 1446; საქმე 1800, გვ. 7; საქმე 1823, გვ. 30; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის ფონდი, საქმე 72, გვ. 147; გაზ. „ცნობის ფურცელი" 1898წ. 566, გვ. 3-4; გაზ. „ივერია" 1897წ. 118, გვ. 3; 1900წ., 25, გვ. 3; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1898წ. 23; 1899წ. 19-20; 1900წ. 6; 1903წ. 10; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1916წ. 10-11;

ქართული გალობის განახლებას ხონის საკათედრო ტაძარში. სამ თვეში მან მოამზადა მგალობელთა გუნდი და შეასწავლა წმ. იოანე ოქროპირის წირვის ნოტებით გალობა. თუმცა, მგალობლები ამას არ დასჯერდნენ და ასევე ისწავლეს ბასილი დიდის წირვა და აღდგომის წირვის საგალობლები. ამ საქმეში მგალობლების დაფინანსება იკისრეს ადგილობრივმა ვაჭრებმა, ალექსი გეორბერიძემ და ვლადიმერ ავალიანმა, რომელთაც მთავარხუცესმა მამა ერასტი მაჭარაძემ აღუთქვა ქონებრივად დახმარება. მამა მაჭარაძე ღირსეულად და პატიოსნად მოიქცა გალობის დაარსების საქმეში დაბა ხონის საკათედრო ტაძარში. შეაგროვა ახალგაზრდობა გალობის სასწავლებლად, თვალყურს ადევნებდა გალობის სწავლას. რამდენჯერმე წარმოთქვა ტაძარში სიტყვა, რომლითაც აუხსნა და განუმარტა ხალხს გალობის მნიშვნელობა და მისი აუცილებელი საჭიროება ხალხის ზნეობრივი ცხოვრებისათვის. გაუჩინა ხალხს სურვილი, რათა ქონებრივად დახმარებოდნენ და ქორიძის შრომა დაჯილდოებულიყო. მამა ერასტის მხარი დაუჭირა მისმა თანამწირველმა, მღვდელმა სპირიდონ გორდულაძემ და სხვებმაც. მამა ერასტი მაჭარაძე პირველი მაგალითი იყო იმერეთის ეპარქიაში ამ ხალხისათვის დიდად საჭირო საქმის დაწყებისა. მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, ბ-ნი ვ. ქუთათელაძე.

1902 წლის 15 მაისს მამა ერასტის დეკანოზის წოდება მიენიჭა. დეკანოზი ერასტი 1906 წლიდან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ხოლო 1916 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების ნამდვილი წევრი.

1906 წლიდან დეკანოზი ერასტი ქ. ქუთაისში გადაჰყავთ და ქუთაისის წმ. ნინოს სახ. ქალთა სასწავლებელში საღვთო სჯულის პედაგოგად და იქ არსებული ტაძრის წინამძღვრად ინიშნება. ამ ეტაპზე ზუსტად უცნობია, თუ როდემდე დარჩა იგი აღნიშნულ სასწავლებელში. 1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს ისევ ხონის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. 1928 წლის 6 ნოემბერს ქუთაის-გაენათის ეპარქიის, ხონის ოლქის, ივანდიდის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად ჩანს. 1930 წლის 1 სექტემბერს აღარ იხსენიება მოქმედი სამღვდელოების რიგებში. სავარაუდოდ, მოძღვარი 1929/1930 წლებში გარდაიცვალა. ჰყავდა მეუღლე - **ფოტინე გიორგის ასული** (დაბ. 1867წ.) და შვილი: **კირილე** (21.10.1886-19.11.1967წწ., მსახიობი და დრამატურგი, თეატრის ნიჭიერი შემოქმედი, რომელმაც ქუთაისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა. სწავლობდა თბილისის კერძო სამხატვრო სასწავლებელში (1908-1911). თეატრალური მოღვაწეობა

დეკანოზი ერასტი მაჭარაძე

დაიწყო 1904 წლიდან ხონში მისივე ინიციატივით ჩამოყალიბებულ დრამატულ წრეში. წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა თეატრში: ქუთაისის (1909-1912), ჭიათურის (1913-1914). 1914-1919წლებში მსახურობდა არმიაში, მუშაობდა ფოთისა (1919-1920წწ) და ბათუმის (1921-1930წწ) თეატრებში. 1930 წლიდან დაიწყო მსახიობობა საქართველოს კინოსტუდიაში. 1943-1945წწ. მუშაობდა თბილისის სანკულტურის თეატრში. კინოფილმებში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: მოხუცი აჭარელი („ახალგაზრდობა იმარჯვებს"), თავადი ირმელი („მალე შეხვედრამდე"), აზნაური („დაკარგული სამოთხე"), მოხუცი მჭედელი („ჟუჟუნას მზითევი"), კირილე („დაგვიანებული სასიძო") და სხვა. წლების მანძილზე მუშაობდა კინოსტუდიის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების განყოფილების გამგედ და რამდენიმე კინოსურათის დამდგმელი ჯგუფის დირექტორად).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №40963; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №55; ჟურნალი „მწყემსი" 1889წ. №7-8, გვ. 19; გაზეთი „ივერია" 1890წ. №134, გვ. 2-3; 1898წ. №19, გვ. 4; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата"

რას წერს ქართული მედია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" დაკვეთით 2019 წლის 20 თებერვლიდან 5 მარტის პერიოდში „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის" (CRRC) მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა 2087 ადამიანის გამოკითხვამ, რომლის საშუალო ცდომილება 2,3%-ს შეადგენს , დაადგინა, რომ ეკლესიას და კუთვნილი რელიგიური კონფესიების მიმართ საქართველოს მოსახლეობის ნდობა მაღალია. 55% სრულად ენდობა, 19% უფრო ენდობა, ვიდრე არ ენდობა, 17% ნაწილობრივ ენდობა, მხოლოდ 5% უფრო არ ენდობა, ვიდრე ენდობა და 4%-მა უარი თქვა პასუხზე.

https://transparency.ge

***

„ეკლესიის ავტორიტეტი, მის მიმართ ნდობა და მაღალი საზოგადოებრივი რეიტინგი არის ის საფუძველი, რაც მას მტრული თავდასხმების მთავარ ობიექტად აქცევს".

„რეზონანსი", #26

***

„რუსეთის მიერ 2008 წლის ცხინვალისა და ახალგორის რეგიონების ოკუპაციის შემდეგ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ოსების განსახლების არეალი - თრუსოს ხეობა და კობის ქვაბული - რუსეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებში მოექცა. გამოიკვეთა ოსების პრეტენზიები ამ ტერიტორიებზე; გაყალბებული ისტორიის მოშველიებით კრემლი ცდილობს, ეს ტერიტორია ოსების ისტორიულ სამშობლოდ წარმოაჩინოს, ჩრდილოეთ ოსეთს მიუერთოს და ამგვარად, სტრატეგიულად მნიშვნელოვან არეალზე კონტროლი მოიპოვოს".

„ისტორიანი", #10

***

„ნუ გგონიათ, რომ მარიხუანა მავნებელი არ არის. ის, რომ მარიხუანა თქვენ სერიოზულ ზიანს არ მოგაყენებთ, ეს უდიდესი ტყუილია".

როკო ჰერონი, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების წინაღმდეგ ბრძოლის სპეციალური აგენტი

„ალია", #9

***

„ბაგრატიონები ათასი წელი უწყვეტად, რაც არ ყოფილა ევროპაში, იყვნენ საქართველოს მეფეები. ასეთი პრეცენდენტი დასავლეთში არც ერთ სახელმწიფოში არ ყოფილა".

გიორგი ოთხმეზური, ისტორიკოსი, აკადემიკოსი

„ახალი თაობა", #61

მოამზადა
სერგო კერესელიძემ

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი ერასტი მაჭარაძე
1856-1930

დეკანოზი ერასტი თომას ძე მაჭარაძე 1856 წელს ქუთაისის გუბერნიიდან, ხონის ოლქის სოფ. ივანდიდიდან იყო. **მამამისი — მღვდელი თომა მიქელის ძე მაჭარაძე** 1817 წელს კეთილშობილ ოჯახში დაიბადა. ქართულ ენაზე საღმრთო წერილის კითხვა-გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ივანდიდის წმ. გიორგის სახ. ტაძარში ისწავლა. 1843 წლის 23 მარტს ქუთაისის საკათედრო ტაძრის „პონომარად" დაინიშნა. 1846 წლის 11 ივლისს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) დიაკვნად აკურთხა. 1846 წლის 8 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ივანდიდის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაადგინა. ჰქონდა ჯილდო — ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი. 1862 წლის 21 აგვისტოს საგვერდულით დაჯილდოვდა. XIX ს-ის 70-იან წლებში სკუფია უბოძეს. 1891 წლის 25 აპრილს კამილავკა ეწყალობა. 1896 წლის 14 დეკემბერს დედაეკლესიაში 50-წლიანი ერთგული სამსახურისათვის წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. უკანასკნელად ჩანს 1897 წელს. ჰყავდა მეუღლე **მაკრინე ოტიას ასული** (დაბ. 1818წ.) და შვილები: **ეფროსინე** (გათხოვილი ვინმე დიდიძეზე), **დეკ. ერასტი** (დაბ. 1856წ.), **ალექსანდრე** (1857-1918წ., პროფესიით პედაგოგი, ხონის საკათედრო ტაძართან არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების მდივანი 1916-1918წ., ჰყავდა მეუღლე - ეკატერინე ირაკლის ასული), **მიტროფანე** (დაბ. 1862წ., - ჰყავდა მეუღლე ეკატერინე ალექსადრეს ასული), **ვლადიმერი** (დაბ. 1863წ., პროფესიით პედაგოგი, წლების მანძილზე იყო სოფ. ივანდიდის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მზრუნველი და მასწავლებელი, ხოლო მოგვიანებით ხონის ორკლასიანი ვაჟთა გიმნაზიის ზედამხედველი;

კირილე მაჭარაძე

ჰყავდა მეუღლე - არეთა კონსტატინეს ასული) და **მიხეილი** (დაბ. 1865წ.).

მამის არჩეული გზა ღირსეულად გააგრძელა მის უფროსმა ვაჟმა ერასტიმ, რომელმაც 1880 წლის ივნისში წარმატებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1880 წლის 18 სექტემბერს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში ქართული ენისა და გალობის მასწავლებლად დაინიშნა. 1881 წლის 9 ოქტომბერს შუა განყოფილებების მოსამზადებელ კლასებში რუსული ენის სწავლება დაევალა. 1882 წლის 13 სექტემბერს I და II კლასებში საღვთო ისტორიისა და მაღალ კლასებში რუსული ენის მასწავლებლად დაინიშნა. 1882 წლის 24 სექტემბერს მზრუნველად, ხოლო 1883 წლის 25 ნოემბერს ზედამხედველის თანაშემწედ დაინიშნა. 1884 წლის 11 იანვარს კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1884 წლის 6 აპრილს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მმართველი საბჭოს წევრად აირჩიეს. 1884 წლის 1 სექტემბრიდან დამატებით დაევალა საშუალო და მაღალ კლასებში მართლწერის გაკვეთილების ჩატარება. 1884 წლის 2 დეკემბერს იმერეთის ეპ. გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 6 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ხონის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში განამწესა. 1885 წლის 11 ნოემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1886 წელს იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების XIV ეპარქიალურ შეკრებაზე თავმჯდომარედ აირჩიეს. 1887 წელს ხონის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1890 წელს ხონის წმ. გიორგის სახ. საკათედრო ტაძრის კრებულში გადაიყვანეს.

მამა ერასტის უკავშირდება ხონში სამრევლო-საეკლესიო სკოლის დაარსება და განათლების განვითარების კუთხით აქტიური მუშაობა ახალგაზრდებში. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით ქართული პრესა: **„ქ. ხონი. ... ერთადერთი სანუგეშო ამბავი ჩვენის ცხოვრებისა ისევ საეკლესიო სამრევლო სკოლაა, დაარსებული ამ ორის წლის წინად დაბა ხონში პატივცემულის ბლაღოჩინის მ. მაჭარაძის მიერ. ეს სკოლა დიდის ყურადღების ღირსია და სამაგალითო სკოლადაც უნდა ჩაითვალოს. 9 ამ თვისას ამ სკოლაში წლიური ეგზამენი იყო და რამდენიმე კაცი დაესწრო. ბავშვები თამამად, მხნედ, დაბეჯითებით აძლევდნენ პასუხს მასწავლებელს ყოველს საკითხზედ. ორის წლის განმავლობაში ბავშვებს მშვენიერად შეუსწავლიათ ქართული და რუსული წერა-კითხვა, რიცხვები მილიონამდე, ლოცვები, საღმრთო ისტორია და ისე ლამაზად კითხულობენ ქართულად, რომ სასიამოვნოა იმათი მოსმენა. ამასთანავე, ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ეგ ზემოაღნიშნული სკოლა მატერიალურის მხრით მეტად შევიწროებულია, საეპარქიო მთავრობისაგან ჯერჯერობით არავითარი შემწეობა არ ეძლევა, მხოლოდ ბავშვების მიერ შემოტანილის სწავლის ფულით არსებობს. წლიური გადასახადი შეგირდზე 6-8 მანეთია, ასე რომ მასწავლებელს 25 თუმანზე მეტი არ ხვდება ჯამაგირი. ეს გარემოება ცხადად გვიმტკიცებს, რომ სასწავლებლის დამაარსებელნი, ჯილდოს სიხარბით კი არა, ბავშვების აღზრდის სიყვარულით აღფურვილნი შრომობენ და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ სკოლის კეთილდღეობისათვის“.**

გარდა ამისა, მღვდელი ერასტი ზრუნავდა ხონის ოლქიდან თბილისში სასწავლებლად წასული ღარიბი სტუდენტებისათვის და გვერდში ედგა მათ როგორც მატერიალურად, ისე სულიერად. 1889 წლის 28 მარტს მისი ლოცვა-კურთხევითა და ინიციატივით ხონის ოლქის სამღვდელოებამ შეაგროვა შეწირულება 15 მანეთის ოდენობით თბილისის სასულიერო სემინარიის IV კურსის ღარიბი სტუდენტის ბესარიონ კაკაბაძის სასარგებლოდ და ეს თანხა, ჟურნალ „მწყემსის“ რედაქციის დახმარებით, გაეგზავნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს, არქიმანდრიტ პაისის სტუდენტისათვის გადასაცემად. 1893 წლის 15 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1898 წლის 3 თებერვალს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1898 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

1897 წლის ნოემბერში ხონში ჩავიდა ცნობილი არტისტი და მომღერალი ბ-ნი ფილიმონ ქორიძე (აწ წმინდანად შერაცხული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ). იგი გულმოდგინედ შეუდგა

1891წ. №7; 1893წ. №12; 1897წ. №3; 1898წ. №6; №11; 1902წ. №11; „კავკასიის კალენდარი“ 1909წ. გვ. 540; 1910წ. გვ. 645; გაზეთი „ხალხის მეგობარი“ 1918წ. №124, გვ. 1.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“, ქ. ქუთაისი, 2008წ. გვ. 75; გვ. 155; „ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების პერიოდიკაში“ ქ. თბილისი 2015წ. გვ. 317.

დეკანოზი ერასტი ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის პედაგოგებთან და მოწაფეებთან

მზეთამზე
მეეთვალი პუერი

"ლომთაგორა" - ცეხვილი რუხი პური

„მზეთამზეს“ ყველა სახეობის პური:
- არის გემრიელი
- არის სასარგებლო
- შედგება 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან: შეიცავს მხოლოდ ფქვილს, წყალს, მარილსა და „პურის დედას“
- ცხვება მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით
- გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი საფუარი - „პურის დედა“: „პურის დედა“ შეიცავს მხოლოდ ფქვილსა და წყალს
- ინახება ხანგრძლივად

* იყიდება ქსელურ სუპერმარკეტებში: 2 ნაბიჯი, ევროპროდუქტი, გუდვილი, ეკონომიქსი, ზღაპარი, ნიკორა, ფრესკო, ულ მარკეტი, უნივერსამი.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მარურაშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ეალერიან ჯულელი

ისტორიის ფურცელი

ზედუბნელი ყაველაშვილების ოჯახი

ჩვენი გაზეთის საშუალებით რამდენჯერმე მოგითხრეთ იმ სასულიერო პირთა შესახებ, რომელთა წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა დედაეკლესიას. ამჯერად, კიდევ ერთი ასეთი ოჯახი გვინდა გაგაცნოთ, რომელთა გვარიდან რამდენიმე ღირსეული სასულიერო პირი აღიზარდა ეკლესიის წიაღში. ყაველაშვილების ეს გვარი იმერეთიდან, სოფ. ზედუბნიდან მომდინარეობს. მათ თავიანთი მსახურებითა და მოღვაწეობით მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს ქართულ საეკლესიო ისტორიაში.



ზედუბნის ეკლესია

მღვდელი თეოდორე მამუკას ძე ყაველაშვილი 1787 წელს საბატონო გლეხის ოჯახში დაიბადა. ეკუთნოდა საერო წოდებას. ქართულ ენაზე წმინდა წერილი და საეკლესიო ტიბიკონი ჯრუჭის მონასტერში ისწავლა. 1819 წელს ნინოწმიდელმა მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) მღვდლად დაასხა ხელი და ზედუბნის წმ. კოზმასა და დამიანეს სახ. ტაძარში განამწესა. ჰყავდა შვილები: ნიკოლოზი (დაბ. 1815წ., მისი შვილები: საჩინო, ლუარსაბი); მღვდელი გიორგი (დაბ. 1820წ.); იოსები/ოსიკი (დაბ. 1822წ., მეუღლე - ელისაბედ გრიგოლის ასული და შვილები: სპირიდონი (მეუღლე მართა მერაბის ასული და შვილები: მატრონა, ტერეზია; ეკატერინე); მაქსიმე (დაბ. 1826წ., მეუღლე თამარ სიმონის ასული და შვილი: სვიმონი, მეუღლე მაკარია გოგიას ასული); მღვდელი იაკობი (1830-1909წწ.).

მღვდელი გიორგი 1819 წელს დაიბადა. ქართულ ენაზე საღმრთო წერილის კითხვა, წერა, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ვანის მონასტერში ისწავლა. 1851 წლის 4 დეკემბერს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) დიაკვნად აკურთხა. 1852 წლის 7 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ზედუბნის წმ. კოზმასა და დამიანეს სახ. ტაძარში განამწესა. 1860 წელს ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი მიიღო. 1892 წელს უკანასკნელად იხსენიება. 1886 წელს უკვე ქვრივია. დარჩა შვილები: მღვდელი მოსე (დაბ. 1847წ.), მღვდელი ფილიპე (1851-1934წწ.), მედავითნე დიმიტრი (დაბ. 1859წ., მეუღლე ქეთევან ნიკოლოზის ასული და შვილები: ლავრენტი, კალისტინა).

მღვდელი იაკობი 1830 წელს დაიბადა. ქართულ ენაზე საღმრთო წერილის კითხვა, წერა, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ვანის მონასტერში ისწავლა. 1858 წლის 20 ივნისს იმერეთის ეპისკოპისმა გერმანემ (გოგოლაშვილი) დიაკვნად აკურთხა და ზედუბნის წმ. კოზმასა და დამიანეს სახ. ტაძარში განამწესა. 1864 წლის 13 ივლისს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) მღვდლად დაასხა ხელი და მოხვის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1902 წელს შტატიდან გავიდა და პენსია დაენიშნა. მღვდელი იაკობი 1909 წლის 28 ოქტომბერს გარდაიცვალა. დარჩა მეუღლე - ნინო კირილეს ასული (დაბ. 1833წ.) და შვილები: მღვდელი იასონი (დაბ. 1857წ.), პელაგია (დაბ. 1859წ.), ბესარიონი (დაბ. 1861წ.), ელისაბედი (დაბ. 1867წ.).

მღვდელი იასონი 1857 წელს დაიბადა. 1877 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1878 წლის 22 აგვისტოდან 1888 წლის 1 სექტემბრამდე ქუთაისის გუბერნიაში სოფლის სახალხო სკოლებში მასწავლებლად მუშაობდა. 1888 წლის 24 სექტემბრიდან 1889 წლის 24 ივლისამდე იყო ვანის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელი. 1889 წლის 24 ივლისს ვანის აღდგომის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1893 წლის 24 ნოემბრიდან 1902 წლის 5 დეკემბრამდე სხვადასხვა სოფელში მეორე მედავითნედ მსახურობდა. 1893 წლის 25 აპრილს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა. 1902 წლის 5 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) მღვდლად დაასხა ხელი და მოხვის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. 1908 წლის 11 დეკემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. დარჩა მეუღლე — ეკატერინე/მზეხათუნ იოსების ასული (დაბ. 1865წ.) და შვილები: ოლღა (დაბ. 1880წ.); მღვდელი ევგენი (დაბ. 1882წ.); ალექსანდრე (დაბ. 9.03.1885წ., ცოლი — ელენე პორფილეს ასული (დაბ. 1886წ.) და მათი შვილები: ირაკლი (დაბ. 15.09.1910წ.), თამარი (დაბ. 8.11.1912წ.); სევერიანი (დაბ. 9.09.1890წ.); ელპიდე (დაბ. 11.09.1894წ.).

მღვდელი მოსე 1847 წელს დაიბადა. ქართულ ენაზე საღმრთო წერილის კითხვა-გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ჯრუჭის მონასტერში ისწავლა. 1873 წლის 31 იანვარს ზეკვეცის ღვთისმშობლის სახ. ტაძარში მედავითნედ დაინიშნა. 1873 წლის 7 ივნისს ზედუბნის წმ. კოზმას და დამიანეს სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1888 წლის 20 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 4 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და

ისტორიის ფურცელი

ზედუბნელი ყაველაშვილების ოჯახი

ჩვენი გაზეთის საშუალებით რამდენჯერმე მოგითხრეთ იმ სასულიერო პირთა შესახებ, რომელთა წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა დედაეკლესიას. ამჯერად, კიდევ ერთი ასეთი ოჯახი გვინდა გაგაცნოთ, რომელთა გვარიდან რამდენიმე ღირსეული სასულიერო პირი აღიზარდა ეკლესიის წიაღში. ყაველაშვილების ეს გვარი იმერეთიდან, სოფ. ზედუბნიდან მომდინარეობს. მათ თავიანთი მსახურებითა და მოღვაწეობით მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს ქართულ საეკლესიო ისტორიაში.



ზედუბნის ეკლესია

მღვდელი თეოდორე მამუკას ძე ყაველაშვილი 1787 წელს საბატონო გლეხის ოჯახში დაიბადა. ეკუთნოდა საერო წოდებას. ქართულ ენაზე წმინდა წერილი და საეკლესიო ტიბიკონი ჯრუჭის მონასტერში ისწავლა. 1819 წელს ნინოწმიდელმა მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) მღვდლად დაასხა ხელი და ზედუბნის წმ. კოზმასა და დამიანეს სახ. ტაძარში განამწესა. ჰყავდა შვილები: ნიკოლოზი (დაბ. 1815წ., მისი შვილები: საჩინო, ლუარსაბი); მღვდელი გიორგი (დაბ. 1820წ.); იოსები/ოსიკი (დაბ. 1822წ., მეუღლე - ელისაბედ გრიგოლის ასული და შვილები: სპირიდონი (მეუღლე მართა მერაბის ასული და შვილები: მატრონა, ტერეზია; ეკატერინე); მაქსიმე (დაბ. 1826წ., მეუღლე თამარ სიმონის ასული და შვილი: სვიმონი, მეუღლე მაკარია გოგიას ასული); მღვდელი იაკობი (1830-1909წწ.).

მღვდელი გიორგი 1819 წელს დაიბადა. ქართულ ენაზე საღმრთო წერილის კითხვა, წერა, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ვანის მონასტერში ისწავლა. 1851 წლის 4 დეკემბერს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) დიაკვნად აკურთხა. 1852 წლის 7 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ზედუბნის წმ. კოზმასა და დამიანეს სახ. ტაძარში განამწესა. 1860 წელს ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი მიიღო. 1892 წელს უკანასკნელად იხსენიება. 1886 წელს უკვე ქვრივია. დარჩა შვილები: მღვდელი მოსე (დაბ. 1847წ.), მღვდელი ფილიპე (1851-1934წწ.), მედავითნე დიმიტრი (დაბ. 1859წ., მეუღლე ქეთევან ნიკოლოზის ასული და შვილები: ლავრენტი, კალისტინა).

მღვდელი იაკობი 1830 წელს დაიბადა. ქართულ ენაზე საღმრთო წერილის კითხვა, წერა, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ვანის მონასტერში ისწავლა. 1858 წლის 20 ივნისს იმერეთის ეპისკოპისმა გერმანემ (გოგოლაშვილი) დიაკვნად აკურთხა და ზედუბნის წმ. კოზმასა და დამიანეს სახ. ტაძარში განამწესა. 1864 წლის 13 ივლისს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) მღვდლად დაასხა ხელი და მოხვის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1902 წელს შტატიდან გავიდა და პენსია დაენიშნა. მღვდელი იაკობი 1909 წლის 28 ოქტომბერს გარდაიცვალა. დარჩა მეუღლე - ნინო კირილეს ასული (დაბ. 1833წ.) და შვილები: მღვდელი იასონი (დაბ. 1857წ.), პელაგია (დაბ. 1859წ.), ბესარიონი (დაბ. 1861წ.), ელისაბედი (დაბ. 1867წ.).

მღვდელი იასონი 1857 წელს დაიბადა. 1877 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1878 წლის 22 აგვისტოდან 1888 წლის 1 სექტემბრამდე ქუთაისის გუბერნიაში სოფლის სახალხო სკოლებში მასწავლებლად მუშაობდა. 1888 წლის 24 სექტემბრიდან 1889 წლის 24 ივლისამდე იყო ვანის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელი. 1889 წლის 24 ივლისს ვანის აღდგომის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1893 წლის 24 ნოემბრიდან 1902 წლის 5 დეკემბრამდე სხვადასხვა სოფელში მეორე მედავითნედ მსახურობდა. 1893 წლის 25 აპრილს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა. 1902 წლის 5 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) მღვდლად დაასხა ხელი და მოხვის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. 1908 წლის 11 დეკემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. დარჩა მეუღლე — ეკატერინე/მზეხათუნ იოსების ასული (დაბ. 1865წ.) და შვილები: ოლღა (დაბ. 1880წ.); მღვდელი ევგენი (დაბ. 1882წ.); ალექსანდრე (დაბ. 9.03.1885წ., ცოლი — ელენე პორფილეს ასული (დაბ. 1886წ.) და მათი შვილები: ირაკლი (დაბ. 15.09.1910წ.), თამარი (დაბ. 8.11.1912წ.); სევერიანი (დაბ. 9.09.1890წ.); ელპიდე (დაბ. 11.09.1894წ.).

მღვდელი მოსე 1847 წელს დაიბადა. ქართულ ენაზე საღმრთო წერილის კითხვა-გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ჯრუჭის მონასტერში ისწავლა. 1873 წლის 31 იანვარს ზეკვეცის ღვთისმშობლის სახ. ტაძარში მედავითნედ დაინიშნა. 1873 წლის 7 ივნისს ზედუბნის წმ. კოზმას და დამიანეს სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1888 წლის 20 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 4 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და

ვანის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. ტაძარში (ჭიათურის მუნიციპალიტეტი) განამწესა. 1906 წლის 20 აპრილს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1910 წელს სკუფია უბოძეს. 1915 წლის 25 აპრილს ეკლესიაში 42-წლიანი ერთგული სამსახურისათვის წელინადში 300 მან. პენსია დაენიშნა. მღვდ. მოსეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით მის ოჯახში ასეთი ვერსიაა შემორჩენილი: მამა მოსე სოფ. ვანში მიცვალებულის წესის ასაგებად წაუყვანიათ. მოძღვარი სახლში სამი დღე არ დაბრუნებულა. მთელი სოფელი სამი დღე ეძებდა დაკარგულ მამაოს და მესამე დღეს უპოვიათ პატარა მდინარეში ჩაგდებული. ნაწამები, წვერ-ულვაში მთლიანად ჰქონდა აგლეჯილი, ტანზე უამრავი ჭრილობით, მთლიანად გასისხლიანებული, ანაფორა და რაც ტანზე ეცვა ყოფილა სრულიად დაგლეჯილი. მოძღვარი ფაქტობრივად მომაკვდავი იყო. იგი სახლში ურმით მოასვენეს. სამი დღე-ღამე უთევდნენ ოჯახის წევრები, მეზობლები და ნათესავები, რა აღარ იღონეს, მაგრამ მამა მოსე სამ დღეში დიდი ტანჯვით გარდაცვლილა. სიკვდილის წინ თავისი რძალი, მამა ისაიას მეუღლე თავისთან მოუხმია და ძლივს უთქვამს, რომ ის ანამეს ეშმაკებმა (ეს მისი ბოლო სიტყვები ყოფილა). მათი თქმით, ეს მოხდა 1914 წელს, რაც შეცდომაა, რადგან როგორც ზევით არის აღნიშნული, მამა მოსე 1915 წლის 25 აპრილს ცოცხალია და ამ დღეს მას პენსია დაენიშნა. ეს ამბავი 1915 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. მეუღლე - სოფიო ანდრიას ასული (დაბ. 1850წ.) და შვილები: დინარა (დაბ. 1882წ.), ნადეჟდა (დაბ. 1882წ.), მღვდელი ისაია (1885-1935წწ.), ოლღა (დაბ. 1889წ.).

მღვდელი ფილიპე 1851 წელს დაიბადა. 1875 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1875 წლის 5 ოქტომბრიდან 1882 წლის 5 მარტამდე მუხურის სამინისტრო სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. 1882 წლის 9 აგვისტოს სკანდის მთავარანგელოზთა სახ. ტაძრის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. 1883 წლის 31 იანვარს შტატში დამტკიცდა. 1889 წლის 5 თებერვალს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა. 1892 წლის 20 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და სკინდორის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში განამწესა. 1900 წლის 18 აპრილს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1910 წლის 8 თებერვალს სკუფია უბოძეს. მღვდელი ფილიპე 1934 წლის 9 იანვარს გარდაიცვალა. დაასაფლავეს იმავე წლის 13 იანვარს სოფ. ზედუბნის სასაფლაოზე. მეუღლე — როდამ ფილიპეს ასული (დაბ. 2.01.1851წ.) და შვილები: გალაქტიონი (დაბ. 1879წ.), ოლიმპიადა/ოლღა (დაბ. 1881წ.), იპოლიტე (1.08.1885-10.02.1966წწ., იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაშურის განყოფილების ნამდვილი წევრი), იუსტინე (10.08.1888-24.11.1964წწ.).

მღვდელი ისაია 1885 წელს დაიბადა. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. სწავლა ქ. ოდესის უნივერსიტეტში ელექტრო-საინჟინრო ფაკულტეტზე გააგრძელა. იგი თავისი სპეციალობით აპირებდა მუშაობას, მაგრამ მამის დაჟინებული თხოვნით სამშობლოში დაბრუნდა და სამღვდელო მსახურებას შეუდგა. საეკლესიო ტიბიკონი და გალობა მან ქუთაისის მწყვანეყვავილას მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში ისწავლა და 1915 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) დიაკვნად აკურთხა, ერთ კვირაში მღვდლად დაასხა ხელი და ვანის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. ტაძარში მამის ადგილას განამწესა. შთამომავლების გადმოცემით, მღვდელი ისაია ყოფილა სოფლისათვის ძალზე მზრუნველი და წერა-კითხვის შესწავლის მსურველთათვის ერთადერთი მასწავლებელი. მან სოფ. ზედუბანში საკუთარი სახსრებით ააშენა ოთხკლასიანი სკოლა (ეს შენობა ეხლაც დგას სოფელში, თუმცა უფუნქციოდ). ამ სკოლაში მრავალი თაობა აღზრდილა. მოძღვარი სოფლის ნამდვილი გულშემატკივარი და პატრონი იყო.

მღვდელი ფილიპე ყაველაშვილი

1921 წლის თებერვლის გასაბჭოების შემდეგ დაიწყო ეკლესიების ნგრევა და სამღვდელოების შევიწროება. იდევნებოდა განსხვავებული აზრი. მამა ისაია თავის სახლში ხშირად იფარავდა ხელისუფლების მოწინააღმდეგე პირებს. ეს ამბავი მალევე გახმაურებულა და აქედან დაიწყო ოჯახზე ნამდვილი ტერორი. მოძღვარზე განხორციელდა როგორც ფიზიკური, ისე მორალური შეტევა. მას ემუქრებოდნენ ლიკვიდაციით, ასევე მის ოჯახის წევრებს. გააფრთხილეს, რომ თუ ანაფორას არ გაიხდიდა, მოუკლავდნენ სამივე შვილს. ოჯახი რამდენჯერმე დაარბიეს და გაანადგურეს საეკლესიო ლიტერატურა, ხატები, ნაწილი დაწვეს, რაც ძვირფასი იყო — მიითვისეს. მღვდელი ისაია იძულებული გახდა ანაფორა გაეხადა.

1920 წლის ივნისში ჭიათურაში ჩამოყალიბდა მანგანუმის მადნის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო", რომელმაც ადგილობრივი სააქციო საზოგადოებები გააერთიანა. 1925 წელს მან არსებობა შეწყვიტა და იმავე წლის 12 ივნისს მანგანუმის საბადოს კონცესია

მღვდელი ისაია ყაველაშვილი სტუდენტობაში

ამერიკულ ფირმა „ჰარიმანს“ გადაეცა. მამა ისაიამ ამ საბადოს კანცელარიაში დაიწყო მუშაობა, რათა ერჩინა ოჯახი და სამი მოზარდი შვილი. 1926 წლის 16 მარტს ქ. თბილისში შედგა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის სხდომა, სადაც განიხილეს ხმა-

ჩამორთმეულ ადამიანთა თხოვნები საარჩევნო ხმის მინიჭებასთან დაკავშირებით. შორაპნის მაზრის აღმასკომის მხრიდან წარდგენილ სიაში მამა ისაია ყაველაშვილიც იხსენიება, რომელსაც აღუდგინეს საარჩევნო უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ მოძღვარს აუკრძალეს ეკლესიასთან ურთიერთობა, იგი ჩუმად მაინც ახერხებდა სიარულს მღვიმევის დედათა მონასტერში, რომელიც იმჟამად სამრევლო ტაძრად იყო გადაკეთებული. მას შვილებიც თან დაჰყავდა და ცდილობდა ჩაენერგა მათში ღვთის სიყვარული. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის შემდეგ, როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, მოძღვარს მატარებელში ასვლის დროს ფეხი დაუცდა და თავი დაარტყა. მას ფუძის მოტეხილობა და თავში სისხლის ჩაქცევა დაემართა და რამდენიმე დღეში გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. ოჯახის წევრთა გადმოცემით, ეს მოხდა 1935 წელს.

დარჩა მეუღლე — ვერა სიმონის ასული სხირტლაძე და შვილები: ვლადიმერი, ქეთევანი და ანტონი.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №4105; საქმე №7127; საქმე №40956; საქმე №40957; საქმე №57663; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №250; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1916წ. №5-6, გვ. 152; გაზეთი „კომუნისტი“ 1934წ. №12, გვ. 4.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“, ქ. ქუთაისი, 2008წ. გვ. 65; გვ. 69; გვ. 91; გვ. 129.

მზეთამზე
გეგოვანი პური

"ჭვავი" - 100%იანი ჭვავის პური

„მზეთამზეს“ ყველა სახეობის პური:
* არის გემრიელი
* არის სასარგებლო
* შედგება 100% ნატურალური ინგრედიენტებისგან: შეიცავს მხოლოდ ფქვილს, წყალს, მარილსა და „პურის დედას“
* ცხვება მხოლოდ ქართული ხორბლის ფქვილით
* გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი საფუარი - „პურის დედა“: „პურის დედა“ შეიცავს მხოლოდ ფქვილსა და წყალს
* ინახება ხანგრძლივად

* იყიდება ქსელურ სუპერმარკეტებში: 2 ნაბიჯი, ევროპროდუქტი, გუდვილი, ეკონომიქსი, ზღაპარი, ნიკორა, ფრესკო, ჯლ მარკეტი, უნივერსამი.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: # GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

რაციას ხელს ვერ შეუწყობს, პირიქით, იგი საზოგადოებაში რადიკალიზმს გააღვივებს. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი ავსტრიელმა მუსლიმებმაც გააპროტესტეს.

კანონის თანახმად, სამოსის ტარება, რომელიც იდეოლოგიური თუ რელიგიური მოსაზრებებითაა ნაკარნახევი და თავის სრულად დაბურვას გულისხმობს, აკრძალულია.

კანონის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში პარლამენტმა მოცულობითი ჯარიმა დააწესა (150 ევროდან 400 ევროს ფარგლებში). კანონის გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოშია შესაძლებელი. ადგილობრივი მედიის ვარაუდით, ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა კანონი შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოში მართლაც გაასაჩივრონ.

საგულისხმოა, რომ აკრძალვა არ ვრცელდება ებრაულ ქუდზე — კიპაზე, რაც იმით აიხსნება, რომ კიპა თავს და თმებს მხოლოდ მცირედით ფარავს.

2017 წლის ოქტომბერში ავსტრიის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აიკრძალა ისეთი ტანსაცმელი, რომელიც სახეს ფარავს, ასევე საკარნავალო ნიღბები და ექიმის დანიშნულების გარეშე სამედიცინო ნიღბების ტარება. 2018 წელს ავსტრიის პარლამენტმა საბავშვო ბაღებშიც აკრძალა ჰიჯაბის ტარება.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი თეოფანე ნადირაძე
1856-1928

დეკანოზი თეოფანე 1856 წლის 2 მარტს ქუთაისის გუბერნიაში, სოფ. დიხაშხოში მღვდლის ოჯახში დაიბადა. ტრადიციულ სამღვდელო ოჯახში დაბადებული ყმაწვილი ქრისტიანულ გარემოში იზრდებოდა და მანაც თავისი წინაპრების ტკბილი გზა აირჩია. მისი ბაბუა, **მღვდელი ონოფრე** სიმონის ძე ნადირაძე, 1787 წელს საბატონო ყმის ოჯახში დაიბადა. ეკუთვნოდა სასულიერო წოდებას. ქართულ ენაზე საღმრთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, ტიბიკონი და გალობა საერისთაოს სოფლის მღვდელ ზაქარია ლაჭყებიანთან ისწავლა. 1812 წლის 6 დეკემბერს ნიქოზელმა ეპისკოპოსმა ათანასემ (მაჭავარიანი) მღვდლად დაასხა ხელი და ტყელვანის წმ. სტეფანეს სახ. ტაძარში განამწესა. 1823-1842 წლებში შეთავსებით მსახურობდა ზენობნის ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძარში. 1833-1854 წლებში ასევე იყო დვალიშვილების (სულორი) წმ. გიორგის სახ. ტაძარშიც. 1854 წლიდან სალხინოს სულთმოფენეობის სახ. ტაძრის წინამძღვარია. გარდაიცვალა 1859 წლის 17 აპრილს. მისი ოთხი ვაჟიდან ყველა სასულიერო გზით წავიდა: მღვდ. ოქროპირი (1815-1865წწ., შემდგომში — ჭელიშისა და გელათის მონასტრების წინამძღვარი, არქიმ. ონიფანტე), მღვდ. სტეფანე, მღვდ. გერასიმე, მღვდ. იოანე.

არქიმანდრიტი ონიფანტე, ერისკაცობაში — ოქროპირი, 1815 წელს დაიბადა. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1842 წლის 24 ივნისს გორის ეპისკოპოსმა ნიკიფორემ (ჯორჯაძე), რომელიც იმჟამად დროებით იმერეთისა და გურიის ეპარქიებსაც განაგებდა, დიაკვნად აკურთხა და ვანის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში განამწესა. 1844 წლის 21 მაისს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) მღვდლად დაასხა ხელი. 1851 წლის 10 მაისს შორაპნის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1854 წლის 28 თებერვალს საგვერდულით დაჯილდოვდა. იმავე წელს დაქვრივდა. 1855 წლის 9 თებერვალს ბერად აღიკვეცა, სახელად ონიფანტე ეწოდა და გელათის მონასტრის საძმოში დაადგინეს. 1856 წლის 9 ივნისს ჭელიშის ღვთისმშობლის მიძინების სახ. მონასტრის წინამძღვრად და რაჭის მაზრის საეკლესიო მამულების გამგედ დაინიშნა. 1858 წელს იღუმენის წოდება მიენიჭა. 1859 წლის 3 აპრილიდან არქიმანდრიტია. ჰქონდა ჯილდო — ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი. 1860 წლის 31 ივნისს გელათის მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1863 წლის 31 ივნისს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. მის დროს გელათის მონასტერში ჩატარდა დიდი სარემონტო-სააღმშენებლო სამუშაოები. 1860 წელს დიდ ტაძარში დააგეს ახალი იატაკი. 1861 წელს ხელახლა გადაიღება ეკლესია-ნაგებობების სახურავები, 1863-1866 წლებში კი აშენდა ქვის კანკელი და შეიცვალა ფანჯრები. არქიმანდრიტი ონიფანტე 1865 წლის 11 სექტემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათის მონასტრის ეზოში.

მღვდელი სტეფანე 1817 წელს დაიბადა. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. გა-

ლობა და საეკლესიო ტიბიკონი ვანის ტაძარში ისწავლა. 1845 წლის 6 იანვარს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) დიაკვნად აკურთხა და ვანის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში განამწესა. 1847 წლის 19 მაისს მღვდლად დაასხა ხელი და ბზვანის წმ. გიორგის სახ. ორშტატიანი ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს. 1855 წლის 8 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. ასევე ჰქონდა ჯილდო — ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი. 1870 წლის 18 ნოემბერს ვანის ოლქის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად აირჩიეს. 1884 წლის 8 აპრილს სკუფია უბოძეს. 1885 წლის 10 აგვისტოს ნითელი ჯვრის საზოგადოების სამახსოვრო ჯვარი მიიღო. 1886 წელს რომანეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1887 წლიდან ისევ ბზვანის ტაძარშია, სადაც 1889 წლამდე ჩანს. მეუღლე - აღათი როსტომის ასული (1885 წელს უკვე გარდაცვლილია); ჰყავდა შვილები: ისიდორე, მატრონა, კალისტინა (დაბ. 1857წ.), გალაქტიონი (დაბ. 1859წ.), მღვდელი სვიმონი (დაბ. 1861წ.).

მღვდელი იოანე ნადირაძე

მღვდელი გერასიმე 1823 წელს დაიბადა. 1848-1861 წლებში იყო დიხაშხოს, ხოლო 1861-1868 წლებში ზენობნის ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძრების წინამძღვარი. გარდაიცვალა 1868 წლის 13 აპრილს ახალგაზრდა ასაკში.

მღვდელი იოანე 1824 წელს დაიბადა. 1850 წელს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) მღვდლად დაასხა ხელი და ტყელვანის წმ. სტეფანეს სახ. ტაძარში განამწესა. 1851-1861 წლებში ზენობანის ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძარშიც მსახურობდა. 1862 წლიდან სალხინოს სულთმოფენობის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1884 წლის 2 იანვარს მღვდელი იოანე პენსიაზე გავიდა.

ასეთი ბაბუისა და ბიძების ხელში აღიზარდა მომავალი მოძღვარიც, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა მათი დაწყებული საქმე. თავდაპირველად თეოფანემ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა, სადაც მხოლოდ ერთი კურსი გაიარა. იმერეთში დაბრუნებულმა გელათის მონასტერს მიაშურა, იქ მხცოვან ბერებთან გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ისწავლა. 1879 წლის 18 აგვისტოს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა და სალხინოს სულთმოფენობის სახ. ტაძარში დანიშნა. 1881 წლის 8 თებერვალს მამის, მღვდელ იოანე ნადირაძის ავადმყოფობის გამო, ეპისკოპოსმა გაბრიელმა მღვდლად დაასხა ხელი და იმავე ტაძარში მეორე მღვდლად დაადგინა. 1884 წლის 2 იანვარს, მამის პენსიაზე გასვლის შემდეგ, წინამძღვრად დაინიშნა.

დეკანოზი თეოფანე გახლდათ დაუღალავი და კეთილსინდისიერი მოძღვარი. იგი ხშირად ქადაგებდა მრევლში ცრუმორწმუნეობის ასალაგმავად. გაბედულად ილაშქრებდა ეგრეთ წოდებული „დღეობების" წინააღმდეგ. მისი ქადაგებისა და მეცადინეობის შედეგად სალხინოს მრევლმა 1891 წელს ახალი ეკლესია ააშენა და გააუქმა წარმართობაში გადაზრდილი დღესასწაული. აი, რას წერდა იგი ერთ-ერთი ასეთი დღესასწაულის შესახებ: **„ჩემ სამრევლო სოფ. სალხინოში მკვიდრთა იცოდნენ დღეობა „სულის წმიდის მოფენის დღე", რომელზედაც უზომო და უსარგებლო ხარჯი მოსდიოდათ. საშვალო რიცხვით 300 მანეთამდის იხარჯებოდა ყოველ წლობით ამ დღეს სოფელში და, ამავე დროს, ამ სოფლის ეკლესია ერთობ ღარიბი და უვარგისი იყო. ხალხი ღარიბდებოდა ამ დღის ხარჯით, რომელსაც ზნეობის და მახინჯების მეტი სარგებლობა არ მოქონდა, და ის - ერთადერთი სულიერად ამაყვავილებელი ღვთის სახლი კი უყურადღებობით ინგრევოდა! ადგილობრივ მღვდლის და რამდენიმე კეთილ-პირთა მეცადინეობით ამ სოფლის მკვიდრთა მოსპეს ეს დღეობა და იმ ხარჯით, რაც იმ დღეს მოსდიოდათ, გადაწყვიტეს განაჩენის ძალით თავისი ხის ეკლესიის შეკეთება და გამშვენება. ამჟამად ხსენებული ეკლესია, თანახმად ზემოთქმული განაჩენის ძალით შენდება და მოკლე დროში მზად იქნება. სალხინოელების მაგალითს მიჰხედეს სოფ. ტობანიერის მკვიდრთა და იქაც გადააგდეს დღეობა „დადექოშა" — 1 სექტემბერი".**

XIX ს-ის 90-იან წლებში მღვდელი თეოფანე საგვერდულითა და სკუფიით დაჯილდოვდა. 1904 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1895 წელს დიხაშხოს ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1914 წელს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

1915 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა დიდი ქართველი მგოსანი და ყველასთვის საყვარელი პოეტი

აკაკი წერეთელი. ასევე ქართველი მწერალი, მთარგმნელი და ჟურნალისტი ნიკა აგიაშვილი (1903-1984წწ.), რომელიც წარმოშობით სოფ. დიხაშხოდან იყო, ასე აღწერს აკაკის გარდაცვალებას: „ერთ-ერთ უახლოესი კვირადღის ჩვეულებრივ წირვაზე, თეოფანე ნადირაძემ არაჩვეულებრივი და მანამდე არნახული საქმე ჩაიდინა. ყველას მოეხსენება, რომ შავი შესამოსელი მხოლოდ დიდი მარხვის პერიოდში უნდა ჩაიცვას მოძღვარმა, იმ დღეს კი დიხაშხოს მრევლი საოცარი ამბის მოწმე და მნახველი გახდა. მამა თეოფანემ გააღო აღსავლის კარები, გამოვიდა საკურთხევლიდან და ყველანი განცვიფრდნენ: მას შავი ხავერდის ფილონი ემოსა და ასე ჩაატარა მთელი მსახურება. წესისამებრ მოიხსენია იმ წელიწადს გარდაცვლილ თანასოფლელთა და ომში დაღუპულ დიხაშხოელ ვაჟკაცთა სულები (უკვე 7-8 თვე იყო, რაც პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა), მათ შორის ხმამაღლა ჩაურთო, მოიხსენია და ღაღადით შეავედრა სამებას აკაკი წერეთლის უკვდავი სული და საქვეყნოდ განთქმული მისი სიტყვა და საქმე. როდესაც წირვა დამთავრდა მან ბევრი ისაუბრა აკაკის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, დააყენა იგი დიდი ილიას გვერდით და დასძინა: ისიც (ილია) მზე და სვეტი ნათლისა იყოო ამქვეყნად!... და ბოლოს ერთი პატარა ამბავი გაიხსენა, რომელიც შეიძლება დღეს აღარავის ახსოვდეს: როცა მატარებელი რომელიც აკაკის ცხედარს მიასვენებდა თბილისში გაცდა ლიახვისა და მტკვრის შესართავს და ნელ-ნელა მიუახლოვდა გორის სადგურს, მთავარი ტაძრიდან და სხვა ეკლესიებიდან ერთხმად გაისმა ზართა სამგლოვიარო რეკვა და მთელი ხალხი სწრაფად დაიძრა სადგურისკენ. საყურადღებო ის არის, რომ ამ სანახაობას შიშითა და ძრწოლით უცქერდა იქვე მყოფი პოლიციელთა, ჟანდარმთა, გოროდოვებისა და მეფის მოხელეთა წარმომადგენელნი. როცა ხალხი დაიძრა და მატარებელს მიაშურა, მათ აღარ იცოდნენ, რა ექნათ: ხმლის ვადაზე ხელმომარჯვებულნი თითქოს რაღაცას აპირებდნენ და ვერკი გაებედათ, თანაც შიშობდნენ, ვაითუ, დავაგვიანეთ და რაიმე ცუდი ამბავი მოხდესო, მაგრამ როცა ამოდენა ზღვა ხალხმა პირჯვრის წერით ძვირფასი ცხედრის წინ მუხლი მოიყარა, გაოგნებულმა ჟამდარმებმა და მათმა უფროსებმაც იკადრეს, მყისვე ქუდები მოიშვლიპეს და მათაც პირჯვრის წერით იქვე ჩაიჩოქეს... რაც შეეხება მამა თეოფანეს შავი ფილონით შემოსვის ამბავს, ეს საქმე გახმაურდა და მოძღვარი ქუთაისში, ეპისკოპოს გიორგისთან (ალადაშვილი) დაიბარეს, სადაც მას სიტყვიერი გაფრთხილება მისცეს.

მღვდელი თეოფანე გახლდათ დიდი გულშემატკივარი ყველა ქართული საქმისა და წამოწყებისა. 1915 წელს, როდესაც ქართულ საეკლესიო ჟურნალ „შინაურ საქმეებს" გაუჭირდა და მისი ყოფნა-არ-

დეკანოზი თეოფანე ქალიშვილთან, ნინოსთან ერთად

ყოფნის საკითხი დადგა, მოძღვარი გვერდში ამოუდგა მის რედაქტორს, მღვდელ სვიმონ მჭედლიძეს და გამამხნევებელი წერილიც მისწერა: **„დიდი სიამოვნებით ვეგებები თქვენ განზრახვას. არამცთუ ერთი, დარწმუნებით არც ათი ეგზემპლიარის დაკვეთას დამიშლის გული, რომ ნივთიერი ღონე ხელს მიწყობდეს. ყოველ შემთხვევაში ვცდილობ, რაც შეიძლება გამრავლდეს ხელის მომწერთა რიცხვი თქვენი გამოცემისა. სასირცხვოდ მიმაჩნია, ამაზე თუ ლაპარაკი გვჭირდება. მთელ დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებას ერთადერთი ორგანო გვაქვს და ისიც უნდა მოისპოს ჩვენი გულგრილობით? ნუ თუ ისე დავღარიბდით, რომ ერთ წელიწადში ხუთ მანეთს სამ ვადაზე ვერ გადავიხდით? არა, აქ მიზეზი სიღარიბეში არაა, ჩვენი გულგრილობაა და თან ზოგიერთთა პიროვნული ანგარიშები და, ბოდიშს ვიხდი, ზიგიერთთა უვიცობა, სასირცხო არაა, რომ ეხლანდელი მღვდელი მხოლოდ გაძღომის ფიქრით იყოს გამსჭვალული და მარტო თავის „მე" ჰყავდეს კერპად! უვიცთ კიდევ ეპატიებათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან, მაგრამ რა ვსთქვათ იმ ზოგიერთებზე, რომლებიც სარკედ უნდა უდგნენ სამწყსოს? ვაი რომ, იმათაც პირველ ხარისხზედ „მე" ჰყავთ დაყენებული და თითო-ოროლა მონდომილი კაცის კეთილ მისწრაფებას ირონიულად უყურებენ. რა თქმა უნდა, ბუნებრივია თავის „მე"-ს პატივისცემა, მაგრამ ამასაც საზღვარი აქვს, — ეგოისტობამდი არ უნ-**

დეკანოზი თეოფანე ოჯახთან ერთად, 1923წ.

და მიაღწიოს, ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე არ უნდა დაიკიდოს. განა მცირე რიცხვია უმაღლეს და საშვალო განათლებულ პირთა ჩვენში... მაგრამ ამათზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. თუ ღმერთმა ინება და „შინაური საქმეები" განახლდა, ამაზე იქ ვიბაასოთ შემდეგში".

1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს ისევ ამ ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. 1922/1923 წლებში დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1926 წლის 17 თებერვალს შედგენილ ქუთაის-გაენათის ეპარქიის, ვანის ოლქის გრაფაში, სოფ. დიხაშხოს ეკლესიის გასწვრივ წერია, რომ ტაძარს კრებული არა ჰყავს. როგორც ჩანს, სიცოცხლის უკანასკნელი წლები მოხუცებული მოძღვარი ვეღარ ახერხებს მსახურებას. მისი მოღვაწეობის უკანასკნელი წლები ხომ ეკლესია-მონასტრების გაუგონარი ნგრევისა და სასულიერო პირთა საყოველთაო დევნის პერიოდს დაემთხვა და ვერც თვითონ და ვერც მისი შვილები გადაურჩნენ ათეისტთა შეურაცხმყოფელ შემოტევებს. დეკანოზი თეოფანე 1928 წლის 8 თებერვალს გულის შეტევით გარდაიცვალა. ჰყავდა მეუღლე შარინოზ/მელანია მანუჩარის ასული კახიანი (დაბ. 1864წ.) და შვილები: სერაფიმა (დაბ. 1880წ.), ნინო (დაბ. 1883წ.), სონია, ლიდა, იოანე, ალექსანდრე, იოსები. მისი ვაჟი იოსები 1937 წელს ყაზახეთში გადაასახლეს, ხოლო ალექსანდრე იმავე წელს კოჯორთან დახვრიტეს.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №4105; საქმე №7127; საქმე №23720; საქმე №40419; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №55; ჟურნალი „მწყემსი" 1891წ. №3, გვ. 6; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1904წ. №10; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1914წ. №10; ჟურნალი „შინაური საქმეები" 1915წ. №12, გვ. 6; გაზეთი „კომუნისტი" 1928წ. გვ. 4.

ლიტ: ნიკა აგიაშვილი „პირად პირადი" ქ. თბილისი 1986წ., გვ. 352-355; კეზევაძე მ. „ეგზარქოსობის-დროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები", ქ. ქუთაისი, 2008წ. გვ. 60; გვ. 70; გვ. 110; გვ. 122.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კეკანტრაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი არეთა სახოკია 1884-1937

ვაგრძელებთ 1921-1938 წლებში საქართველოში რეპრესირებულ სასულიერო პირთა ამსახველი ცხოვრების მოძიებასა და მათზე ინფორმაციის შეკრებას. ულმობელმა ეპოქამ უამრავი კეთილშობილი და ერისათვის თავდადებული მამულიშვილის სიცოცხლე შეინირა. მათ რიგებშია ქუთაის-გაენათის ეპარქიის სოფ. კულაშის მაცხოვრის ჯვარცმის სახ. ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი არეთა სახოკია.

დეკანოზი არეთა სახოკია სასულიერო წოდების ოჯახში დაიბადა. მისი წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდნენ დედაეკლესიას. ამ შტოს პირველი წარმომადგენელი გახლდათ **მღვდელი ვასილ სახოკია**, რომელიც 1782 წელს გლეხის ოჯახში დაიბადა. საეკლესიო წიგნი და მსახურება სენაკის ტაძარში მღვდ. ლაზარე ოდიშარიასთან ისწავლა. 1808 წელს ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ბესარიონმა (დადიანი) მღვდლად დაასხა ხელი და შხეფის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში განამწესა. ჰყავდა შვილები: სიმონი (დაბ. 1801წ.), მღვდელი იოანე (დაბ. 1810/1813წ.), პეტრე (დაბ. 1818წ.).

მამის საქმიანობა მისმა შუათანა ვაჟმა, **იოანემ** განაგრძო, რომელიც 1810, მეორე ვერსიით — 1813 წელს დაიბადა. დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. ქართულ ენაზე საღმრთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, ტიბიკონი და გალობა მარტვილის მონასტერში ისწავლა. 1840 წლის 15 მარტს სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (კუხალაშვილი) დიაკვნად აკურთხა და მეორე შხეფის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში განამწესა. 1841 წლის 22 თებერვალს მღვდლად დაასხა ხელი და იმავე ტაძარში დაადგინა. 1868-1873 წლებში იყო სასულიერო დეპუტატი. ჰქონდა ჯილდო — ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი. 1868 წლის 21 მაისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1879 წელს სკუფია უბოძეს. 1879 წლის 2 ოქტომბერს, თავისი თხოვნის საფუძველზე, შტატიდან გავიდა. 1885 წელს უკვე ქვრივია. 1900-იან წლებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჰყავდა შვილები: მღვდელი გრიგოლი, მღვდელი ნიკოლოზი, თეოფანე (დაბ. 1860წ.), ქაქუჩა.

მისი მეორე ვაჟი იყო **მღვდელი ნიკოლოზი**, რომელიც 1851 წელს დაიბადა. დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. ქართულ ენაზე საღმრთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, ტიბიკონი და გალობა ხობის მონასტერში ისწავლა. 1870 წელს სოხუმის სასაფლაოს ეკლესიაში მედავითნედ დაინიშნა. 1876 წელს სოხუმის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. საკათედრო ტაძარში გადაიყვანეს. 1880 წელს მეორე შხეფის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში დაადგინეს. 1891 წლის 18 აპრილს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა და ძველი სენაკის მაცხოვრის სახ. ტაძარში განამწესა. 1894 წლის 16 იანვარს მღვდლად დაასხა ხელი და ეკი-საარჩაიოს მაცხოვრის სახ. ტაძარში დანიშნა. 1898 წლის 18 ოქტომბერს კოდორის მაცხოვრის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1903 წლის 6 მარტს გულუხეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1907 წელს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1914 წელს სკუფია უბოძეს. 1914 წლის 18 ნოემბერს პირველი შხეფის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1915 წლის 16 მაისს შტატიდან გავიდა და ეკლესიაში 38-წლიანი ერთგული სამსახურისათვის წელიწადში 300 მან. პენსია დაენიშნა. მისი გარდაცვალების წელი უცნობია. ჰყავდა მეუღლე კესარია როსტომის ასული (დაბ. 1861/1863წ.) და შვილები: ალექსანდრა (1880), დეკანოზი არეთა (1884-1937ნ.).

ამ შტოს უკანასკნელი სასულიერო წარმომადგე-

სოფ. ბანძის ორკლასიანი სასწავლებელი. მარჯვნივ ბოლოში ზის არეთა სახოკია

ნელი გახლდათ მღვდელმონამე, დეკანოზი არეთა სახოკია. იგი 1884 წელს დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მიიღო. 1903-1906 წლებში თბილისის საიმპერატორო მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა. 1907 წლის 3 ოქტომბერს ბანძის ორკლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლაში სლავურ და ქართულ საეკლესიო გალობის უშტატო მასწავლებლად დაინიშნა. 1908 წლის 10 ოქტომბერს შტატში დაამტკიცეს და 1910 წლის 2 ნოემბრამდე მუშაობდა აქ. 1909 წლის 10-18 აპრილს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) იმოგზაურა სამეგრელოში სარევიზიოდ. მან დაათვალიერა სუჯუნის, საჭილაოს, ბანძისა და ნოსირის ოლქები. შეიტყო თუ რა მდგომარეობაში იყო ეკლესიები, სამღვდელოება და მრევლი. უყურადღებოდ არ დაუტოვებია სამინისტრო და სამრევლო სკოლები. ბანძის ოლქში მის მეუფებას მოეწონა სოფლის ერთკლასიანი ვაჟების სამრევლო სკოლა, სადაც კარგად იყო დაყენებული სწავლა. იქვე ინახულა დეკანოზ ანტონ კეკელიას სამრევლოში აშენებული ორკლასიანი სკოლა „ძალიან მოეწონა მის მეუფებას კარგად დაყენებულ გალობის საქმეში" მასწავლებელ არეთა სახოკიას მეცადინეობით, რომელსაც გაუთავებია თბილისში მუზიკალური სკოლა. დიდი მადლობის ღირსია ბატონი არეთა სახოკია ასეთი თავდადებისათვის გალობის საქმეში. 1910 წლის 7 ნოემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა და ფოთის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. საკათედრო ტაძრის მეორე კერძო დიაკვნის შტატში დაადგინა. 1910 წლის 6 დეკემბერს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო დირექტორიამ სამეგრელოს საქალაქო სასწავლებელში საეკლესიო გალობის მასწავლებლად დაამტკიცა. 1915 წელს მღვდლად დაასხეს ხელი. მღვდელი არეთა აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელოს კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1916 წელს ქართული პრესა წერდა: **„22 გიორგობისთვეს სალიტერატურო საღამო გამართეს ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასის წლის შესრულების აღსანიშნავად. მონაწილეობას იღებდნენ: ია ეკალაძე (წაიკითხა პოეტის მოკლე ბიოგრაფია), მოწაფეთა ხორო მღვდელ არეთა სახოკიას ლოტბარობით, მოზრდილთა ხორო ვ. გეგეჭკორის ლოტბარობით, ახალ-სენაკის მასწავლებელნი და მოწაფენი. წაიკითხეს ლექსები ბარათაშვილისა"**. 1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს ზემო სორტის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. 1925 წლის 12 ოქტომბერს ჭყონდიდის ეპარქიის, სენაკის ოლქის, ძველი სენაკის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვარია. 1929 წლის 1 სექტემბერს უკვე ძველი სენაკის მაცხოვრის სახ. ტაძარში ჩანს. 1936 წლის 1 მაისს მღვდელი არეთა ქუთაის-გაენათის ეპარქიის, კულაშის მაცხოვრის ჯვარცმის სახ. ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. 1936 წლის 28 აპრილს მღვდელი არეთა კესარია შაფათავას სახლში დააპატიმრეს. 1936 წლის 9 ივლისს მღვდელი არეთა თავის შვილს წერდა: **„შვილო ხუტა! მოგიკითხავ გულწრფელად. მომიკითხე კოლია, ბაბო, ელენე, ნინა და მისი ქმარი. მე ჯანმრთელად ვარ. რატომ წერილი არ მოიწერე სხვაგან ხარ თუ ისევ იქ? სახლში ყველა კარგადაა, მე კულაშში ვარ. სასამართლო შესდგა ადგილობრივ 22 ივნისს, მაგრამ რადგან მთავრობის მომხრე არ გამოცხადდა, გადასდვეს 29 ივნისისთვის. დამცველი მყავდა აყვანილი და თან ხალხიდან მოწმენიც. ბრალდება, რომელსაც მიყენებდენ მათი კომსომოლები არ გამართლდა. საჯაროდ მათი ცრუ ბრალდება გააქარწყლა დამცველმა ე. ი. ყველაფერში გავმარჯვდი, მაგრამ როგორც ჩვეულება ქონიათ 128 მუხლი გაითვალისწინეს და მომისაჯეს ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა და 11 თვე ციხე — ამასთან მიიღეს მხედველობაში ხნოვანება და ავადმყოფობაც და მომცეს უფლება 5 დღის განმავლობაში უმაღლეს სასამართლოში გადატანის. მეორე დღეს — 30 ივნისს, დღით ორშაბათს, წავედი სამტრედიაში დამცველთან და მან გამოაწყო როგორც საჭირო იყო და სასამართლოს კანცელარიას გადავეცი გასაგზავნად. ამასთან, დავსწერე ქუთაისის ეპარქიის საბჭოს სახელზე განცხადება და შეუთვალე, რომ აცნობონ პატრიარქს თბილისში გაგზავნოს სასამართლოში თავისი წარმომადგენელთაგანი დასასწრებლად. ამასთანავე გავალებ მიხვიდე პატრიარქთან და გაიგო, აბა რას აპირებს, მიიღებს თუ არა ზომას და შემატყობინე დაჩქარებით"**. ამ რეზოლუციაზე 14 ივლისს უწმინდესმა კალისტრატემ შემდეგი მინაწერი გააკეთა: **„ვინაიდან მამა სახოკიას ქალი არ გამოცხადდა, ეცნობოს ქვემო აღნიშნული მისამართით, რომ გასაჩივრება უზენაესში ჯერ არ არის"**. როგორც შემდგომი მიმოწერიდან ჩანს, მამა არეთას 11-თვიანი ციხე 500-მანეთიანი ჯარიმით შეუცვალეს.

მღვდელი არეთა მეუღლესთან და შვილთან ერთად

თეკლათის მონასტერი. ეპ. ლეონიდე სამღვდელოებასთან და მრევლთან ერთად. დიკირით ხელში დგას დიაკონი არეთა

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ გაგზავნილი მოხელე მივიდა კულაშში და აღწერა მოძღვრის საცხოვრებელი ადგილი, სადაც მხოლოდ ქვეშაგები, ჭიქა და დოქი დახვდა. მან შეადგინა აქტი და წარუდგინა სასამართლოს, რომ მამა არეთას სხვა არაფერი გააჩნდა. სასამართლოს თავმჯდომარემ იმავე წლის 12 სექტემბერს თავისთან დაიბარა იგი და გამოუცხადა, რომ გადასახადი უკლებლივ გადაეხადა. შეწუხებულმა მოძღვარმა იმას საღამოს წერილი გაუგზავნა მის უწმინდესობამ და სთხოვა, რომ ეშუამდგომლა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ფ. მახარაძესთან, რომ როგორც უკიდურესად ღარიბს, მეპატიოს აღნიშნული ჯარიმის გადახდაო.

1937 წლის 19 აპრილს მღვდელ არეთას ეკლესიაში ერთგული და თავდადებული სამსახურისთვის დეკანოზის წოდება მიენიჭა. სამწუხაროდ, 1937 წლის რეპრესიებს იგი ვეღარ გადაურჩა. მოძღვარი 29 აგვისტოს დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (აგიტაციაპროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას) დარღვევა. 1937 წლის 22 დეკემბერს სამეულის განჩინებით ქუთაისის სასამართლომ მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამის შემდეგ მის შესახებ მეტი ინფორმაცია აღარ მოიპოვება. უცნობია, მართლა გადაასახლეს იგი თუ დახვრიტეს. ჰყავდა მეუღლე ელენე ბესარიონის ასული (დაბ. 1889წ.) და შვილები: ანასტასია (დაბ. 1912წ.), ნინო (დაბ. 1913წ.).

წყარო: საქართველოს ეროვნული საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №812; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №38675; საქმე №40390; საქმე №53085; საქმე №57646; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1839; საქმე №2042; აღწერა 2, საქმე №621; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №54; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1915წ. №3; 1916წ. №3, გვ. 59; ჟურნალი „შინაური საქმეები“ 1909წ. №25, გვ. 14; გაზეთი „საქართველო“ 1916წ. №269, გვ. 3.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41
რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძეილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მარჯორიშვილი, ია ბაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კეკანტრაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

საპატრიარქოს წმენდანი

ისტორიის ფურცელი

XVIII-XIX ს-ში სოფ. დიღომში მოღვაწე ლასურაშვილების სამღვდელო გვარი

ლასურაშვილები დიღმის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით სახლობენ. მათი უბანი ძველი საქალაქო გზის პირასაა გაშენებული და იყოფა შემდეგ უბნებად: გუგლაანი, ჭოტორლიანი, ჯობინოაანი.

ლასურაშვილი ადრე სამეფო ყმებად ითვლებოდნენ და XVIII ს-ში თარხნებიც გახდნენ. შემდეგ XIX ს-ში საბატონო ყმებად ითვლებოდნენ. პირველი ისტორიული საბუთი ლასურაშვილების შესახებ გხვდება 1725 წლის მამულის წყალობის წიგნში, მიცემული ვახტანგ VI-ის მიერ გიორგი ლასურაშვილისადმი, სადაც ნათქვამია, რომ **„...წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა დიდად ერთგულსა და ნამსახურსა ყმას ლას,ურის შვილს გიორგის და ძმასა შენსა იესეს, მარკოზს და მათეს, შვილთა და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქუენისა: — ასე რომე, ჩვენს რუსეთს ყოფნაშია დიდად გვემსახურენით და ჩვენის შვილისაც ერთგულად მაამებელი, მოსამსახურე იყავ; ამისად სანაქებოდ ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ დიღვამს შენის ბიძაშვილების მელიქიზას და შავერდის ნაქონი მამული სახლით, კარით, ვენახით, სასაფლაოთი, ჭურ-მარნითა, კალო-საბძლითა, შესავალ-გასავლითა, სახნავითა, სათესითა და დღეს, თქვენთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად, რომ არას კაცს თქუენთან ხელი არა ჰქონდეს; რისაც მქონებელნი ყოფილიყვენ და ანუ იყუნენ, თქვენთვის და შვილთა კიდე ამასდა გარდა სითარხნის წყალობას დაგვეაჯენით და გათარხნეთ, რომ არაფერისთანა საჩვენო გამოსაღები და სათხოვარი არა გეთხოვებოდესთ... თვინიერ ერთის მსახურისა და ლაშქარ-ნადირობის მეტი“.** შემდეგ წლებში სხვა მეფეებიც უმტკიცებენ სითარხნის წყალობის სიგელებს გიორგი ლასურაშვილის შთამომავლებს. უკანასკნელი სიგელი თარიღდება 1800 წლის ივლისის 26-ით, მიცემული გიორგი XII-ის მიერ მღვდელ აბრაამ ლასურაშვილისადმი, სადაც ნათქვამია: **„... ესე წყალობის ნიგნი გიბოძეთ შენ, დიღმელს ლასურის-შვილს მღვდელს აბრაამსა და ძმის წულს შენსა მელქისედეკს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა; ესე რომე ძველთაგან სითარხნე გქონებოდათ და მოაღაპენი ყოფილიყავით, როგორადაც ძველს სიგელში გიცხადებს კურთხეულის ელენე დედოფლისაგან და აგრეთვე ნაზარალიხანისაგან და ეს სიგელი კურთხეულ მამას ჩვენს მეფეს ირაკლისაც დაემტკიცებინა. ჩვენცა წყალობა გვიქნია და გვიბოძებია...“** ამ სიგელს ამტკიცებს დედოფალი მარიამი და ტახტის მემკვიდრე დავითი.

ზემოთ მოხსენებულ მღვდელ აბრაამ ლასურაშვილსა და სოფ. დიღმის მეორე მღვდელ პავლე ზერ-

სოფ. დიღომის წმ. მარინეს ეკლესია

თელაშვილის დავას ეხება ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც 1796 წლის 1 ნოემბერსაა შედგენილი საქართველოს ეკლესიის სასულიერო დიკასტერიაში. აი, რა განაჩინა დიკასტერიამ: **„დიღმელნი ხუცები აბრაამ და პავლე ჰშფოთებდნენ და იცილებოდნენ დიღმის გარეშეთა სამლოცველოთა ეკლესიათა ზედა, რომელ არს პირველი წმიდისა სამებისა, მეორე ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა, მესამე წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა, მეოთხე თეთრი ეკლესია წმიდისა გიორგისავე და მეხუთე დიდგორის ეკლესია მოშორებით... მოვიდენ ორნივე მისის უწმინდესობის დიკასტირიასა შინა, და ილაპარაკეს, და სარჩელი თვისი თითეულად მოგვითხრეს. ჩვენ გამომძიებელთა სარჩელისა მათისათა, შევრისხეთ ორთავე, ვამხილეთ, ვჰსნვართეთ, და განვჰმართეთ საქმე მათი და ბრძანებითა მისის უწმინდესობისა განვაჩინეთ: დიღომში რომ ეკლესია აქვსთ წმინდის მარინასი, რიგით ჰსწირევდენ. ერთ კვირას ერთი სწირევდეს, და მეორე მოეხმარებოდეს, და მეორე კვირას მეორე სწირევდეს. თუ საერთო მოუვიდესთ საწირავი, შუა უნდა გაიყონ თანასწორად ვითარცა ძმათა; დიდგორის ეკლესიაში, ერთს წელიწადს ერთი ხუცესი წავიდოდეს, და მეორეს წელიწადს - მეორე, და რაც სამლოცველო და შესაწირავი მოუვიდეს ის უკლებლივ მარტო იმ ხუცისა იყოს, მეორე ვერ შეეცილოს; ორნი იგი ეკლესიანი: ერთი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა, რომელიცა არს სასაფლაო აბრაამ ხუცის მამაპაპათა, და კვალად ეკლესია თეთრი წმიდისა გიორგისა, ეს ორი ეკლესია მიგვიცემია თავის შემოსავლით საკუთრად აბრაამისათვის, რომ მეორე ხუცესი ვერ შეეცილოს; ეგრეთვე ეკლესია წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა, სასაფლაო პავლე მღვდლის მამაპაპათა, და კვალად**

ეკლესია წმიდისა სამებისა, ეს ორი ეკლესია მიგვიცემიეს პავლესთვის საკუთრად და ყოვლით შემოსავლით. და რაც შესაწირავი, ან სამლოცველო, ან მხარ-ტყავი, ან კურატი, ან ზვარა, ან პური, ან ღვინო და ან სხვა ამგვარი ნივთი რამ მიუვიდესთ იმ დღეს ყველა საკუთარი იყოს მისი, მეორე ვერ შეეცილება, და თუ შანა, ან ვეცხლი რამ, ან სამოსელი, ან ხელსახოცი, და ან სანთელ-საკმელი მიუვიდესთ, წამოიღონ და დიღმის წმ. მარინას ეკლესიას მოახმარონ, სადაც დღე ყოველ სწირვენ, და ილოცვენ. და რომელიც დღეის იქით, ამ ჩვენგან განჩინებულს არ დასჯერდება და არ დაემორჩილება, მისის უწმინდესობისათა სულიერის მსჯავრით შეუნდობელად განიკანონება, საკანონო მიეკიდება, და სამრევლოსაგანცა თვისისა, უნაწილოდ დაშთება".

მიხეილ გრიგოლის ძე ლასურაშვილი-გიორგიევი

როგორც საეკლესიო საბუთებიდან ჩანს, მღვდელი აბრაამ ლასურაშვილი XIX ს-ის დასაწყისში გარდაიცვალა და მისი სამწყსო, ძმისწულმა — მელქისედეკ ლასურაშვილმა ჩაიბარა, რომელიც მღვდლად იქნა ხელდასხმული. სამწუხაროდ, მღვდელი მელქისედეკი 1812 წელს ქართლ-კახეთში გავრცელებულა შავმა ჭირმა შეინირა. 1813 წლის 13 მაისს მისი ქვრივი ელისაბედი საქართველოს ეგზარქოს ვარლაამს (ერისთავი) სწერდა: **„შარშან არზითა ჩემითა შევაწუხე თქვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, რომ მეუღლე ჩემი მღუდელი მელქისედეკ თავის სამწყსოს სამსახურში ჭირით გარდაიცვალა და იმისი სამწყსო სრულიად პავლე მღუდელმა მიიღო და ყოვლითურთ უნაწილო გამხადა და თქვენ უბრძანეთ მცხეთის დეკანოზს, რომ ეს საქმე გაერიგებინა, რომელმაც განმიწესა თავისი ბარათით თოთხმეტი მინალთუნი და ათი შაური, მაგრამ ჯერაც არ მოუცია, ამას გარდა, ჩემის მეუღლის საკუთარი ნივთნი, ფილონი, სტიქარი და მარხვანი, რომელიც ითხოვა ჩემგან, აღარ მანებებს და რადგან ქვრივ და ოხერ და უპატრონო ვარ, ასე მძლავრობით იქცევა ჩემზე"**. 1813 წლის 16 მაისს მცხეთის დეკანოზმა კიდევ ერთხელ გაარჩია ეს საქმე, მღვდელი პავლე დაიფიცა, რომ მასზედ დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებდა და ქვრივს თავის წილს მისცემდა.

1816 წლამდე მღვდელ პავლეს ებარა სოფ. დიღმის ორივე სამწყსო. ამ წელს კი ლასურაშვილების წილი სამრევლოები მღვდელ მელქისედეკის სიძემ, დავით ლასურაშვილმა ჩაიბარა, რომელიც მისი განაყოფი იყო.

მღვდელი დავით გიორგის ძე ლასურაშვილი 1790 წელს მღვდლის ოჯახში დაიბადა. ქართულ ენაზე წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი თბილისში, დეკ. იესე ჩუბინიძესთან ისწავლა. 1816 წლის 14 მარტს ნიქოზელმა ეპ. ათანასემ (მაჭავარიანი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 19 ივნისს გორის მიტროპ. გერვასიმ (მაჭავარიანი) მღვდლად დაასხა ხელი და სოფ. დიღმის წმ. მარინეს სახ. ტაძარში განამწესა. 1818 წლიდან, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის მიერ საეკლესიო შტატები დალაგდა, იგი დიღმის წმ. მარინეს სახ. ტაძრის პირველ მღვდლად დაინიშნა. იგი შეთავსებით ემსახურებოდა სოფ. ნაქულბაქევის მრევლსაც, რომელიც 5 ვერსით იყო დაცილებული დიღმიდან და სიშორის გამო, ხშირად ვერ ახერხებდა იქ წასვლას.

1826 წლის აღწერილობაში დიღმის წმ. მარინეს ეკლესიაზე ვკითხულობთ: **„ტაძარი არს ქვითკირის, აშენებული 1320 წელს, ჰყვანან სამრევლო სახლნი 133 კომლი. ზედ მიწერილი სოფლები ნაქულბაქევი და ვეძისი. აქედან დიღომში სახელმწიფო კომლი — 17, საეკლესიო — 15 და საბატონო — 75; ნაქულბაქევში: სახელმწიფო — 3, საეკლესიო — 15; ვეძისში: საბატონო — 8. ტაძარი მდგომარეობს საეკლესიო ადგილზე. არა აქვს შეწირული მამულები"**.

მღვდელი დავითი 1855 წლის 21 მარტს გარდაიცვალა. დაკრძალეს 24 მარტს დიღმის წმ. მარინეს სახ. ტაძრის ეზოში. დარჩა მეუღლე ნინო მელქისედეკ მღვდლის ასული ლასურაშვილი (დაბ. 1805წ.) და შვილები: ეკატერინე (დაბ. 1823წ.), გიორგი (დაბ. 1827., დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია), მღვდ. გრიგოლი (1834-1897წწ.), ალექსი (დაბ. 1844წ.).

მამის საქმის გამგრძელებელი გახლდათ მისი მესამე შვილი — **გრიგოლი**, რომელიც 1834 წელს დაიბადა. იგი ატარებდა მეორე გვარსაც — გიორგიევი, რაც იმ პერიოდის საქართველოში ხშირი მოვლენა გახლდათ რუსული პოლიტიკის შედეგად. გრიგოლმა დაამთავრა ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარია. 1856 წლის 29 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკი) დიაკვნად აკურთხა და თბილისის კალოუბნის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარში განამწესა. 1858 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) მღვდლად დაასხა ხელი და დუშეთის მაზრაში, კორინთოს წმ. მარინეს სახ. ტაძარში დანიშნა. 1860 წლის 24 დეკემბერს თელოვანის წმ. ნინოს სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1866 წლის 10 მაისს დიღმის წმ. მარინეს სახ. ტაძარში მეორე მღვდლის ადგილზე დაადგინეს.

იმ პერიოდში ტაძრის წინამძღვარი მღვდელ ანტონ თომას ძე ცაგარელი გახლდათ (ცნობილი ისტორიკოსის და ფილოლოგის, ალექსანდრე ცაგარელისა და ქართველი დრამატურგისა და მსახიობის ავქსენტი ცაგარელის მამა). მამა ანტონისა და მამა გრიგოლის ერთობლივი მოქმედებითა და მეცადინეობით

მღვდელი გრიგოლ ლასურაშვილი-გიორგიევი ვაჟთან — დავითთან ერთად

დაიწყო დიღმის ეკლესიის კაპიტალური განახლება და შეკეთება, რაც 1869 წელს დასრულდა და იმავე წლის 26 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) სამღვდელოების თანხლებით განახლებული ტაძარი საზეიმოდ აკურთხა. 1869 წლის სექტემბერშივე მამების დიდი მონდომებით ტაძრის ეზოში სკოლა გაიხსნა, სადაც 1870 წლის იანვარში უკვე 23 მოსწავლე ირიცხებოდა. პედაგოგობას თავად მამა ანტონი და მამა გრიგოლი ეწეოდნენ.

1869 წლის 24 დეკემბერს მღვდელი გრიგოლი საგვერდულით დაჯილდოვდა. 1871 წელს ოლქის სამღვდელოებამ თბილისის სასულიერო სასწავლებელში თავის წარმომადგენლად აირჩია. 1874 წელს ხელმეორედ აირჩიეს იგი პოსტზე. 1874 წელს სკუფია უბოძეს. 1876 წლის მარტიდან ტაძრის წინამძღვარია. 1879 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1879 წელს თბილისის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ დაადგინეს. 1882 წლის 26 ოქტომბერს ოლქის სამღვდელოებამ საეპარქიო კრებაზე დამსწრე დელეგატად აირჩია. 1883 წლის 4 თებერვალს წითელი ჯვრის საზოგადოებამ თავისი სამახსოვრო ჯვრით დააჯილდოვა. იყო კომისიის წევრი, რომელსაც დაევალა ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის შენობის ყიდვა. 1883 წლის 15 აპრილს რუსეთის წმ. სინოდმა მადლობა გამოუცხადა. 1884 წელს კიდევ ერთხელ გამოეცხადა მადლობა. 1887 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1890 წლის 12 აპრილს ჯარში წამსვლელთა სიების შედგენაში გაწეული ღვაწლისთვის სამხედრო უწყებამ მადლობა გამოუცხადა. 1897 წლის 1 მაისს, ავადმყოფობის გამო, შტატიდან გადადგა. მღვდელი გრიგოლი, 1897 წლის 17 ნოემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. იგი 22 ნოემბერს სოფ. დიღომში დაასაფლავეს. დარჩა მეუღლე მელანია დიმიტრის ასული ჯავრიშვილი (1837-28.03.1887წწ.) და შვილები: **ნინო** (დაბ. 1858წ., გათხოვილი უგრელიძეზე); **დავითი** (დაბ. 1861წ., თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის პედაგოგი); **ელენე** (დაბ. 1863წ.); **მიხეილი** (1866-1918წწ., რომელმაც დაამთავრა მოსკოვის ეკონომიკური ინსტიტუტი, იყო მინათმომწყობი, ინჟინერი. მოღვაწეობდა ბაქოში იაკობ მანსვეტაშვილთან ერთად. იყო ქველმოქმედი, ეხმარებოდა ღარიბ და გაჭირვებულ სტუდენტებს სწავლა-განათლების მიღებაში. 1915 წელს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების ნამდვილი წევრი. იგი 1918 წელს უცნობმა პირებმა ბაქოში გაიტაცეს და მოკლეს); **ეფემია** (დაბ. 1868წ., პედაგოგი. 1894-1898 წლებში მუშაობდა თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში; 1898-1902 წლებში — თიანეთის ორკლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მასწავლებლად, 1906 წლის 1 სექტემბრიდან 1918 წლის 1 ივლისამდე — თბილისის „განათლების" საზოგადოების ქალთა საოსტატო სემინარიაში; 1918 წლის 1 ივლისიდან — თამარ მეფის სახ. ქალთა საოსტატო სემინარიაში); **მართა** (დაბ. 1870წ.); **დიმიტრი** (1871-1916წწ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე 23397; ფ. 489, აღწერა 1, საქმე 3212; საქმე 39701; საქმე 44428; საქმე 62080; საქმე 63001; გაზეთი „დროება" 1870წ. 2, გვ. 2; 1883წ. 198, გვ. 3-5; ჟურნალი „მწყემსი" 1884წ., 8, გვ. 3; 1887წ. 10, გვ. 1; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1897წ. 11; გაზეთი „ივერია" 1887წ. 66, გვ. 1; 1897წ. 241; გვ. 1; 242, გვ. 1.

ლიტ: ჯ. სონღულაშვილი „აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის" (დიღმის ხეობა), წიგნი I, ქ. თბილისი 1969წ., გვ. 86-88.

სიახლე! გაცნობებთ, რომ ამიერიდან გაზეთ „საპატრიარქო უწყებანის" ყოველი მეორე ნომერი გამოქვეყნდება ელეტრონული სახით, ჩვენი გაზეთის ფეისბუკ გვერდზე; ბეჭდვითი სახით კი გაზეთს იხილავთ ორ კვირაში ერთხელ.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი მიხეილ ესტატეს ძე მძინარაშვილი 1839-1917

„ღმერთს უყვარს ის ხალხი, რომელსაც ამისთანა კაცებს გამოუჩენს, გაუზრდის და უროხლებს დიდხანს"

დეკანოზი მიხეილ ესტატეს ძე მძინარაშვილი 1839 წელს გორის მაზრის სოფ. დიცში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. მისი წინაპრები ასევე სასულიერო პირები გახლდნენ, რომელნიც ერთგულად ემსახურებოდნენ საქართველოს დედაეკლესიას.

1781 წელს ნიქოზის ეპარქიაში, სოფ. დიცის სამრევლოში იხსენიება მღვდ. ბესარიონ მძინარაშვილი, რომელიც თავად მაჩაბლის ყმა იყო. მოძღვრის ბაბუა, მღვდელი იოსებ ესტატეს ძე მძინარაშვილი, 1790 წელს გლეხის ოჯახში დაიბადა. მიღებული ჰქონდა შინაური განათლება. XIX ს-ის 10-იანი წლების დასაწყისში მღვდლად დაასხეს ხელი და ოსეთის სასულიერო კომისიაში განამწესეს. თავდაპირველად მსახურობდა დიდი ლიახვის ხეობაში, სოფ. დამწვარის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარში. 1836 წელს ქეშელთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში იხსენიება. 1843 წლიდან უშტატო მღვდელმსახურია. წელიწადში იღებდა 25 მანეთ პენსიას. მღვდელი იოსები 1871 წლის 18 აპრილს გარდაიცვალა.

მღვდელი ესტატე მამა იოსების ვაჟი იყო. იგი რუისის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. საკათედრო ტაძარში მსახურობდა და წლების განმავლობაში რუისის ოლქის მთავარხუცესი გახლდათ.

1861 წელს მიხეილმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1861 წლის 21 ივნისს თელავის სასულიერო სასწავლებელში პირველი კლასების მასწავლებლად დაინიშნა. 1864 წლის 4 მარტს სასულიერო სასწავლებლის მმართველობამ ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მადლობა გამოუცხადა. 1864 წლის 2 სექტემბერს თბილისის სასულიერო სასწავლებელში იმავე თანამდებობაზე გადაიყვანეს. 1864 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) დიაკვნად აკურთხა და სემინარიის კარის ეკლესიაში განამწესა მასწავლებლის თანამდებობის შენარჩუნებით. 1866 წლის 1 დეკემბერს კეთილსინდისიერი სამსახურისათვის 35 მანეთით დააჯილდოვეს. 1867 წლის 15 იანვარს მღვდლად დაასხა ხელი და ელიზავეტოპოლის წმ. ზაქარიასა და ელისაბედის სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესეს. 1867-1876 წლებში ელიზავეტოპოლის გუბერნიაში მდგარი საჯარისო განყოფილების სულიერი მოძღვარია და აღნიშნულ პოლკში ჯარისკაცებს საეკლესიო წესებს უსრულებს. 1868 წლის 16 აპრილს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1868 წლის 16 ნოემბერს ელიზავეტოპოლის სამაზრო სასწავლებელში საღვთო სჯულისა და ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა. 1870 წლის 1 ივნისს ეს სასწავლებელი კლასიკურ პროგიმნაზიად გადაკეთდა და მღვდელი მიხეილი საღვთო სჯულის მასწავლებლად დაამტკიცეს. 1870 წლის 22 მარტს მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა. 1873 წლის 8 აპრილს სკუფია უბოძეს. 1874 წლის 22 მაისს, ავადმყოფობის დროს, კავკასიის სამზრუნველოს სასწავლო ოლქის გადაწყვეტილებით აღნიშნული სასწავლებლიდან სამკურნალოდ მიიღო ფულადი დახმარება — 150 მანეთი. 1880 წელს კვლავ გამოეცხადა მწყემსმთავრული მადლობა. 1881 წლის 18 აპრილს კამილავკა ეწყალობა. 1881 წელს პროგიმნაზია გადაკეთდა სრულ გიმნაზიად და მღვდელი მიხეილი აქაც საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1881 წლის 21 ნოემბერს გიმნაზიაში რამდენიმეწლიანი ნაყოფიერი და თავდადებული მოღვაწეობისათვის ფულადი ჯილდო მიიღო. 1882 წლის 20 ივნისს წითელი ჯვრის საზოგადოებამ თავისი ჯვრით დააჯილდოვა. 1885 წელს კვლავ გამოუყვეს ფული სასწავლებლიდან სამკურნალოდ, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო მან ვეღარ შეძლო მასწავლებლად მუშაობა და მისივე თხოვნით სასწავლებლიდან გათავისუფლდა. 1887 წლის 1 ივნისს 24-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის გამო სიკვდილამდე 800 მანეთი პენსია დაენიშნა. 1887 წლის 7 დეკემბერს ელიზავეტოპოლის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1888 წლის 24 აპრილს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1889 წლის 19 მარტს ახალი ტაძრის კურთხევის დღეს დედაეკლესიაში გაწეული ღვაწლისათვის დეკანოზის წოდება მიენიჭა და განსაკუთრებული სიგელი გადასცა. 1889 წლის 12 აპრილს, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს და მიეცა უფლება, სიკვდილამდე ეტარებინა საზოგადოების თეთრი ვერცხლის ჯვარი. 1891 წლის 3 თებერვალს ელიზავეტოპოლის გუბერნიაში 125 კაცის ქრისტიანობაზე მოქცევისთვის წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1892 წლის 15 მაისს სასწავლო დარგში და სასულიერო ასპარეზზე მრავალწლიანი

ქ. ელიზავეტოპოლი (ეხლ. განჯა) 19 ს-ის ფოტო

კეთილსინდისიერი მოღვაწეობისათვის საეპარქიო მმართველობის წარდგენით რუსეთის წმ. სინოდმა მადლობის ფურცელი უბოძა.

1892 წლის 9 ოქტომბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე დადგინდა დიდი ქართველი მგოსნის, ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენების საკითხი. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ წლების განმავლობაში მისი საფლავი ელიზავეტოპოლში (ეხლ. განჯა) მიტოვებული და ფაქტობრივად დაკარგული იყო. ამ საქმეში თავისი ღვაწლი შეიტანა დეკანოზმა მიხეილმა, რომელიც რამდენიმე ათეული წელი მსახურობდა ელიზავეტოპოლის ტაძარში. აი, რას წერდა იგი 1892 წლის 21 ოქტომბერს გაზეთ „ივერიაში": **„რადგან ნ. ბარათაშვილის საფლავის საქმე ბევრთ ისე გამოარკვიეს, ვითომ ბარათაშვილის საფლავი სრულად დაკარგული იყოს, აღარავითარი ნიშანი და კვალი აღარა სჩანდესო, ამიტომ მე მინდა ორიოდე სიტყვა მოგახენოთ ამის შესახებ, ვითარცა ადგილობრივი ეკლესიის მღვდელ-დეკანოზმა. გარეგან, მართლაც, ძნელი საცნობელია, სად არის განსვენებული დასაფლავებული, რადგან ქვა აღარ ადევს ზედ, მაგრამ მაინც-კი და ჭეშმარიტებით შეიძლება იმ ადგილის აღნიშვნა და აი, რა მიზეზით: მე განჯის ალექსანდრე ნეველის ტაძრის მღვდლად დამნიშნეს 1867-1868 წლებში. გზად გამოიარა დამ განსვენებულ ნ. ბარათაშვილისამ, დამოჟნის მოხელეს ბარათაშვილისავე მეუღლემ და მთხოვა, პანაშვიდი გადამეხადნა, მისის ძმის სულის მოსახსენებლად. მე არ ვიცოდი, სად იყო განსვენებული დასაფლავებული, და მისმა დამ მაჩვენა ეს ადგილი. ამასთან, მითხრა, რომ განსვენებულის საფლავის ქვის შუაგული მარმარილო წარწერითურთ ეკლესიაშია შენახული და ქვა კი დაიმფხვნა, წვიმა-ნიაღვარისაგან გაუქმდაო. მე იმის ჩვენებისამებრ გადავიხადე პანაშვიდი. ის ქვა მართლაც ეკლესიაშია და ეხლაც მაქვს შენახული. ასლი მისის ზედ წარწერისა გამოვუგზავნე კიდეც გენერალს კონსტანტინე მამაცაშვილს და გიორგი სპირიდონის ძე განზიელს, განჯის მაზრის უფროსად ნამყოფს. ამიტომ მართალი არ არის ის ცნობა, ვითომ განსვენებულის ნ. ბარათაშვილის სამარე დაკარგული იყოს და აღარავინ იცოდეს მისი ადგილი".**

მართლაც, რამდენიმეთვიანი მომზადების შემდეგ, 1893 წლის აპრილში პოეტის ნეშტის ელიზავეტოპოლიდან თბილისში გადმოსვენება დაევალა პოეტის ნათესავს, თავად გიორგი ილიას ძე ორბელიანს და წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრებს - გ. ნ. იოსელიანსა და ალექსანდრე ჭყონიას. 23 აპრილს ისინი ელიზავეტოპოლში ჩავიდნენ და მეორე დღეს, 24 აპრილს, პოეტის ნეშტს მიაგნეს. გვამის ამოსვენების შემდეგ პანაშვიდი გადაიხადა ელიზავეტოპოლის სამღვდელოებამ ქართულ ენაზე მშვენიერი ქართული გალობითვე, სადაც დეკანოზმა მიხეილმა იქ მყოფთ სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ ქართველებმა უდიდესი ვალი მოიხადეს, ძველ მამამთავართაგან დავედრებული, და მშობელს ქვეყანას მიაბარეს ძვლები იმ კაცისა, რომელსაც თვისვე მამულის ბედი და უბედურება აფიქრებდა. დეკანოზ მიხეილის თაოსნობით სამღვდელოებამ რკინიგზის სადგურამდე მიაცილა პოეტის ცხედარი და დასასრულს, „წმიდაო ღმერთოს" გალობით შეასვენეს კუბო სპეციალურად მომზადებულ ვაგონში და თავ-ფეხთით სანთლები დაუნთეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი

1895 წლის ოქტომბერში ქართველმა საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის 50 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საეგზარქოსოს პროვინციებში შეიქმნა კომიტეტები, რათა მათაც აღენიშნათ მგოსნის იუბილე. 22 ოქტომბერს ქ. ელიზავეტოპოლის ტაძარში წირვის შემდეგ დეკანოზმა მიხეილმა გადაიხადა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ თითქმის მთელი განჯის ქართველობა. პარაკლისის დაწყების წინ, დეკანოზმა მიხეილმა ქადაგებით მიმართა მრევლს და მოუთხრო რაფიელ ერისთავის მოღვაწეობა ლიტერატურულ ასპარეზზე:

„სასიხარულო შემთხვევაა ის, რისთვისაც ჩვენ შევიკრიბენით დღეს ამ წმიდა ეკლესიაში, ივერიელნო!

საგანი ამ სასიხარულო დღესასწაულისა არის ჩვენი დიდად პატივსაცემელი, ღვაწლით შემოსილი პოეტი თ. რაფ. ერისთავი. ვინ არ იცნობს ამ კაცს? ვისაც კი რაიმე შეუსწავლია ამ ორმოცდაათის წლის განმავლობაში, ვგონებ, ამ სამშობლოს მოყვარულს ადამიანს ყველა ჩვენგანი იცნობს. დღეს 50 წელი შესრულდა, რაც ეს კაცი დაუღალავად და უსასყიდლოდ მუშაობს ქართულ მწერლობისათვის. ადვილი არ არის ამ დროში კაცი სრული ნახევარი საუკუნე ემსახუროს უბიწოდ და ერთგულად სიმართლესა და სამშობლოსა, როგორც ჩვენი საყვარელი პოეტი რაფიელი. უეჭველად ამისთანა შემთხვევაში უნდა წინ უძღოდეს კაცს განგება ღვთისა და ეწეოდეს მადლი და წყალობა მისი. სამოცდათერთმეტი წლის მოხუცი რაფიელი დღესაც კიდეც არ აძლევს მოსვენებასა თავისს მოხუცებისაგან დასუსტებულს მარჯვენასა და კვლავ ამდიდრებს ქართულ მწერლობასა თავისის მამულისშვილების სახელმძღვანელოდ. რაფიელის ქართული სამწერლო ქმნილებანი მრავალია და ქართველი ხალხის აღზრდას, მის წარმომდინარეობას და ღირსებას უმეტესად შეეხება და არ ვიცი, რომელი მათგანი ამჟამად მის სახსოვრად მოვიხსენიო. უმეტესად ღირსია ყურადღებისა მისი „სამშობლო ხევსურისა“ და ის ლექსები, რომელნიც შეეხებიან გლეხ-კაცის ყოფა-მდგომარეობას. ეს ლექსები შეიცავენ ღრმა აზრებსა, შესანიშნავ გულასაძგერებელს მოძღვრებას და კაცთ-მოყვარეობის მოვალეობის აღსრულებას აღუძრავენ ყოველს უგრძნობელსაც, არამცთუ გრძნობიერს ქართველს. ჭეშმარიტად სანატრელია ამისთანა კაცი ყველა ეროვნებაში. ნეტარება იმისთანა მოკვდავს, რომელიც თავისის ღვაწლით და დაუღალავის ფიქრით და შრომით თავისს თავს უკვდავ მოსახსენებლად გაუხდის თავისს ერის შთამომავლობას. ვინ არ უნდა მიჰბაძოს ამისთანა კაცსა, ვინ არ უნდა ეცადოს ამისთანა ქართველობასა! წარმოიდგინეთ, რა დიდი ზნეობრივი სწავლა ისახვის თ. რაფიელის ლექსებში გლეხის შესახებ, რომელშიაც ის მარტავს სიყვარულსა და სიბრალულს თავისს უმცროს მოძმისადმი, — ბედისაგან დავიწყებულ და დამდაბლებულ გლეხისადმი — და აღულორძინებს კაცსა სურვილსა და მოვალეობას მისის აღდგინებისათვის. ლექსში: „სამშობლო ხევსურისა“ პოეტი უღვიძებს კაცს სამშობლოს ერთგულს მოვალეობას და სიყვარულს. უნდა გვრწამდეს, რომ ღმერთს უყვარს ის ხალხი, რომელსაც ამისთანა კაცებს გამოუჩენს, გაუზრდის და უცოცხლებს დიდხანს, რადგანაც ესენი შეადგენენ შთამომავლობისათვის დაუფასებელ საუნჯეს.

შეიძლება ეს კაცი ამ 50 წლის განმავლობაში, დაუღალავად მშრომელი სამწერლო ასპარეზზედ, არავითარის ყურადღებისა და ჯილდოს ღირსად არა ჰრაცხდა თავისს შრომასა, მაგრამ დროებამ და ეროვნულმა გრძნობამ დღეს თითონ დააფასეს ეს კაცი და მისი ღვაწლი. მთელი საქართველო დღეს შემოკრებილა და გულით დღესასწაულობს იმის 50 წლის იუბულეს; ათასნაირად ცდილობს საქართველო ღირსი და ჭეშმარიტი მადლობა გამოუცხადოს თავისს საყვარელსა და დაუფასებელს პოეტსა. ამისათვის სხვა ქართველთა შორის ვთხოვოთ, ძმანო და დანო, მას, რათა ჩვენც გვიგულოს თავის ღრმად პატივისმცემელად. ჩვენც აქ, წინაშე მღვთისა, გარდავიხადოთ მისი სადღეგრძელო პარაკლისი, შეევევედრნეთ მის მოსახელე წმიდა ანგელოსს რაფიელს, რათა დაიცვას შემდეგისათვისაც მისი სიცოცხლე მრავალჟამიერ“. იმავე საღამოს გაიმართა რაფიელის სახელობაზე ქართული წარმოდგენა, სადაც წაიკითხეს მისი ლექსები. აქვე შეიკრიბა მცირედი თანხა — 100 მანეთი იუბილარის სახელობაზე.

1894 წლის 15 მაისს დეკანოზი მიხეილის წმ. ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1897 წლის 6 მა-

დეკანოზი მიხეილ მძინარაშვილი (ზის ცენტრში) ელიზავეტოპოლის ოლქის სამღვდელოებასთან ერთად

ისს წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1902 წელს წმ. ვლადიმერის III ხარისხის ორდენი მიიღო. 1912 წლის 15 მაისს ენქერი უბოძეს. 1914 წლის 23 იანვარს, თავისი თხოვნით, გათავისუფლდა ელიზავეტოპოლის სამრევლოდან. 1914 წლის 13 მარტს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1915 წლის 5 თებერვალს, მოხუცებულობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო, პენსიაზე გავიდა.

დეკანოზი მიხეილი 1917 წლის 21 ივნისს, ქ. თბილისში, მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. მისი ცხედარი ქაშვეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაასვენეს, სადაც 25 ივნისს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მოსაყდრემ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) ადგილობრივი სამღვდელოების თანამწირველობით შეასრულა წირვა და წესის აგება. ღვაწლმოსილი დეკანოზი ქაშვეთის ტაძრის ეზოში დაკრძალეს. მას ჰყავდა მეუღლე — ალექსანდრა სოლომონის ასული (დაბ. 1847წ.) და შვილები: მართა (დაბ. 1868წ.), ელისაბედი (დაბ. 1870წ.), მიხეილი (დაბ. 1878წ.), ალექსანდრა (დაბ. 1880წ.), გიორგი (დაბ. 1883წ.), ევსტათი (დაბ. 1885წ.), სოლომონი (დაბ. 1887წ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე 21454; ფ. 489, აღწერა 1, საქმე 43908; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1894წ. 13; 1897წ. 11; 1902წ. 11; გაზეთი „ივერია" 1892წ. 223, გვ. 2; 1893წ. 87, გვ. 3; 88, გვ. 3; 1895წ. 235, გვ. 2-3; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1912წ. 11; 1914წ. 5; 8; 1915წ. 4; გაზეთი „სახალხო ფურცელი" 1917წ., 898, გვ. 1.

ლიტ: აპ. თაბუაშვილი „ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები" (XVIII ს-ის II ნახ.), ქ. თბილისი, 2013წ., გვ. 72.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41
რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი ონისიმე ხიზანიშვილი „კეთილი და ხალხის გულშემატკივარი კაცი“ 1869-1930

დეკანოზი ონისიმე დავითის ძე ხიზანიშვილი 1869 წელს თბილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში მედავითნის ოჯახში დაიბადა. წარჩინებით დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი. 1888 წლის 6 დეკემბრიდან ქვათახევის ღვთისმშობლის მიძინების სახ. მონასტერთან გახსნილ სასწავლებელში ყველა საგნის პედაგოგად დაინიშნა. 1889 წლის 9 ოქტომბერში წინანდლის წმ. გიორგის სახ. ტაძრის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. 1890 წლის 20 ივლისს სტიქარი უკურთხეს. 1891 წლის 12 მარტს თიანეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1891 წლის 7 ივლისს გორის ეპ. ალექსანდრემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა. მამა ონისიმე ჩინებული პედაგოგი გახლდათ. წლების მანძილზე იგი დაუზარელად იღვწოდა მომავალი თაობების აღზრდისათვის. ამისთვის მას არაერთი მადლობა აქვს მიღებული. თიანეთში იმ პერიოდში იყო ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლა, სადაც დიდად ისახელა თავი მოძღვარმა. 1895 წელს ქართული პრესა მის შესახებ წერდა: **„ადგილობრივი მთავარ-დიაკონი ონისიმე ხიზანიშვილი თითქმის ორი წელიწადი ასწავლიდა საღმრთო სჯულს კოშორიძის მაგიერად და არაფერი ჯილდო კი არ ეძლეოდა ამ შრომისათვის. სინდისის ქვეშ უნდა ვსთქვათ, რომ ხიზანიშვილი მეტად ბეჯითად ეკიდებოდა ამ კეთილ საქმეს: შეგირდებმა მშვენივრად შეისწავლეს საღმრთო ისტორია, რაც ცხადად დამტკიცდა ეგზამენებზედ გამოცდის დროს. მაგრამ მთავარს ხიზანიშვილსაც მოსწყინდა ეს უსარგებლო შრომა, გული აუცრუვდა და იმანაც შესწყვიტა შეგირდების სწავლება. ან კი ვინ დაემდურება, პირიქით, იმ შრომისა და ღვაწლისათვის, რაც მან სკოლას დასდო, დიდის მადლობის ღირსია“.**

1895 წლის 30 მაისს დიაკვანი ონისიმე გორის „ოქონის“ ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძრის კრებულში გადაიყვანეს. 1895 წლის 9 სექტემბერს იმავე ტაძართან არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლის გალობის პედაგოგად დაინიშნა. 1897 წლის 14 თებერვლიდან საღვთო სჯულის სწავლებაც მასვე შეუთავსეს, ხოლო იმავე წლის 15 ივლისს დამტკიცდა ამ პოსტზე. მისი აქტიური და ენერგიული სამსახური შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართული პრესისთვის, სადაც პატარა სტატიაც დაიწერა: **„გორი. აქ გამოჩნდა ერთი კეთილი და ხალხის გულშემატკივარი კაცი, მამა ო. ხიზანიშვილი. ო. ხიზანიშვილი მთავარია (იგულისხმება — დიაკვანი — გ.მ.) და დიდი ყურადღება დაიმსახურა აქაურის საზოგადოებისა თავისის მშვენიერის სწავლა-ქადაგებით. ხიზანიშვილი ქადაგებს ძალიან ხშირად, თავისს ქადაგებაში ხალხს უხსნის ქრისტეს სწავლას და ეხება ზნეობრივ და გონებრივ მხარეს ჩვენის დაბალის საზოგადოებისას; ამასთანავე, ქადაგებას ამბობს წმინდა ქართულის ენით, ყველასთვის ადვილად გასაგებად. ხალხი მადლიერია და გახარებული ამ ამბით. მრავალი მლოცველი დაიარება იმ ეკლესიაში, სადაც ხიზანიშვილი დაესწრება ხოლმე. გორი ფრიად ჩამორჩენილი ქალაქია ყველაფრით. აქ არ მოიპოვება არც სამკურნალო, არც სამკითხველო, არც სხვა ამგვარი დაწესებულება. აქაური მცხოვრებნი ჭორაობასა და ერთმანეთის კიცხვაში ატარებენ დროს. ამიტომ გამუდმებული სწავლა-ქადაგება მამა ხიზანიშვილისა ამისთანა ადგილას, ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიყვარული, შრომა და მეცადინეობა ასეთის კაცისა ნაყოფს მოუტანს ხალხს, კეთილ აზრებს ჩაუნერგავს და ცოტად თუ ბევრად ნათელს მოჰფენს გორის წყვდიადით მოცულ არე-მარეს“.**

1897 წლის 26 ივნისს იგი გორის საკათედრო ტაძართან არსებული მშენებარე ორგანყოფილებიანი სამრევლო სკოლის აღმშენებელი კომიტეტის წევრად აირჩიეს, სადაც დიაკვანმა ონისიმემ ასევე გამოიჩინა თავი. ოქტომბრის დასაწყისში სკოლა უკვე მზად იყო. შენობა ორი დიდი ოთახისგან შედგებოდა. მისი აგება 1300 მან. დაჯდა. 1897 წლის 5 ოქტომბერს გამზადებული სკოლა დიდი ზარზეიმით აკურთხეს. გაზ. „ივერია“ გამოეხმაურა ამ ამბავს: **„სკოლის კურთხევაზედ მოწვეულ იქმნენ ყველა გორის დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მოსამსახურენი... წირვაზედ გალობდნენ ამავე სკოლის მოსწავლე ქალნი რუსულად გალობის მასწავლებელ მთავარდიაკვან მ. ონისიმე ხიზანიშვილის ლოტბარობით. წირვის შემდეგ შეიკრიბნენ ახლად აგებულის სკოლის შენობაში სა-**

კურთხებლად. პარაკლისის დაწყებამდე ბლაღოჩინმა მ. ტატიშვილმა რუსულად წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც განუმარტა იქ დამსწრე საზოგადოებას სკოლის წინმსვლელობა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ქართულად მთავარდიაკვანმა მ. ონისიმე ხიზანიშვილმა, რომლითაც დიდად ნასიამოვნები დარჩნენ მსმენელ-მაყურებელნი. მ. ხიზანიშვილს საზოგადოდ არა ერთხელ წარმოუთქვამს მშვენიერი ქადაგება ეკლესიაში. მის ქადაგებას სიამოვნებით ისმენენ მლოცველნი, რადგან მდაბიო ხალხს მარტივად ესმის მისი გარკვეული ლაპარაკი. ამასთანავე სასიამოვნოდ გვრჩება ის გარემოება, რომ მ. ხიზანიშვილს გორის საკრებულო ტაძრის სკოლის ქალთაგან მგალობელთა გუნდი ჰყავს, რომელიც გალობს ქართულად და რუსულად". 1897 წლის 30 ნოემბერს სკოლაში განეული ღვაწლისათვის დიაკვან ონისიმეს მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა.

დეკანოზი ონისიმე ოჯახთან ერთად.

1898 წლის 12 მაისს, 1899 წლის 16 თებერვალსა და 1900 წლის 5 მაისს საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) პედაგოგიურ დარგში ნაყოფიერი სამსახურისთვის მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1900 წლის 6 მაისს სახალხო განათლების დარგში მრავალწლიანი ნაყოფიერი პედაგოგიური სამსახურისთვის რუსეთის წმ. სინოდმა მადლობის სიგელი გადასცა. 1901 წლის 5 აგვისტოს მღვდლად დაასხეს ხელი და კარალეთის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში დაადგინეს. 1904 წლის 3 თებერვალს გორის ღვთისმშობლის „ოქონის" სახ. ტაძარში მედავითნის შტატში გადაიყვანეს. 1906 წლის 6 თებერვლიდან იმავე ეკლესიასთან არსებული ქალთა ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგია. 1906 წლის 12 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1908 წლის 25 ნოემბერს სკუფია უბოძეს. 1908 წლის 30 ივლისს გორის სანთლის ქარხნის სარევიზიო კომიტეტის წევრად აირჩიეს. 1914 წლის 28 თებერვალს ხეითის მიქაელ მთავარანგელოზის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1915 წლის 15 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1915 წელს პირველ მსოფლიო ომის დროს ვარშავასთან ახლოს მოკლეს თავადი სვიმონ ალექსანდრეს ძე მაჩაბელი. კიდევ ერთი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე ჩაქრა ნაადრევად და ისიც უცხო მიწაზე. გარდაცვლილის ნეშტი სამშობლოში ჩამოასვენეს და მშობლიურ სოფელში მიასვენეს. პანაშვიდზე მღვდელმა ონისიმემ აღნიშნა: **„ღვთისმშობელი დედის წყლულება-იარანი თავის ძის ჯვარცმაზედ განიკურნა იმით, რომ ქრისტემან განამართლა სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა და ცხოვრების მინიჭება... ღმერთმა ინებოს, რომ დღევანდელი დღე ჩვენი დედების რჩეული და საუკეთესო შვილების განგმირვით მოსპობილიყოს კაცის სისხლის ღვრა, რომელიც არ შეესაბამება მეოცე საუკუნეს".** 1916 წელს მღვდელი ონისიმე I მსოფლიო ომში კაპელანად წავიდა. უპატრონოდ დარჩა მისი გახსნილი სკოლაც. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო" წერდა: **„ლიახვის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფლები მეტად ჩამორჩენილია ყოველიფერით უკან. აქ არის სოფლები: სვერი, ქემერტი, ძარწემი და ხეითი. ამ სოფლებში წერა-კითხვის მცოდნე სამთლით საძებარია. სოფ. ქემერტში სკოლის დაარსებაც გადაწყვეტილია. განაჩენი ხალხმა დაადგინა, მაგრამ ჯერ ვერ ეღირსნენ სკოლას. სოფ. ხეითის მღვდელმა ონისიმე ხიზანიშვილმა სკოლა გახსნა და ჩინებულად იყო დაყენებული სწავლის საქმე, თითონვე ასწავლიდა, მაგრამ ნივთიერ ხელმოკლეობის გამო თვით ეს მღვდელი სამხედრო სამსახურში შევიდა, სკოლა კი უპატრონოდ დარჩა".**

1919 წლის 29 მარტს საქართველოს I ცხენოსანი პოლკის კაპელანია და ამ პოლკის მეთაური, გენერალ-მაიორი რატიშვილი, ბრიგადის გენერალ ერისთავის წარდგინებით, კათოლიკოს-პატრი-

არქ ლეონიდეს (ოქროპირიძე) მღვდელ ონისიმეს ერთგული სამსახურისათვის დეკანოზად დაჯილდოებას სთხოვს, რაზედაც უწმინდესი ლეონიდე პასუხობს: **„საქართველოს ეკლესიაში ყოველგვარი ჯილდოები მოსპობილია. ვსწუხვარ, რომ მოკლებული ვარ ამ ღირსეული მღვდლის დაჯილდოებით სიამოვნებას“.** საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ გაუქმდა ჯარში კაპელანების ინსტიტუტი და მღვდელი ონისიმე ურბნისის ეპარქიაში, ცერონისის ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძარში დაინიშნა. 1923 წლის 2 სექტემბერს შეიკრიბა ურბნისის წმ. სტეფანე პირველდიაკვნის სახ. ტაძრის სამრევლო საბჭო და მღვდლად აირჩიეს სოფ. ცერონისის სამრევლოს მღვდელი ონისიმე დავითის ძე ხიზანიშვილი. იმავე წლის 29 ოქტომბერს საკათოლიკოსო საბჭომ იგი წინამძღვრად დაამტკიცა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1922/1923 წლებში და 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების დროს ხელისუფლებამ მრავალი სასულიერი პირი დახვრიტა, ზოგიც ამ ამბის შემხედვარე შეშინდა და უარი თქვა მსახურებაზე. მათ რიცხვში უნდა იყოს დეკანოზი ონისიმეც, რადგან 1925 წლის 27 ნოემბერს შედგენილ საქართველოს ეკლესიის სამღვდელოების სიაში იგი აღარ იხსენიება მოქმედი სამღვდელოების რიგებში. როგორც ჩანს, მან საერო ასპარეზზე გააგრძელა მოღვაწეობა. ყოფილი მოძღვარი 1930 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალეს 21 ნოემბერს ქ. გორის ერთ-ერთ სასაფლაოზე. მისი მეუღლე იყო მარიამ მიხეილის ასული (დაბ. 1871წ.); შვილები: ვლადიმერი (1891-1961წწ., დაამთავრა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1916 წელს სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემია, მუშაობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში), არჩილი (1893-1960წწ., დაამთავრა კიევის უნივერსიტეტი, მუშაობდა თბილისის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში), თამარი (დაბ. 1900წ.), ქეთევანი (დაბ. 1902წ.).

დეკანოზი ონისიმე ხიზანიშვილი

ასევე სასულიერო პირი გახლდათ მისი უმცროსი ძმა, **მღვდელი თადეოზ ხიზანიშვილი**, რომელიც 1876 წელს დაიბადა. 1894 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი. 1896 წლის 19 დეკემბერს წილკნის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძრის მედავითნედ დაინიშნა. 1898 წლის 13 აპრილს ელიზავეტოპოლის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. საკათედრო ტაძარში გადაიყვანეს. 1901 წლის 11 აგვისტოს გორის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარში განამწესეს. 1902 წლის 24 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) დიაკვნად აკურთხა. 1903 წლის 11 სექტემბერს გორის ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძართან არსებულ სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1909 წლის 14 თებერვალს გორის მაზრის VI ოლქის სამთავარხუცესო საბჭოს წევრად აირჩიეს. 1911 წლის 16 იანვარს გორის „ოქონის“ ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში გადაიყვანეს. 1914 წლის 3 აგვისტოს საქართველოს ეგზარქოსმა პიტირიმმა (ოკნოვი) მღვდლად დაასხა ხელი და თორტიზას ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში განამწესა. 1918 წლის 15 მაისს საგვერდულით დაჯილდოვდა და ამ დროს ხეითის მიქაელ მთავარანგელოზის სახ. ტაძრის წინამძღვარია. 1925 წლის 27 ნოემბერს, 1926 წლის 23 მაისსა და 1928 წლის 30 მარტს კვლავ ამ ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. იმ პერიოდში შეთავსებით ემსახურებოდა ახლო მდებარე 12 სოფელსაც. 1926 წლის 23 დეკემბერს ცხინვალი-ნიქოზის ოლქის მთავარხუცესი, მღვდელი ვასილ ხიდაშელი ურბნისის საეპარქიო კანცელარიას სწერდა: **„ხეითის მღვდ. ხიზანიშვილს უჭირავს სამი მოქმედი ეკლესია. წმ. ოდიკისა და დაწესებული ხარჯების შესახებ მრავალგზის მივმართე წერილობით და უფრო მეტჯერ სიტყვიერად (ცხოვრობს ჩემს მახლობლად), მაგრამ იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჩემს მიმართვებს. უკანასკნელი გაუგზავნე ამა წლის 19 ოქტომბერს. ოდიკის შეძენის შესახებ გადაჭრით და აღელვებით მითხრა: „მე არაფერს არ გადავიხდი და არც წერილობით პასუხს მოგცემ, შენ რაც გინდა ის მისწერე მთავრობასო“.** 1927 წლის 24 აგვისტოს ურბნელმა ეპისკოპოსმა სვიმონმა (ჭელიძე) გორის საკათედრო ტაძარში ჩაატარა ურბნისის-მაწყვერის საეპარქიო კრება, სადაც თავადვე იყო თავმჯდომარე, ხოლო კრების მდივნად მღვდელი თადეოზი იქნა არჩეული. იმავე კრებაზე საქართველოს მეოთხე საეკლესიო კრებაზე დამსწრე დელეგატად გამოარჩიეს, თუმცა შემდგომში კრებაზე მხოლოდ ოთხი კაცი

გაიგზავნა. 1929 წლის ოქტომბერში მღვდელი თადეოზი ცხინვალი-ნიქოზის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1929 წლის 13 ნოემბერს მღვდელი თადეოზი ურბნელ ეპისკოპოს სვიმეონს (ჭელიძე) სწერდა: **„მოგახსენებთ, მეუფეო, რომ ჩვენ გახლდით მიწვეული ერედვში, ქრისტიანული წესის შესასრულებლად ამა წლის ნოემბრის 4-ში, იქიდან რომ დავბრუნდით მე და მედავითნე მიხ. გვარამაძე, გზაში დაგხვდა ორი კაცი, ე. ი. გზის პირას ისხდნენ და რომ მიუახლოვდით, წამოდგნენ ფეხზე და გვითხრეს: „თქვენ კიდევ არ იშლით ამ ერედვში სიარულსო?!" მე ვუთხარი, ვინც მეძახის მე მასთან მივდივარ და თქვენ რა გინდათ, მე ხომ თქვენთან არ მოვდივარ-მეთქი. ეს თქმა იყო და დამიშვეს კეტი თავში. დარტმისაგან დავეცი ძირს და შეუბრალებლივ მცემეს როგორც მე, აგრეთვე მედავითნე. მას შემდეგ ავად გახლავართ, რადგან თავი გატეხილი მაქვს და სახეც დასიებული, რამაც შეაგვიანა თქვენი მეორე ნახევრის გადასახადის გამოგზავნა, მაქვს ექიმის მოწმობა. მივმართე აქაურ პროკურორს წერილით, მაგრა,მ ზედაც არ დახედა და უკანვე მომცა, გაიგე, ვინცა გცემა და პირდაპირ სასამართლოში მიეცი ეგ ქაღალდიო. ამასთან ერთად, გეგზავნებათ საჩივრის ასლი, რომელშიაც ნაჩვენებია, თუ ვინ იყო ამის მომქმედი და ვსთხოვე, რომ ის დაეჭირა და თვითონ ეთქმევინებინათ, თუ ვინ იყვნენ, რადგან მათი ინიციატივით იყო მოწყობილი ეს საქმე; თვით არ გამოჩნდა და სხვები ჩამისაფრა გზაში. ეს გახლავთ, სოფ. ერედვში მცხოვრები გიგა ალექსის ძე ტარიელაშვილი, რომელიც ზაფხულიდან მიკრძალავს იქ სიარულს ქრისტიანული წესების შესასრულებლად. მოგახსენეთ რა ყოველივე ესე, გთხოვთ მაინც იშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს, რომ მოეთხოვოს პასუხი და თუ მართლა ჩვენ არა შეგვიძლია რა, მაშინ სამუდამოდ მოგვხსნას მთავრობამ. ფულსაც ამ მოკლე ხანში გადმოვგზავნი".** 1929 წლის 17 ნოემბერს, თავის მხრივ, ეპისკოპოსმა სვიმეონმა საკათოლიკოსო სინოდს მისწერა ამის თაობაზე, თუმცა იმჟამინდელ უღმერთო ხანაში პატრონი და მშველელი არავინ იყო. 1930 წლის 3 ოქტომბერს მღვდელი თადეოზი აღარ იხსენიება მოქმედი სამღვდელოების რიგებში. განაწამები მოძღვარი 1935 წლის 30 მარტს გარდაიცვალა. იგი 4 აპრილს დაკრძალეს. ჰყავდა მეუღლე — დარეჯან მიხეილის ასული გოგიჩაშვილი (დაბ. 1880წ.) და შვილები: ვახტანგი (1902-1965წწ.), ირაკლი (დაბ. 1908წ.), დავითი.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 42126; საქმე 43911; საქმე 57625; საქმე 57635; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 691, გვ. 9-10; საქმე 1509, გვ. 37; საქმე 1606, გვ. 15; გვ. 104; გვ. 116; საქმე 1630; საქმე 1973, გვ. 27-28; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1895წ. 13; 1897წ. 15; 1901წ. 15-16; 17-18; გაზ. „ივერია" 1895წ. 264, გვ. 1-3; 1897წ. 90, გვ. 2; 217, გვ. 3; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1911წ. 3; 1914წ. 16; გაზ. „ახალი ქართლი" 1915წ. 37, გვ. 2; გაზეთი „საქართველო" 1917წ. 3, გვ. 4; გაზეთი „კომუნისტი" 1930წ. 272, გვ. 4; 1935წ. 77, გვ. 4; გაზეთი „თბილისი" 1960წ. 167, გვ. 4; 1961წ. 12, გვ. 4; 1965წ. 97, გვ. 4.

მღვდელი თადეოზ ხიზანიშვილი მეუღლესთან ერთად

ისტორიის ფურცელი

მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური) (1774-1830)

„.... თორემ დაღუპავთ საშშობლოს, ეკლესიას და თქვენს თავსაო, არაფერ კეთილს არ დაგაყრიან რუსებიო"

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის არაერთმა სასულიერო მსახურმა გაითქვა სახელი თავისი საგანმარათლებლო მოღვაწეობით, ეკლესია-მონასტრების აღმაშენებლობითი და სამისიონერო საქმიანობით. მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური) სწორედ ამ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნება.

მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი დაიბადა 1774 წლის 24 ოქტომბერს, დუშეთის მაზრის სოფელ იკოთში. ნათლობის სახელი ყოფილა დიმიტრი. მისი მამა, აზნაური არჯევან ფიცხელაური, „სოფლიდან გასულად" ე.ი. მიცვალებულად იხსენიება 1793 წლის 9 ოქტომბრის საბუთში. იგი იყო ქსნის ერისთავის მოურავი. დედა, მარინე მაღალაანთ ქალი იყო, რადგან დოსითეოსი მოიხსენიება სახლთუხუცესის დისშვილად („პლემიანიკად") სახლთუხუცესები კი მაღალაშვილები იყვნენ.

პატარა დიმიტრის ღვთის შიში და სიყვარული, სოფლის გოგო-ბიჭების დახმარება ბავშვობიდანვე მოჰყვებოდა.

დოსითეოსის შთამომავალი, სოფლის პედაგოგი, 80 წლის კოლია ფიცხელაური ამბობს: „მამაჩემ ვახტანგისაგან გამიგონია, რომ დოსითეოსი პატარაობისას, მთელი დღე ჩვენს უკან მდებარე ეკლესიაში ატარებდა.

იქ ისმენდა და იზეპირებდა ლოცვებს და მღვდელის ქადაგებებს. დედამისმა ასწავლა თურმე წერა-კითხვა და ხელს უწყობდა ეკლესიის მსახური გამხდარიყო". მართლაც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭაბუკ დიმიტრის ღვთისმსახურების საწყისი მუხტი სწორედ, მისი საცხოვრისის მიმდებარე ეკლესიაში ლოცვა-ქადაგების მოსმენისას და ღრმადმორწმუნე დედის მიერ ოჯახში ეკლესიური გარემოს შექმნის წყლობით ჩაიდო.

ამის საფუძველზე უკვე მოზარდმა დიმიტრიმ მტკიცედ გადაწყვიტა ქრისტეს მაცხოვნებელ გზას შესდგომოდა და ულიერი ცხოვრების ახალი განცდა იქაური ეკლესიის მნათეს გაუზიარა, იმან კი მოძღვართან უშუამდგომლა. მღვდელმა, რა თმა უნდა, მოუწონა გადაწყვეტილება და შემდეგ - ყველაფერი ღვთის ნებით მოხდა.

17 წლის ასაკში, 1791 წლის 24 მარტს, სოფლიდან 5 კგ.-ზე, უდაბნოში, უკაცრიელ, დაბურულ ტყეში მდებარე ხოფის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ბერად აღიკვეცა დოსითეოსის სახელით. იქ მან, მარტოსულმა, ოთხი წელი გაატარა ღვთის მორჩილებაში. 1794 წლის 1 ოქტომბერს ხელდასმული იქნა იეროდიაკენად; 1795 წლის 4 მაისს ერეკლე II-ის თანხმობით, იგი დადეგნილი იქნა აღნიშნული ხოფის მონასტრის წინამძღვრად არქიმანდრიტის წოდების მინიჭებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა დოსითეოსმა გულმხურვალე მარხვა-ლოცვების გარდა არაერთხელ შემოსეული მტრების მიერ დანგრეული მონასტრის მშენებლობა-აღდგენითაც გამოიჩინა თავი.

პროფ. პ. ზაქარიას მოკვლევით, ხოფის მონასტერი, რთული რელიეფური მდებარეობის მიუხედავად, XVIII ს. ბოლოს არის განახლებული. ესე იგი, ჩრდილოეთის მხრიდან მას მიაშენეს პირველი კარიბჭე, ხოლო მოგვიანებით სამხრეთით, მეორე, უფრო მოზრდილი და პირველზე უკეთ მორთულ-მოხატული კარიბჭე, რომელსაც დაშენებული აქვს სამრეკლო. იქვე, ახლოს განთავსებულია სატრაპეზო.

სწორედ ამ წლებში (1791-1801წწ.) აქ, ჯერ ოთხი წელი ღვთის მორჩილებაში, შემდეგ კი ექვსი წელი მონასტრის წინამძღვრის საეკლესიო მსახურებაში გაატარა დოსითეოს ფიცხელაურმა.

მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან მამა დოსითეოსი სწრაფად წინაურდება. იგი ანტონ II-ის ერთგულთა რიცხვს მიეკუთვნება და მადლიერი კათოლიკოსი მისთვის, როგორც ნიჭიერი ღვთისმსახურისათვის, წყალობას არ იშურებს. ანტონ II გახლდათ ერეკლე მეფის და დარეჯან დედოფლის მესამე ვაჟი და მისი წყალობა-შეწევნა დიდი პატივი და ღირსება იყო დოსითეოსისათვის. 1801 წელს მან დოსიდეოსს მიანდო იკორთის მონასტრის წინამძღვრობა, ხოლო იმავე წლის შემოდგომას ქვათახევის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ათანასეს (თარხნიშვილი) გარდაცვალების გამო აღნიშნული მონასტრის წინამძღვრობა მამა დოსითეოსს ჩააბარეს.

მამა დოსითეოსმა და მისმა წინამორბედმა არქიმანდრიტმა ათანასემ დიდი ძალისხმევით შეძლო ლეკთაგან მონასტრის დაცვა და აღორძინება. მათ, დიდად იღვაწეს, ჯერ კიდევ თემურლენგის მიერ

აოხრებული სოფელ კავთისხევისა და ქვათახევის მონასტრისათვის. აღაშენეს ისინი და ახლო-მახლო მცხოვრებნიც დაიცვეს.

იოანე ბატონიშვილი დოსითეოსს ფიცხელაურზე წერს: „ესე არს წერილთა შინა გამოცდილი და უბნობათა შინა რიტორი. ამანაც იღვაწა მსგავსად პირველისა და განაახლა ხელახლად მონასტერი და დაადგინა ბერები, ძველ სავანეს განუმრავლა შემოსავალი". (კალმასობა, ტომი II, გვ.207).

1803 წელს დოსითეოსს დროებით წილკნის ეპარქიის მართვაც მიანდეს. იგი ჩვეული მონდომებით და ენერგიით ბევრს დადის სოფლებში და მოსახლეობაში ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ქადაგებს.

გამოჩენილი ერთგულებისა და თავდადებისათვის 1806 წლის 14 ივნისს ანტონ II-მ დოსითეოსს შიომღვიმისა და თორის მონასტერთა წინამძღვრობა უბოძა, ხოლო 1808 წლის 31 დეკემბრიდან მასვე ჩააბარა ურბნისის ეპარქიაც. ასე, რომ 1810 წლისათვის 36 წლის ასაკში დოსითეოსი უკვე ხუთი ეპარქიის - იკორთის, ქვათახევის, შიომღვიმის, თირის და ურბნისის - წინამძღვარი იყო. (სსმ, სდ 2172). ამას, რა თქმა უნდა, ხოფის მონასტერში ათწლიანი საეკლესიო მსახურებაც დაემატება და დგინდება, რომ რუსეთში გამგზავრებამდის მას უკვე საკმაოდ ღვთისმსახურების გამოცდილება ჰქონია მიღებული.

ცნობილია, რომ რუსეთის რეაქციული ძალები საქართველოს ეკლესიის მმართველობაში არევ-დარევის შეტანის მიზნით მათ ქართულ სასულიერო პირებს შორის მტრობისა და შუღლის ჩამოგდება დაიწყეს. პირველ რიგში გამოიყენეს „თავხედი, ამპარტავანი და გულფიცხი" თბილელი მიტროპოლიტი არსენი, რომელიც წარმოშობით ბაგრატიონი იყო. ასეთი თვისების მქონე პიროვნება არც კათოლიკოსს და არც სხვა ქართველ სასულიერო პირების ავტორიტეტს არ ცნობდა და ხშირად ეკლესიაში აყალმაყალის და დებოშის ამტეხი იყო. მან 1809 წლის 12 დეკემბერსაც გამოავლინა ასეთი რამ. მაშინ, როდესაც სიონის ტაძარში იმპერატორ ალექსანდრე პირველს დაბადების დღისადმი მიძღვნილ წირვა-ლოცვას აღავლენდნენ, სრულიად გაუგებარ ვითარებაში თბილელმა არსენმა კათოლიკოს-პატრიარქის, მთავარმართებლის და სხვა საეკლესიო მსახურთა თანდასწრებით საკურთხეველში სცემა და გარეთ გაგდებას უპირებდა დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილს, ხოლო მთავარეპისკოპოს ვარლამს და არქიმანდრიტ დოსითეოსს სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა, რამაც იქ დამსწრეთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია (ელდ. ბუბულაშვილი, ანტონ II, თბ., 2002, გვ.46).

1810 წლის ნოემბერში, როდესაც კათოლიკოსი ანტონ II რუსეთს იქნა გაწვეული, მან არქიმანდრიტი დოსითეოსიც თან გაიყოლია პეტერბურგში, ხოლო, როცა ანტონ II საცხოვრებლად ნიჟნი-ნოვგოროდში გადავიდა, ღოსითეოსი იმპერატორ ალესანდრე I-ის ბრძანებით დატოვეს პეტერბურგში, რუსული ენის შესასწავლად.

შემდგომ პერიოდში მოვლენები ასე განვითარდა.

1811 წლის 11 სექტემბერს გლახა ჭილაძე პეტერბურგიდან სწერს სამძიმრის წერილს თავის მძახალს, ზაალ ტერიშვილს, ცოლის გარდაცვალების გამო (ზაალის ცოლი კი დოსითეოსის და იყო). ამ წერილში გლახა ჭილაძე იტყობინება: „ჯერ დოსითეოსისათვის არ გამიმჟღავნებია დის სიკვდილი. იგი პეტერბურგის მიტროპოლიტმა თავისთან მიიღო და ეპისკოპოსად კურთხევას უპირებს. დიდ ბედნიერებაში შედგა ფეხი".

ეს კი პერიოდია, როცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მოისპო, კათოლიკოსობა გაუქმდა, რუსული წესები უნდა შემოეღოთ საეკლესიო დარგშიც. ეგზარქიოსად გამოგზავნილი იქნა ქსნის ერისთავის დავითის შვილი ვარლამი, ხოლო მისი ნაცნაურალის შვილი დოსითეოსი დანიშნეს გორის ეპისკოპოსად.

ოსების გაქრისტიანების საკითხი კვლავ წამოიჭრა და ეს საძმე რუსეთის მთავრობამ დოსითეოსს მიანდო. დოსითეოსის მიერ წარდგენილი მოხსენება-პროექტის მიხედვით საქართველოში იქმნებოდა ოსეთის ეპარქია ანანურის და თელავის მაზრებისაგან. ამ ეპარქიასთან არსდებოდა ოსეთის სასულიერო კომისია. ოსეთის ეპარქიის არქიერი საქართველოში დაარსებული სინოდალური კანტორის წევრი იყო. დოსითეოსმა პეტერბურგშივე შეარჩია კომისიის წევრები: ფარსადან ციციშვილი, არქიმანდრიტი ეპიფანე, არქიმანდრიტი ათანასე და სხვა. 1814 წელს იგი პეტერბურგიდან თბილისს გამოემგზავრა (ცსსალ, საქ. 798, ნაწ.I, ფურც.199).

1814 წელს დაარსდა ქართლ-კახეთი - იმერეთის სინოდალური კანტორა და შეიქმნა ოსეთის სასულიერო კომიტეტიც. დოსითეოსი დანიშნეს კანტორის წევრად, ოსეთის ეპარქიის არქიარად და კომისიის ხელმძღვანელად 1814 წლის 30 აგვისტოს მიანიჭეს მთავარეპისკოპოსის წოდება და განამწესეს თელავის და საქართველო-კავკასიის ეპარქიის მმართველად.

მთავარეპისკოპოსმა დოსითეოსმა საქართველოში უმალ თავისი საქმე გააჩაღა.

ამ დროს ოსების მოსახლეობის ნაწილი მაჰმადიანურ სარწმუნოებას ღებულობს. იმდროინდელი გაზეთ „მწყემსის" 2-ის ცნობით: „ადგილობრივი ბლაგოჩინის გადმოცემით - ბევრ ოსურ ოჯახში ნახავთ მართლმადილებელსაც და მიქცეულსაც. ხშირად შეხვდებით, რომ ერთსა და იმავე ოჯახში ცოლი მაჰმადის სარწმუნოების არის და ქმარი მართლმადიდებლური. ან პირიქით, ერთ ოჯახში ზოგი ძმები მართლმადიდებელნი არიან და ზოგნი კი გამაჰმადიანებულნი". ბოლოს, გაზეთის მიმომხილველი (მ.წ.) წერილის დასასრულს დასძენს: „ჩემი აზრით, საჭიროა, რომ აქ გამოგზავნონ მართლმადიდებელი

სარწმუნოების ხეირიანი მქადაგებელნი". და სწორედ, რომ მთავარეპისკოპოსმა დოსითეოსმა ეს საშური სამე დროულად წამოიწყო.

1815 წლის მაისიდან 1816 წლის ბოლომდე გაუქრისტიანებია 10506 ოსი. ამას, გარკვეულწილად ხელი შეუწყო იმან, რომ მამა დოსითეოსმა ცოტა, ოსური ენა იცოდა და ბუნებით იგი კომუნიკაბელური პიროვნები იყო. უფრო მეტიც, მამა დოსითეოსის შეწევნით ზოგი მათგანი ღვთისმსახურად დადგინდა, ხოლო ილარიონ იალღუზიძე, პატარა ლიახვის ხეობაში განთავსებული თირის მონასტერში, მის მიერ იეროდიაკვნად იქნა ხელდასხმული. ყოველივე ამან მას დიდი გავლენა მოუპოვა მთიელ ხალხში. დოსათეოსი ყოველთვის თავგამოდებით ცდილობდა ერისთავების მტრული განწყობილების გამოხატვას, ალექსანდრე I-მა 1814 წლის 30 აგვისტოს ჩამოართვა ქსნის ერისთავებს ქსანი და გვერდისძირი. უამისოდ ქრისტიანობა ვერ გავრცელდება მთიულებშიო, ამტკიცებდა დოსითეოსი.

თბილისის ფერიცვალების მონასტერი. XIX საუკუნის ფოტო

გაქრისტიანებული ოსი უკვე არცერთ მემამულეს აღარ ეკუთვნის, რომ თუ ქრისტიანობას მიიღებდნენ. გათავისუფლდებოდნენ ერისთავის ვალდებულებებისაგან და მხოლოდ სახელმწიფო გადასახადს გადაიხდიდნენ. იგი მხოლოდ სახაზინო გლეხია და ქრისტიანი ბერის გარდა, მათ უფროსი აღარ ეყოლებათ („აქტები". მშ-I, გვ.363). დოსითეოსის ასეთი მოქმედების შედეგად ბევრი გაქრისტიანებული ოსი აღარ უშვებდა თავის ხეობაში მთავრობისაგან გაგზავნილ პირებს. დოსითეოსი ამტკიცებს ერისთავებისათვის მამულის დაბრუნების უკანონობას, მაგრამ იმპერატორის 1817 წლის 12 თებერვლის ბრძანებით, ქსანი და გვერდისძირი დაუბრუნდათ ერისთავებს. ამას თან ერთვოდა ის ამბავიც, ეგზარქოს ვარლაამის (ერისთავი) და მისი ურთიერთობაც თანდათან იძაბებოდა. სიონის ტაძრის დეკანოზი იოანე ოსეშვილი ორივეს მუხლმოდრეკილი ეხვეწებოდა, შურისა და მტრობისათვის თავი დაენებებინათდ „... თორემ დაღუპავთ სამშობლოს, ეკლესიას და თქვენს თავსაცო, არაფერს კეთილს არ დაგაყრიან რუსებიო". ყური არ უგდეს დეკანოზის რჩევას, და როცა ვარლაამ მიტროპოლიტი რუსეთში გაიწვიეს, ხოლო მის მაგივრად რუსი ექზარქოსი დანიშნეს, მაშინ ენიშნათ ოსეშვილის რჩევა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

მათ დაპირისპირებასთან დაკავშირებით კათალიკოს ანტონ II-ს სიტყვებით შეიძლება მოკლე დასკვნის გაკეთება: გამორჩეულმა სასულიერო მოღვაწეებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ მათ „ბევრი მოეთხოვებათ და ცოტა შეენდობათ", რომ მათი გადადგმული ყოველი ნაბიჯი „საშვილიშვილო ტაბლად დაედგმით თვითოეულ მათგანს" და არა მარტო თითოეულ მათგანს, ერის ზნეობასაც ზოგადად. ამიტომ, - ამბობდა კათალიკოსი - ქვეყნის ორგულობა და გამოჩენილ მამულის შვილების ურთიერთ მტრობა, ყველა ეს ისეთი დამნაშაობაა, რომ ყოველგვარ სიგლახეს აჭარბებსო.

დოსითეოსის მიმართაც იგივე სანქცია გამოიყენეს, ე.ი. 1817 წელს ახალმა რუსმა ეგზარქოსმა მთავარეპისკოპოსი დოსითეოსიც გაათავისუფლა ყველა თანამდებობიდან და იგი მოსკოვს გაიწვიეს. აქ ის მოათავსეს „ვისოკოპეტრე"-ს მონასტერში, სადაც მან 12 წელი დაჰყო.

1829 წელს დოსითეოსმა ავადმყოფობის გამო ითხოვა საქართველოში სამკურნალოდ დაბრუნების ნება. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა უბოძა ძვირფასი პანაღია და დამატებით დაუნიშნა ათასი მანეთი ასიგნაციებით და ხუთასი მანეთი ვერცხლით საქართველოს საეკლესიო შემოსავლიდან.

დოსითეოსმა ადგილსამყოფელად თბილისი, დარეჯანის სასახლე, აირჩია. აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1815 წლის 15 ოქტომბრის მთავარ მმართველ რტიშჩევის განკარგულებით, დარეჯანის სასახლე და კარის ეკლესია თელავის და საქართველო-კავკასიის ეპარქიას დაემორჩილა, რომლის წინამძღვარიც მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი იყო და იგი ამ სასახლეში ცხოვრობდა.

მძიმედ დაავდებული დოსითეოსი საქართველოში გამოჩენილ ექიმებთან მკურნალობდა. იმ დროს თბილისში ქოლერა მძვინვარებდა და მისი თხოვნით მშობლიურ სოფელ იკოთში აიყვანეს. სოფლის მოსახლეობა და მისი ტოლ-ასაკოვანი გლეხები გულთბილად შეხვდნენ. დოსითეოსმა თავის სიყრმისდროინდელ წმ.მარინეს ეკლესიაში,

როგორც პირველი ლოცვების დროს, ახლაც უკანასკნელად გულმხურვალედ ილოცა ორი დღის შემ-

თბილისის ფერიცვალების მონასტერი. XIX საუკუნის ფოტო

დეგ ბორჯომში წააბრძანეს მინერალური წყლებით სამკურნალოდ. ცოტა ხანში კვლავ თბილისში დაბრუნდა და 1830 წლის 19 ნოემბერს დილის 10 საათისთვის გარდაიცვალა.

თბილისის გაზეთში „ტიფლისკიე ვედომოსტ" გამოქვეყნდა ნეკროლოგი.

„დიდად სამწუხაროა, რომ 1830 წლის 19 ნოემბერს თბილისში გარდაიცვალა მისი ყოვლადუსამღვდელოესობა მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური)", - იტყობინებოდა იმდროინდელი გაზეთი „ტიფლისკიე ვედომოსტი"გამოქვეყნებულ ნეკროლოში.

გაზეთში ფართოდ იგი გაშუქებუდი სამგლოვიარო პროცესი, მთავარეპისკოპოსის ნეშთი დიდი პატივით დაასვენეს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარში. თბილისის ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში რეკავდა სამგლოვიარო ზარები. შესრულდა საეკლესიო საგალობელი, აღესრულა საღვთო ლიტურგი.

იგი დაასაფლავეს თბილისის ფერისცვალების მამათა მონასტერში (ამჟამად დედათა მონასტერი).

* * *

მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი ფრიად ენერგიული, განათლებული და კულტურული კაცი იყო. ანტონ II მას ახასიათებს, როგორც უნარიან და ენერგიულ პიროვნებას. ამასვე მოწმობს სხვა ცნობებიც დოსითეოსის შესახებ, რომლებიც შეეხება მის მოღვაწეობას. ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას დოსითეოსი ბიბლიურ საზოგადოებას დაუკავშირდა და მისი დავალებით, მოსკოვში ქართულ ენაზე ახალი აღთქმის ბეჭდვას ჩაუყარა საფუძველი. 1814-1817 წლებში, საქართველოში ყოფნის პერიოდში, რუსულიდან თარგმნა მილტონის „დაკარგული სამოთხე". 1827 წელს მოსკოვში არქიმანდრიტ ტარასის (ალექსიმესხიშვილი) რუსულიდან უთარგმნია „წიგნი თანამდებობათათვის სამრევლოთა მღვდელთასა" და მას იგი განსახილველად დოსითეოსისათვის გაუგზავნია. დოსითეოსმა მოიწონა თარგმანი, მისცა ავტორს შენიშვნები და რეცენზია, დაუწერა რუსულ ენაზე. ამასთან, ურჩევდა სხვა საეკლესიო წიგნების გადათარგმნასაც.

მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, მას არ შეუწყვეტია ლიტერატურული მუშაობა და შეძლებისდაგვარად წერდა ორიგინალურ ნაწარმოებებს და თარგმნიდა კიდეც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ზოგიერთი ჩანაწერებიდან ირკვევა, მისი ჩვეული თავმდაბლობის გამო, არ გამოუცია თავისი ნაშრომები.

იოანე პატონიშვილი თავის „კალმასობაში" დოსითეოსის (ფიცხელაური) შესახებ წერს: „ესე არს წერილთა შინა გამოცდილი და უბნობათა შინა რიტორი". ცნობილი მწერალი და კალიგრაფი მღვდელმონაზონი იონა (ხელაშვილი) ამ წიგნში გამოყვანილია, როგორც დოსითეოსის მოწაფე და იგი ამით თავს იწონებს კიდეც.

* * *

სამწუხაროა, რომ მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური) 56 წლის ასაკში გარდაიცვალა. 40 წლის სასულიერო მოღვაწეობის მანძილზე რამდენი რამ მოასწრო და კიდევ რამდენი, მრავალი საsიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო.

ტექსტი შეადგინა ახალგორის რაიონის, სოფ. იკოთის მკვიდრმა ბ-მა ვლადიმერ ზანგურაშვილმა

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიში: № GE57LB0115123530407000 სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

საგანძური, გამოვიტანოთ, თუნდაც მეუფე იყოს, თუნდაც მოკვდავი, თუნდაც ღმერთი, ძღვენი შევწიროთ." ეს რომ თქვეს, ძღვენით შევიდნენ კარში და ყრმისგან ელვა გამოკრთებოდა. დაემხნენ ღვთის მსახურად, თაყვანი სცეს ჭეშმარიტად და თქვეს: „ღმერთი ესაა და არა ცა, არა ცეცხლი, არა მთვარე და არც სხვა რამ; თაყვანი ვცეთ ცეცხლს, რადგან ასეთი ცეცხლი არსად გვინახავს. მიუწვდომელი ბრწყინვალება გამოდის ყრმისგან და განუქარვებელი ნათელი მიეგებება მასთან მიახლების მსურველს. ესა ქუხილთა შემკრებელი, ელვათა სასწაული, ცის შემოქმედი, სოფლის მაცხოვარი და კაცთა მოდგმის მეუფეამის დამმოწმებელნი ჩვენ ვართ".

ასეთი იყო მოგვების სიტყვები. ხოლო დედამისმა, როდესაც წარმართთა ძღვენი ნახა, თავის ძეს უთხრა: „ყრმაო, მომიტევე, არ ვიცი, რა ვთქვა, რადგან ვხედავ ღარიბულ სახვევლებს და სამეუფო ძღვენს, პირუტყვთა ბაგას და წარმართთა თაყვანისცემას, მწირ დედას და მსახურ ვარსკვლავს; ვინ მოუწოდა, შვილო, ამათ სპარსეთიდან? ვინც იოსებს აუწყა მუცლადღებულის შესახებ, მანვე ამათ ვარსკვლავი გამოუცხადა. მოგვნო, ახლა წადით და ის იქადაგეთ, რასაც ისმენთ:

„ანგელოზმა გამაკვირვა, როცა სახლში ვიჯექი, მოვიდა და რძლად შემამკო. მუცლად ვიღე, ვშვი ძე და ქორწილი მე არ ვიცი, წყაროსავით გადმოდის რძე და ქალწულების წესი დაცულია. როგორ მოვიხსენო ის, ვინც ვნების გარეშე ჩაისახა და უვნებლად იშვა?! მოგვნო, წადით და განაცხადეთ საიდუმლო, რომელიც იხილეთ, — რომ შვა დედაკაცმა, რომელიც მამაკაცს არ შეხებია; მას აწოვებს ქალწული, ვინც გულისთქმით არ ჩასახულა".

ეს უთხრა მათ და შემდეგ იოსებს მიმართა: „შეიწყნარე მოგვნი და მიიღე ძღვენი, იოსებ! ვინც მაშინ ანგელოზი მოავლინა, ახლა წარმართნი გამოგვიგზავნა, რადგან მეძუძური უფალია და ძე ღვთისა. შენ ჩემი ქმარი ხარ სიტყვით, მაგრამ არ გეწოდება მისი მამა, თაყვანი ეცი შობილს, რომლის მიდგომილობასაც ეჭვობდი, ადიდე შობა მისი, ვისი მუცლადღებაც ისმინე".

ესაა დედისა და ქალწულის სიტყვები; ჩვენ კი მოგვებს მივბაძოთ სარწმუნოებით, თაყვანი ვცეთ უფალს და ძღვენი შევწიროთ. მოგვებმა ძღვენი მიართვეს მას, როგორც ღვთის სახარებამ გვაუწყა და სასიხარულო ცნობა მიიღეს, ხოლო ჩვენ გლახაკთათვის უფლის საზრდელი შევწიროთ და მივიღოთ არა უწყება, არამედ ქრისტეს სისხლი და ხორცი, რადგან მას შვენის დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ძველქართულიდან თარგმნა
ნინო გაგოშაშვილმა

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი დავით მაჭავარიანი

1819-1905

დეკანოზი დავით ათანასეს ძე მაჭავარიანი 1819 წლის 21 ნოემბერს გორის მაზრაში, სოდ. ქვემო ხვითში აზნაურის ოჯახში დაიბადა.

სასულიერო პირი გახლდათ მამამისი, დეკანოზი ათანასე, რომელიც 1789 წელს დაიბადა. ქართულ ენაზე საღმრთო ისტორია და საეკლესიო ტიპიკონი მონასტერში ისწავლა. 1808 წელს ნიქოზელმა ეპისკოპოსმა ათანასემ (მაჭავარიანი) იგი დიაკვნად აკურთხა. 1809 წელს მღვდლად დაასხა ხელი და ზემო ნიქოზის მაცხოვრის ამაღლების სახ. საკათედრო ტაძარში განამწესა. 1812 წელს დეკანოზის წოდება მიენიჭა. იმავე წელს ბრინჯაოს ჯვარი მიიღო. 1816 წელს ოსეთის სასულიერო კომისიაში გადავიდა და კირნისის ხეობის წარმართებში ქადაგებდა ქრისტიანობას. 1818 წელს ჯომაგის სამრევლოში გადაიყვანეს. 1819 წელს ქურთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში გააგრძელა მსახურება, 1820 წლიდან კი ჯავის სამრევლოშია. იმავე წელს მთავარხუცესად აირჩიეს და იასამნისფერი ხავერდის კამილავკა ეწყალობა. 1826 წელს ბეყმარის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაადგინეს. 1826

ოქუმის სკოლა

წელს კი დიდი ლიახვის ხეობის ეკლესიების მთავარხუცესად დაინიშნა. XIX ს-ის 50-იან წლებში მამა ათანასე პენსიაზე გავიდა.

1827-1831 წლებში დავით მაჭავარიანი გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1843 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიაში პირველი ხარისხის დიპლომით. მოგვიანებით სწავლის პერიოდს დეკ. დავითი ასე იგონებდა: **„მეშვიდე კლასში რომ გადავედი, დამნიშნეს ოსური ენის მასწავლებლად სემინარიაში, რომელსაც ვასრულებდი ორის წლის განმავლობაში და სემინარიაშიც იმ დროსვე ვსწავლობდი თანასწორ ამხანაგთა ჩემთა“.** 1843 წლის 12 სექტემბერს სემინარიის კურსდამთავრებული, ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად განამწესეს. 1844 წლის 15 ივნისს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს, სადაც ზედამხედველად და მასწავლებლად დაადგინეს. 1847 წლის 10 იანვარს სასწავლებელში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობისაგან მადლობა გამოეცხადა. 1850 წლის 22 ივნისს საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკი) მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1850 წლის 6 აგვისტოს ეგზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 12 აგვისტოს მღვდლად დაასხა ხელი და აფხაზეთის ეპარქიაში, ოქუმის სამრევლოში განამწესეს და სამურზაყანოს ოლქის მთავარხუცესად დაადგინეს. 1851 წლის 21 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. იმავე წლის 31 დეკემბერს თავდადებული სამსახურისთვის, რადგან მან 1851 წელს მოაქცია და მონათლა 25 გამაჰმადიანებული აფხაზი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ოქროს საათი აჩუქა. 1852 წელს კი მონათლა 656 გამაჰმადიანებული აფხაზი, რისთვისაც ეგზარქოსმა ისიდორემ მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1853 წლის 21 მაისს რუსეთის წმ. სინოდმა მადლობა გამოუცხადა სიგელის გაცემით. 1854 წლის 3 თებერვალს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1857 წლის 11 აპრილს სკუფია უბოძეს. 1858 წლის 11 აპრილს აფხაზეთის ეპარქიაში რამდენიმე წლიანი ერთგული თავდადებული და მოღვაწეობისათვის, ასობით აფხაზის მონათვლისა და ოქუმის სკოლის გახსნისა და იქ ნაყოფიერი პედაგოგიური სამსახურისთვის დეკანოზის წოდება მიენიჭა.

აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძე

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეკ. დავით მაჭავარიანი აფხაზეთში მოღვაწეობის პირველ პერიოდში ანტიეროვნულ პოზიციებზე იდგა და აქტიური მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის ირგვლივ გაჩაღებულ მიმოწერაში. 1855 წლის ზაფხულში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მან დატოვა სამურზაყანო და თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით ქუთაისში გადავიდა. მან მოკრძალებით უარი უთხრა ეგზარქოსს თავის მშობლიურ მხარეში — ქართლში გადასვლაზე, ვინაიდან არ ისურვა თავისი მამის, მოხუცებული დეკანოზ ათანასეს ხარჯზე ეცხოვრა. იგი ომის დამთავრებამდე დარჩა ქუთაისში და ომის დასრულების შემდეგ დაბრუნდა აფხაზეთში. 1855 წლის 26 ივნისს მან პირველი წერილი გაუგზავნა საქართველოს ეგზარქოსს ისიდორეს მიხეილ შერვაშიძეს თურქეთის სარდლობასთან შეხვედრის შესახებ (დეტალურად ამ საკითხის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ისტორიკოს ჯემალ გამახარიას წიგნში „აფხაზეთი და მართლმადიდებლობა“). ეგზარქოსი მაინც ეჭვის თვალით უყურებდა დეკ. დავითის მოწოდებულ ინფორმაციას, ამასთან იმ ფაქტსაც აღნიშნავდა, რომ იღუმენი ალექსანდრე (ოქროპირიძე) 1855 წლის 1 ივლისს გაგზავნილ წერილში არაფერს წერდა მიხეილის „ღალატის“ თაობაზე. რუსი ეგზარქოსი, ბუნებრივია, ვერ ითვალისწინებდა პრინციპულ განსხვავებას ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციაზე მდგარ იღუმენ ალექსანდრესა (რომელსაც ქართველებივით უყვარდა აფხაზები, განურჩევლად მათი აღმსარებლობისა) და რუსეთის სამსახურში ბრმად ჩამდგარ, თუნდაც თავისებურად „კეთილსინდისიერ“

დეკანოზ დავით მაჭავარიანის პიროვნებათა შორის. 1855 წლის 7 აგვისტოს დეკ. დავითი მეორე წერილს უგზავნის ეგზარქოსს და აფხაზეთ-სამურზაყანოში შექმნილ ვითარებას ამცნობს და მომავალშიც პირდება დაწვრილებითი მოხსენების წარდგენას. მართლაც, 1856 წლის 23 იანვარს იგი მესამე წერილს უგზავნის ეგზარქოსს, სადაც წერს, რომ ომერ-ფაშამ სამურზაყანო მიხეილ შერვაშიძეს უბოძაო. მართალია, ამ წერილებში გვხვდება საინტერესო ცნობები, მაგრამ ისინი უპირატესად ყურმოკრულ, ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს და ხშირად არასწორ, ტენდენციურ შეფასებებს შეიცავენ. იგი არაობიექტური იყო აფხაზეთის მთავრისა და აფხაზი ხალხის, განსაკუთრებით სამურზაყანოელთა მიმართაც. ძალიან სამწუხაროა, რომ ათწლეულობის მანძილზე აფხაზეთში ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მქადაგებელი, რეგიონის ბოლო საუკუნეების ისტორიაში პირველი სკოლის დამფუძნებელი და განათლების სისტემის მოამაგე მთავარხუცესი დაცლილი იყო ეროვნული თვითშეგნებისაგან; მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში — ღრმად მოხუცებულმა იძულებით ოდნავ შეიცვალა პოზიცია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II (საძაგლიშვილი), რომელიც 1905-1906 წლებში სოხუმის ეპისკოპოსი გახლდათ, დეკ. დავითის შესახებ წერდა, რომ იგი **„გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით და ღირსეული თანამებრძოლების შერჩევის უნარით. მას მხარში ედგნენ მღვდელ-მონაზონები: ბესარიონი (დგებუაძე) და ათანასე (ჟორდანია), რომელთაც უფლის დიდებისადმი წმინდა თავგამოდებით გამხნევებულებმა, გააკეთეს წმინდა მოციქულებრივი საქმე აფხაზთა შორის“.**

1859 წლის 17 აპრილს მიიღო ჯილდო — ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი. 1861 წლის 22 აპრილს კამილავკა ეწყალობა. 1863 წლის 18 აპრილს წმ. ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1866 წლის 2 ივლისს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1867 წლის 14 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1868 წლის 16 იანვარს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა პირად საქმეში შეტანით. 1868 წლის 14 მაისიდან აფხაზეთის ეპარქიისა და სამურზაყანოს ოლქის უფროსი მთავარხუცესია. 1870 წლის 12 აპრილს წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1872 წლის 13 თებერვალს აფხაზეთის ეპარქიაში რამდენიმეწლიანი პატიოსანი და ერთ-

დეკანოზი დავით მაჭავარიანი

გული სამსახურისთვის რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ სოხუმის ოლქში 400 დესიატინა მიწა გადასცა საჩუქრად.

1869-1886 წლებში სოხუმის ეპარქიას შეთავსებით მართავდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), რომელმაც რამდენჯერმე იმოგზაურა აფხაზეთში. მისი ერთ-ერთი სტუმრობა აღწერილი აქვს დეკ. მელიტონ კელენჯერიძეს, სადაც იგი დეკ. დავით მაჭავარიანსაც ახსენებს: **„ერთ-ერთი მოგზაურობის დროს ეპ. გაბრიელი ბრძანებულა დეკ. დავით მაჭავარიანთან. როდესაც ეკლესიაზე წასულან, დეკ. მაჭავარიანს აღუპყრია ხელი და დიდი სასოებით დაუწყია ლოცვა. როცა ბინაზე მოსულან, ეპისკოპოს გაბრიელს უთქვია, როგორ სხვის შესახედავად, ფარისევლურად გცოდნია ლოცვაო. დეკანოზს უპასუხნია, ამას განგებ ვშვრები, ურჯულო აფხაზებს მაგალითს ვაჩვენებ, იქნება მორჯულდენო“.**

1872 წლის 12 აპრილს ენქერი უბოძეს. 1876 წლის 3 აპრილს იმპერატორის კაბინეტიდან გაცემული გამშვენებული ჯვრით დაჯილდოვდა. 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომში გამოჩენილი მამაცობისათვის — სამხედრო ჯვარი გადაეცა. 1878 წლის 4 ნოემბერს მის დაქვემდებარებაში შეავიდა ახლად შემოერთებული ბათუმის ოლქის ეკლესიები, მართავდა 1889 წლამდე. 1878 წელს გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა დეკ. დავითის ვრცელი სტატია „ხალხის არეულობა აბხაზეთში“, სადაც იგი ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის 1877-1878 წლების

ამბებთან დაკავშირებით. აღნიშნული სტატია თავდაპირველად დაიბეჭდა რუსულ გაზეთ „გოლოსში“.

1882 წლის 27 მარტს წმ. ვლადიმერის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1884 წელს სოხუმის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1893 წლის 6 მაისს რუსეთის წმ. სინოდმა მადლობა გამოუცხადა სიგელის გაცემით.

1886 წლის სექტემბერში, როდესაც იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) უკანასკნელად ესტუმრა აფხაზეთს და სოხუმის საკათედრო ტაძარში წირვა აღასრულა, ვრცელი ქადაგებით მიმართა მრევლს, სადაც სხვათა შორის აღნიშნა: **„... სულ თვრამეტი წელია, რაც მე ამ ქვეყნის მღვდელმთავარი ვარ. ამ დროის განმავლობაში დიდი შემწეობა გამომიჩინეს ჩემმა სამღვდელოებამ, განსაკუთრებით დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა, რაისთვისაც დიდი მადლობელი ვარ ამისიო“.**

1894 წელს გაზ. „ივერია“ დეკ. დავით მაჭავარიანის მოღვაწეობის შესახებ წერდა: **„სამურზაყანოსა და აბჟუვის (კოდორის განყოფილება) საეკლესიო-სამრევლო სკოლები და (თვით ეკლესიებიც) დაათვალიერა დეკანოზმა მ. დავით მაჭავარიანმა, რომელიც ამ ოკტომბრის თვეში დაიარებოდა სარევიზიოდ. ყველგან დეკ. დ. მაჭავარიანი ხალხს უქადაგებდა და მისის ქრისტიანობრივ მოძღვრება-დარიგებით მეტად კმაყოფილნი რჩებოდნენ მსმენელნი. ერთგან მ. დეკანოზმა, თავისს პირდაპირ საგნის შესახებ მოძღვრების გათავების შემდეგ, ურჩია ხალხს, გაიმართეთ სასოფლო მაღაზიებიო (წრევანდელმა მოუსავლელობამ მისცა საბაბი ამაზე სიტყვის ჩამოგდებისა, სიმინდი ნაკლებ მოვიდა წრეულს) და მაგალითად ტფილისის გუბერნიის სოფლები მოუყვანა... მ. დეკ. მაჭავარიანი წლოვანებით ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელზე უხნიერესია, ვგონებ, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენად მარჯვედ არის, რომ ამდენი მანძილის გავლა ცხენით და მერე ჩვენებურ, ე. ი. სამურზაყანულ-აფხაზურ, გზებზე არაფრად მიიჩნია... ამ დეკანოზზე, იყო, რომ ამ რამდენისამე წლის წინედ იმის შიშით, რომ იგი მღვდელმთავრის ხარისხზე არ აღეყვანად და სოხუმის კათედრა არ ჩაებარებიათ, მისმა „მოკეთეებმა“ „დანოსი“ გაგზავნეს, სადაც ჯერ იყო: დეკანოზი მაჭავარიანი იმდენად მოხუცდა, რომ წირვის დროს ფეხზე დგომა აღარ შეუძლიაო... ახლა კი სარევიზიოდ ჰგზავნიან და რამდენი ასი ვერსი უნდა გაიაროს ცხენით, და ზოგან ფეხითაც... ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო...“.** როგორც

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)

ამ წერილიდან ირკვევა, დეკ. დავითს აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმთავრად უპირებდნენ ხელდასხმას, მაგრამ მის მოწინააღმდეგეებს დასმენის წერილები უგზავნიათ კანტორასა და წმ. სინოდში და ეს საქმე ჩაშლილა.

1896 წლის 18 ნოემბერს სოხუმის ეპარქიალური სასწავლებლის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1899 წლის 13 მაისს სასწავლებელში წარმატებული მოღვაწეობისათვის „ქართული ბიბლიით“ დაჯილდოვდა. დეკ. დავითი 1905 წლის 20 იანვარს გარდაიცვალა. მეუღლე ადრე გარდაეცვალა და დარჩა შვილები: ელისაბედი (დაბ. 1848წ.), კონსტანტინე (დაბ. 1849წ.), რომანი (დაბ. 1850წ.), სიმონი (დაბ. 1852წ.), გიორგი (დაბ. 1856წ.), ნიკოლოზი (დაბ. 1859წ.), ალექსანდრე (დაბ. 1863წ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე 26492; ფ. 489, აღწერა 1, საქმე 40090; გაზეთი „ივერია“ 1894წ. 253, გვ. 2; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1893წ. 12; 1897წ. 2; 1899წ. 19-20; 1905წ. 7.

ლიტ: კელენჯერიძე მ. „გაბრიელი — ეპისკოპოსი იმერეთისა“ (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა), ქ. თბილისი, 2006წ., გვ. 179; გამახარია ჯ. „აფხაზეთი და მართლმადიდებლობა“ ქ. თბილისი 2005წ., გვ. 422-430; გვ. 526.